# „პროკრედიტ ბანკს“ 8 თებერვალს ეწურება ვადა

რას ეუბნება სკანდალური საქმის ადვოკატი „ალიას“

პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank Georgia

4

ალია
N16/3332/ 5-8 თებერვალი 2016 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE

„მე გახლდით მთავარი რედაქტორი იმ ჟურნალისა, რომელმაც დაბეჭდა გიორგი მარგველაშვილის ნაშრომი“



10

რა გააკეთეს ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა, რაც არ გაუკეთებია კვირიკაშვილს?



8

რას აპირებს დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი, თუკი პარლამენტი მის კანონპროექტს არ დაარეგისტრირებს?



9

განათლებისთვის გამოყოფილი 14 მლნ დოლარი არჩევნებზე დაიხარჯება?



11

„მანამ არ მოვისვენებთ, სანამ საქართველოში მართლმადიდებლობას არ დავასრულებთ“



10

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რისთვის სჭირდება პატარკაციშვილების ოჯახს 49 მილიონიანი დავალიანების მქონე „მაესტრო“?

5






ფაქტია, ვინც გაკოტრებული ტელეკომპანიის წილები რამდენიმე მილიონად იყიდა, ან ტვინი არა აქვს, ან რაღაც სერიოზულისთვის ემზადება!

2



## ვის მიაქვს ბურჯანაძის პარტიაში „ოცნების“ გასაიდუმლოებული ინფორმაცია?

3

## რატომ დაიქირავა მერიამ გერმანული კომპანია, რომელსაც გერმანიაში არ უმუშავია და თბილისში შუქნიშნები უნდა დაამონტაჟოს

7



ვისი ინტერესებია ამ პროექტის უკან?




ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

გოგი თოფაძის განცხადებები, რომელმაც საზოგადოება შოკში ჩააგდო



9

„ამბობენ, მეუღლის გვამის მოშორებაში ფულს შეჰპირდაო — სკანდალური დეტალები მაგდა პაპიძის საქმეში



8

გოდერძი ჩოხელის შვილი ავარიაში მოჰყვა



9

ტრანსგენდერი ქალი, ბიანკა შიგუროვა გარდაცვლილი იპოვეს



11

## საპარლამენტო უმცირესობა „მაესტროსთან“ დაკავშირებით მიმდინარე პროცესებში ხელისუფლების დაინტერესებას ხედავს



საპარლამენტო უმცირესობა ტელეკომპანია „მაესტროსთან“ დაკავშირებით მიმდინარე პროცესებში ხელისუფლების დაინტერესებას ხედავს.

როგორც უმცირესობის წევრმა ლევან ბეჟაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ცალკეულ ტელევიზიასთან მიმართებაში ხელისუფლების ინტერესების განხორციელება პერიოდულად ხდება.

– ბოლო 3 წლის განმავლობაში, მიუხედავად მედიასთან მიმართებაში დეკლარილებული თავისუფლებისა, ხდება ცალკეულ ტელევიზიასთან დაკავშირებით ხელისუფლების ინტერესების გამოხატვა და ამ ინტერესების მოქმედებების განხორციელება. ასეთი პროცესები მიმდინარეობდა „რუსთავი 2“-თან მიმართებაში, „იმედთან“ და დღეს უკვე „მაესტროა“ აქტუალური. „მე-9 არხის“ ყოფილი თანამშრომლები გადანაწილებული არიან „საზოგადოებრივი არხის“ კულუარებში. ეს პროცესი ღიად მიმდინარეობს. ასე რომ, „მაესტროსთან“ დაკავშირებითაც იგივე ხდება, – განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ახალი კამპანია: „საქართველოს პრეზიდენტს სძულს თავის სამშობლო“ – პრეზიდენტის პასუხი თოფაძეს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, გოგი თოფაძის მიერ გაკეთებულ გამოსვლას ეხმაურება. როგორც მარგველაშვილმა „მაესტროს ფაქტორში“ განაცხადა, მის წინააღმდეგ ახალი კამპანია დაიწყო:

– კამპანია ახალი სახელწოდებით, რომ საქართველოს პრეზიდენტს სძულს თავის სამშობლო, ამ ლოზუნგითაა დაწყებული ახალი კამპანია ჩემს წინააღმდეგ. ეს ხომ არ არის პირველი კამპანია, ჩვენ ეს ადრეც გვესმოდა. მე გამოვაცხადე 2015 წელი ქალთა წლად და დაიწყო კამპანია, რომ საქართველოს პრეზიდენტს უნდა, რომ ქალები ციხეში ისხდნენ. როდესაც მე ვსაუბრობდი სხვადასხვა საკითხებზე, დაიწყო კამპანია, რომ საქართველოს პრეზიდენტს ფუფუნება უყვარს. მე მახსოვს კამპანია, რომ საქართველოს პრეზიდენტი შეკრულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“. ეს არ არის პირველი კამპანია. ახლა ახალი ლოზუნგით გვაქვს კამპანია, რომ საქართველოს პრეზიდენტს სძულს თავისი სამშობლო. მე მიჭირს ამ კამპანიების ტალღების კომენტირება, ან მათი მიზეზის განსაზღვრა, არც ვუღრმავდები ამ საკითხებს. სამწუხაროა ის, რომ ეს პოლიტიკის ნაწილი არ არის. ეს პიარის ნაწილია, რომელიც პოლიტიკას არ უკავშირდება, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. (პირველი რადიო)

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

„უცნობის“ მატარებელი „მაესტროზე“ გაჩერდა – ახლა მთავარია, იმის გარკვევა, ვინ მართავს პროცესებს, სახელისუფლებო ჩარევაზე ეჭვი, გია გაჩეჩილაძის განცხადებამ გააჩინა, რომლის მიხედვითაც, ის ორი დღის წინ „ძმაკაც“ კვირიკაშვილს სახელმწიფო კანცელარიაში შეხვდა.

ფაქტია, რომ არჩევნების მოახლოების წინ სატელევიზიო სივრცის გადანაწილება დაიწყო.

„მაესტროს“ უკვე ყოფილი დირექტორი ბაია გადაბაძეც პოლიტიკურ ინტერესებზე ალაპარაკდა.

გადაბაძეს აინტერესებს, რატომ გაიყიდა გაკოტრებული კომპანიის წილი რამდენიმე მილიონად.

საკონტროლო პაკეტის 55-პროცენტიანი წილის მფლობელი „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, გია გაჩეჩილაძე გახდა, რომელმაც არხის დირექტორად პოლიტიკური წარსულის მქონე ძმა ლევან გაჩეჩილაძე დანიშნა.

ბულების ვარ. სხვა დანარჩენზე არაფერი პრეტენზია არ მაქვს. ჩემი ისტორიული პრეტენზიები მაქვს „რ2“-თან მიმართებაში და „რუსთავი 2“-ის რეიტინგს მინდა ვაჯობო“...

„მაესტროს“ გენერალური დირექტორის ამ ხმაურიანი გადაწყვეტილების შემდეგ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ტელეკომპანიაში მიმდინარე ცვლილებები „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ არის მიმართული. ისევე, როგორც საქართველოს ბაზარზე რეიტინგების მთვლელი ახალი კომპანიის შპს „ტრი მედია ინტელიჯენსის“ შემოსვლა, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

ამბობენ იმასაც, რომ სატელევიზიო რეიტინგებს ბაზარზე აუდიტორიის გამზომი ახალი კომპანია ყოფილ პრემიერთან ასოცირებულ ტელევიზიებს რე-

აბაძე, რომელიც გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გადააყენეს.

როგორც მაკა ასათიანის ადვოკატმა გიორგი გვენეტაძემ განაცხადა, პარტნიორებმა არ გაითვალისწინეს არც ერთი არგუმენტი და 55 პროცენტის მფლობელმა დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღო.

თანამდებობიდან გადაყენების მიუხედავად, ბაია გადაბაძეს ტელეკომპანიასთან დაკავშირებით გეგმები მაინც აქვს:

– მე ვმუშაობ გეგმაზე, რა შემიძლია შევთავაზო ჟურნალისტებს, რათა მაუწყებლობას არ შეექმნას საფრთხე. ეს შენობა, რომელშიც მაუწყებლობს ტელეკომპანია, არ ეკუთვნის შპს „მაესტროს“, ეს ტექნიკა არ ეკუთვნის მას, ეს ყველაფერი მაკა ასათიანს ეკუთვნის. მაინტერესებს, როგორ იფუნქციონირებს ტელევიზია, რომელსაც იჯარის დავალიანება აქვს, რომელთანაც იჯარის ხელშეკ-

პათიებს მე ვერავინ ვერ დამწამებს, პირიქით, „ფეისბუკიდანაც“ დავაანფრენდე, რასაც უკიდურესად იშვიათად ვაკეთებ. სხვათა შორის, ზუსტად გრეჩიხებისნაირების აგრესიული აპოლოგეტობის გამო.

არც „მაესტრო“ მომწონს, განსაკუთრებით მისი საინფორმაციო პოლიტიკა. მაგრამ ეს ჩემი პირადი გემოვნების ამბავია.

მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ, დიახ, ნამდვილად, ბოლო პერიოდში „მაესტროს“ რეიტინგი განახევრდა და 15%-დან 7%-მდე (და არა 4%-მდე) დაიკლო. ოღონდ, ეგ 15%-იც ამ მენეჯმენტის ხელში ჰქონდა და 7%-იც, თორემ მანამდე 3% იყო ისტორიული მაქსიმუმი“.

სხვათა შორის, როცა „რუსთავი 2“-ს პრობლემები ჰქონდა, გვარამია ისტერიულად გაჰკიოდა და შველას ითხოვდა, ხოლო როცა სხვა ტელეკომპანიას

**ფაქტია, ვინც გაკოტრებული ტელეკომპანიის წილები რამდენიმე მილიონად იყიდა, ან ტვინი არა აქვს, ან რაღაც სერიოზულისთვის ემზადება!**










რად პოლიტიკური წარსულის მქონე ძმა ლევან გაჩეჩილაძე დანიშნა.

გაჩეჩილაძეები არ მალავენ, რომ ტელეკომპანიის საკონტროლო პაკეტი ირაკლი რუხაძის ფინანსური დახმარებით იქნა შეძენილი.

როგორც ცნობილია, ირაკლი რუხაძე ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ბიზნესებს განკარგავს. ის პირდაპირ დაკავშირებულია ტელეკომპანია „იმედთან“, ამიტომ გადაბაძეს აინტერესებს, რატომ დააფინანსა კონკურენტი არხი რუხაძემ, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს.

– ვინც იხდის ფულს, ის უკვეთს მუსიკას... მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სარედაქციო პოლიტიკაში ჩაერევა არა გია ან ლევან გაჩეჩილაძე, არამედ ირაკლი რუხაძე, რომელიც ფულს იხდის, – ამბობს გადაბაძე.

მკითხველს ერთ საინტერესო დეტალსაც შევახსენებთ – დაახლოებით ერთი თვის წინ ტელეკომპანია „იმედმა“ 1 წლით ტელეკომპანია „მაესტროს“ სარეკლამო დროის 100 პროცენტი იყიდა და ამ გარიგებაში 5 მილიონი დოლარი გადაიხადა.

იყო თუ არა ეს „მაესტროს იმედიზაციის“ დასაწყისი, წინასაარჩევნო აქტივობები გვიჩვენებს. როგორც ჩანს, „მაესტროს“ ახალი მენეჯმენტის მთავარ ამოცანას ახლა რეიტინგების ომში „რუსთავი 2“-ის დამარცხება წარმოადგენს.

ლევან გაჩეჩილაძე: „ჩემი მთავარი ლოზუნგია, გადმოვრთოთ ადამიანები „რუსთავი 2“-დან, იმიტომ, რომ „რუსთავი 2“-თან ძალიან სუბიექტური დამოკიდეიტინგის გაზრდაში უნდა „წაეხმაროს“.

რაც შეეხება უშუალოდ „მაესტროს“, მედიაარქივი ინახავს ყოფილი პრემიერის სიტყვებს, სადაც ბიძინა ივანიშვილი ამბობს: „მაესტრო“ ჩემი ტელევიზიაა“... (ნიუპოსტი)

**როგორც ლევან გაჩეჩილაძე აცხადებს, „მაესტროს“ წილის შესაძენად ირაკლი რუხაძემ ფული ასესხა.**

– მე არაერთხელ დავაყენე საკითხი, რომ მთლიანად კომპანია შემასწავლინონ და მე დავდებ გეგმას ფინანსური კრიზისიდან გამოსასვლელად. მთავარია, რომ ტელეკომპანიის რეიტინგი 15 პროცენტიდან 4 პროცენტამდე არის დაწეული. ჩემი ძმის სატელევიზიო კრეატიული აზროვნების მეშვეობით, იმედი გვაქვს, რომ რეიტინგს ავწევთ, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ. მან კომენტარი გააკეთა ირაკლი რუხაძის მონაწილეობაზე „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში.

– ირაკლი რუხაძემ ფული გვასესხა, ჩვენი დიდი ხნის მეგობრობიდან გამომდინარე, იმიტომ, რომ მედია იყოს თავისუფალი და ფინანსურად დამოუკიდებელი, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

მისი თქმით, რაც შეეხება „მაესტროს“ სამომავლო გეგმებს, ტელეკომპანიის ფორმატი შეიცვლება და განხორციელდება ბევრი სიახლე, ყველაფერი კი გამჭვირვალე იქნება. რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ყველა მნიშვნელოვანი კადრი დარჩება ტელევიზიაში.როგორც ჩანს, „მნიშვნელოვანი კადრი“ არ აღმოჩნდა „უცნობისთვის“ ბაია გადრულება შეიძლება გაწყდეს. ეს სხვისი შენობაა, კერძო საკუთრებაა. რა ძალაც მაქვს კანონიერი, იმ ძალას მივმართავ. თავს ვერ ავიფეთქებ და შაჰიდის ქამარს ვერ გავიკეთებ, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, თუ გამომივა მინდა, რომ დამტკიცდეს ჯერ მფლობელების კანონიერება, – აცხადებს გადაბაძე.

გარდა ამისა, იგი ასევე ამბობს, რომ მიმართავს საჯარო რეესტრს, რათა არ დაარეგისტრირონ მისი თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილება:

– ეს გადაწყვეტილება არის პოლიტიკურად მოტივირებული. მე არ მჯერა, რომ ბიზნესმენ ირაკლი რუხაძეს უნდა „მაესტროს“ აღორძინება. მე მივიღე შეთავაზება გია და ლევან გაჩეჩილაძეებისგან, რომ დავრჩენილიყავი ამ არხზე, მაგრამ თუ არ მექნა ბერკეტი, გავაკონტროლო სარედაქციო პოლიტიკა, მაშინ ჩემს არდარჩენას ყველანაირი აზრი ეკარგება. მივმართავ იმ უკიდურეს ზომას, რისი მიმართვაც არ მინდოდა. მივდივარ საჯარო რეესტრში, რომ დავაფიქსირო ჩემი პოზიცია. მივმართავ, ასევე, იუსტიციის სამინისტროს, არ დააფიქსირონ ეს გადაწყვეტილება. საფრთხის ქვეშ დადგება ამ ტელეკომპანიის ბედი! მე არ მჯერა ფულის წარმომავლობის კეთილშობილების! – განაცხადა ბაია გადაბაძემ.

„მაესტროს“ ირგვლივ მიმდინარე პროცესებს „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი, თავისუფალი სიტყვისთვის ხმალამოწვდილი მებრძოლი ნიკა გვარამიაც ეხმიანება, რომელიც „ფეისბუკში“ წერს:

„ბაია გადაბაძის მიმართ სიმგაუჩნდა სირთულეები, აგერ, თავადაც ხედავთ – წაქცეულს წიხლს აყოლებს პატივცემული ნიკოლოზი...

რაც შეეხება მთავრობის წევრებს, მიმდინარე მოვლენებისგან ისინი თავს შორს იჭერენ. ნუ, ერთი შეხედვით ასე ჩანს, თუმცა მეორე საკითხია, რისთვის შეხვდა „უცნობი“ გიორგი კვირიკაშვილს, რომელსაც „მაესტროს“ 55-პროცენტიანი წილის მფლობელ ძმაკაცს უწოდებს და ამტკიცებს, რომ კანცელარიაში, უბრალოდ, მეგობრული შეხვედრა ჰქონდა.

ბაია გადაბაძე მთავრობის მეთაურსა და წევრებს არხის ირგვლივ განვითარებული პროცესებით დაინტერესებისკენ მოუწოდებს.

– არც პრემიერ-მინისტრი და არავინ მთავრობიდან არ დაინტერესდა. ყველაზე ძალიან იმ ადამიანების მიკვირს, ვინც ჩვენთან ერთად იბრძოდა წლების განმავლობაში „მაესტროს“ დასაცავად. თინა ხიდაშელი ამბობდა, – თქვენ გვერდით ვიქნები, თუ რამე დაგჭირდებათო. ახლა მე ვამბობ, რომ სჭირდება მისი მხარდაჭერა ტელევიზიას. ვნახოთ, იქნებ, მას გამოუჩნდეს კეთილი ნება, – აცხადებს გადაბაძე, თუმცა დიდი ეჭვი გვაქვს, თინა ხიდაშელს მის ამ თხოვნას, უბრალოდ, წაუყრუებს...

ერთადერთი, ვინც ხელისუფლების სტრუქტურებიდან „მაესტროს“ „გვერდში უდგას“, სუს-ი გამოდის – ბაია გადაბაძე მის მიმართ განხორციელებულ თვალთვალზე საუბრობს და აცხადებს, რომ „მაესტროს“ ეზოდან იუსტიციის სახლამდე დაჰყვებოდა შავი ჯიპი, რომელიც მას ფოტოებს უღებდა, თუმცა უწყებამ ეს ბრალდება უმალ უარყო...

## გედევან ფოფხაძე: პირდაპირ გეტყვით — ამ კანონპროექტის მიღებას არ მივესალმები!



რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ კანონპროექტზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გედევან ფოფხაძე აცხადებს, რომ ეს საკითხი ბუნდოვანი და სამართლებრივად გაუმართავია. მისი თქმით, როდესაც საკითხი ასეთ სენსიტიურ თემას ეხება, მაშინ ზუსტი ფორმულირებით უნდა დასაბუთდეს, რის გამო მოეთხოვება პასუხი კონკრეტულ პირს. პარლამენტარი მიიჩნევს, რომ ზოგადად, ასეთმა ბუნდოვანმა იდეამ, შესაძლოა, რელიგიურ ნიადაგზე გარკვეული შუღლი და წინააღმდეგობები გააჩინოს.

– ზოგადად, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა – ასეთი ცნება არსებობს, ეს ჩვენი გამოგონილი არ არის. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობაში რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასთან ერთად, გამოყენებულია ტერმინები – რელიგიური მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი. არის საუბარი იმაზე, რომ რელიგიური გრძნობებისა და მსოფლმხედველობის შეურაცხყოფა, რამაც შეიძლება გარკვეული ზიანი გამოიწვიოს, სისხლის სამართლის წესით დასჯადია, ეს გერმანიის კანონმდებლობაშია.

კონკრეტულ მაგალითს მოვიტან, როდესაც მუსლიმანური მედრესეს კარზე ღორის თავი მიამაგრეს, უბრალო ხულიგნობა რომ ნდომებოდათ, ღორის თავი კი არა, შესაძლოა, ცხენის თავი მიემაგრებინათ. ვინც ეს გააკეთა, ზუსტად იცოდა, რომ მათთვის ღორი უწმინდური ცხოველია და ამით კონკრეტული დამოკიდებულება გამოხატა, მიზანი სწორედ მათი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა იყო. კანონით და ადმინისტრაციული სასჯელით ეს რამდენად შეიძლება გამოსწორდეს, მსჯელობის საგანია. პარლამენტში დასკვნით კომიტეტზე ამაზე მსჯელობა იქნება.

რაც შეეხება იმას, მივესალმები თუ არა ამ კანონპროექტის მიღებას, პირდაპირ გეტყვით, რომ არ მივესალმები. ვფიქრობ, ამ საკითხზე ყველა რელიგიურ წარმომადგენელთან წინასწარ საუბარი იყო საჭირო.

სასურველია, ჩვენს ქვეყანაში არსებული რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებსაც ვკითხოთ, რამდენად სწორად მიაჩნიათ ეს იდეა. თუ საპატრიარქო ამ ინიციატივას არ მიესალმება, ჩვენ რატომ უნდა შევთავაზოთ რაღაც სტანდარტები, რამაც შესაძლოა, პირიქით, უკურეაქცია გამოიწვიოს? დაიწყოს მსჯელობა იმაზე, როდის მოხდა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და როდის არა, – აცხადებს გედევან ფოფხაძე. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოხ, თქვენც აქა ხართ, კოტე ბატონო?



ყოფილი დეპუტატი კოტე გაბაშვილი უმრავლესობის წევრ გოგი თოფაძის განცხადებას სოციალურ ქსელში ეხმაურება. საუბარია განცხადებაზე, სადაც თოფაძემ დაუნი სალანძღავ სიტყვად გამოიყენა.

საპარლამენტო გამოსვლის აღნიშნული ნაწილის გარდა, გაბაშვილი ყურადღებას ამახვილებს სხვა ეპიზოდებზეც:

– დეპუტატ თოფაძის განცხადება პრეზიდენტის მიმართ მართლაც ამაზრზენი იყო. დეპუტატის გამონათქვამი მიმართული იყო პირადად მარგველაშვილისთვის ტკივილის მისაყენებლად. ეს ყოველგვარ წითელ ხაზს გადაცდომილი თუ წელქვეით დარტყმის ტოლი საქციელია. მაგრამ ყურადღება მივაქციოთ თოფაძის მიერ სიტყვაში გაჟღერებულ სხვა ადგილებსაც, რომელიც სრულიად გამოხატავს არა მხოლოდ ამ პერსონის მიერ საკუთარი ბიზნესინტერესების დაცვის ცუდად შეფუთულ კონცეფციას, არა მხოლოდ ვითომ მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის „ზრუნვას“ გენმოდიფიცირებული პროდუქციის წინააღმდეგ, რაც მეცნიერულად დაუსაბუთებელია, თან ცინიკურია მისი ლუდის ფონზე. არა, მხედველობაში მაქვს მისი მრავალწლიანი ბრძოლა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის, სხვა დახმარების ფონდებისა თუ ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების წინააღმდეგ, რაც პირდაპირ რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის რიტორიკის გაგრძელებაა და საქართველოს, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარების პროცესის საწინააღმდეგოა. ლობისტობა ასეთი პოზიციისა ცრუ პატრიოტული რიტორიკით პირდაპირი გზაა ქვეყნის ეკონომიკური კოლაფსისკენ, რაც იმპერიული რუსეთის ამოცანაა, მისი ხელშეწყობაა. დაუმატეთ ამას ანტინატოური რიტორიკა და წრე შეიკვრება. სამწუხაროა, რომ საქართველოში უფრო მეტი, თუმცა დამსახურებული ხმაური ტყდება თოფაძის პიროვნული და უცოდინარობით დატვირთული გამონათქვამის გამო და არაფერი ისმის პოლიტიკურად სახიფათო პოზიციის გამო, რომელიც ამავე გამოსვლაშიც ძალუმად იყო წარმოდგენილი, – წერს კოტე გაბაშვილი. (news.ge)

## კირკიტაძის ძმა გირაოთი გამოუშვეს



ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის, დავით კირკიტაძის ძმა, ირაკლი კირკიტაძე სასამართლომ 5 000-ლარიანი გირაოთი გაათავისუფლა.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი კირკიტაძეს ბრალად ედება სსსკ 120-ე, 151-ე და 239-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას, მუქარასა და ხულიგნობას გულისხმობს. (პირველი რადიო)

# ვის მიაქვს ბურჯანაძის პარტიაში „ოცნების“ გასაიდუმლოებული ინფორმაცია?



ნინო სამხარაძე
599 71-14-22



არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ტელეკომპანია „მაესტროში“ განვითარებული მოვლენები ბევრ კითხვის ნიშნებს აჩენს, რატომ დაინტერესდა პატარკაციშვილების ოჯახთან დაახლოებული ირაკლი რუხაძე „მაესტროს“ შესყიდვით? იგი მედიის წინაშე არ ჩნდება, ცხოვრობს თბილისში და საქმიანობს ლონდონში, იქ, საიდანაც ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესი იმართება. როგორც „უცნობი“, იგივე გია გაჩეჩილაძე ამბობს, აქციების შესაძენი 2.5 მილიონი სწორედ მან ასესხა. საინტერესო ის გახლავთ, რომ ტელეკომპანია „მაესტროს“ დავალიანება შეადგენს დაახლოებით 54 მილიონ ლარს. რატომ უნდა აინტერესებდეს ბიზნესმენს ლამის გაკოტრებული ტელევიზია ამხელა ვალებით?

როგორც არხის ყოფილი დირექტორის, მაია ბაია გადაბაძე მიანიშნებს, ყველაზე რეიტინგული გადაცემა „რეაქცია“ სწორედ მან დახურა და ინგა გრიგოლია „იმედიდან“ გაუშვა. გუშინ მეორე მთავარი სალაპარაკო თემა თოფაძე-მარგველაშვილის სკანდალის გაგრძელება იყო. მთავრობის ცნობადი სახეებიდან თოფაძეს ლამის ყველამ „გადაუარა“.

**ამ და სხვა მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე „ალიას“ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივანი გიგლა ბარამიძე ესაუბრა:**

**— როგორ ფიქრობთ, რატომ დაინტერესდა ირაკლი რუხაძე იმ ტელეკომპანიის შესყიდვით, რომელსაც 54 მილიონი ლარი აქვს დავალიანება? რა პოლიტიკური ქვეტექსტები იმალება ამ ყველაფრის მიღმა?**

– ყველა გზა მიდის ბატონ ბიძინა ივანიშვილთან. პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის, ან დასტურის გარეშე ვერავინ, ვერანაირ კომბინაციას გადანაწილ-გადმონაწილებას არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ვერ წამოიწყებდა. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ორივე მხარეს, „უცნობი“ არის ნიჭიერი ადამიანი, ასევე ვაფასებ მაკა ასათიანს. მედიასივრცეში ხდება გადანაწილების პროცესი. ირაკლი რუხაძე აქ არის ნომინალური ფიგურა და მისი გადასაწყვეტი არც არაფერია და არც ვთვლი, რომ „მაესტროს“ ყიდვა იყო რუხაძის ინიციატივა. ყველაფრის სათავე არის ბიძინა ივანიშვილი, სხვანაირად არც შეიძლება იყოს, მმართველ გუნდს დღეს რეიტინგულად ძალიან უჭირს. იმდენად უნიათოები აღმოჩნდნენ, რომ მათ თამაშ-თამაშით უნდათ მედიასივრცის მეტ-ნაკლებად დალაგება, „რუსთავი 2“-ს ვერ მოერივნენ, მათ იმდენი მფარველი ჰყავთ შტატებში, რომლებთანაც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები არა თუ ვერ ჩავლენ, ტელეფონითაც კი ვერ დაურეკავენ.

**— „რუსთავი 2“-ის შემდეგ კრიტიკულობით გამოირჩეოდა ტელეკომპანია „მაესტრო“, ამ შემთხვევაში ძმები გაჩეჩილაძეები გამოყენებული იქნებიან იმისთვის, რომ სამთავრობო პიარი გააკეთონ და შექმნან „რუსთავი 2“-ის დამბალანსებელი ტელევიზია. „უცნობის“ შვილი ბიძინა ივანიშვილის ქალიშვილის ნათლიაა. შეიძლება ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ჩნდება ეჭვი, რომ „უცნობი“ შეთანხმებულია ივანიშვილთან, ასევე პრემიერ-მინისტრთან. თავად გაჩეჩილაძემ თქვა, რომ პრემიერის ძმაკაცია და მას ორ დღეში ერთხელ ხვდება.**

– რა თქმა უნდა, სწორედაც რომ არჩევნებისთვის იქნება გამოყენებული ეს ტელევიზია და ამ პროცესებს, დიახაც, ის ერთი ადამიანი მართავს, რომლის ხედვითაც იმართება ეს ქვეყანა. რა თქმა უნდა, კითხვები ჩნდება, არჩევნებამდე შვიდი თვე რომ არის დარჩენილი, რაღა მაინცდამაინც მაშინ გახსენდება ტელეკომპანიის რეიტინგის აწევა? ეს საკითხი მარტივად არ დასრულდება. როგორც ვიცი, მაკა ასათიანსა და მის მეუღლეს კოტე გოგელიას გადაწყვეტილი აქვთ, უცხოელი ადვოკატები ჩართონ ამ საკითხში, კარგად ჩანს, როგორ არიან დაპირისპირებულები ყოფილი მეგობრები. ამ პროცესში, ჩემი აზრით, ყველაზე გამაღიზიანებელი ის არის, რომ უმაქნისი მინისტრები რომ გამოდიან და კომენტარებს აკეთებენ, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, დამოუკიდებელი ტელეკომპანიაა და არ ვერევითო. ამ დროს, ყველაფრის საქმის კურსში რომ არიან, ძალიან კარგად იციან, რაც ხდება, ისევე როგორც „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით გამოიდევს თავი, თითქოს არავინ არაფერი იცოდა და არ ერეოდნენ პროცესებში. რატომღაც, ძალიან მოულოდნელად, ფარულად, პარლამენტის თავმჯდომარე აღმოჩნდა შეერთებულ შტატებში, სწორედ იმიტომ, რომ „რუსთავი 2“-ის საკითხის განხილვა უნდოდა ამერიკის მაღალჩინოსნებთან. მე „რუსთვის 2“-ის ვექილად არ გამოვდგები, უბრალოდ, ვამბობ ხელისუფლების დამოკიდებულებას პროცესებისადმი, ხბოსავით თვალებს აფახურებენ, ვითომ რა ხდება, არაფერი იციან.

**— მთავრობის საოცარი ტრანსფორმაცია მოხდა, როცა უკლებლივ ყველა დაესწრო პრეზიდენტის ყოველწლიურ ანგარიშს პარლამენტში, არის თუ არა ერთგვარად გამაღიზიანებელი ხელისუფლების ფარისევლობა?**

– ეს იყო მართლაც საოცარი ტრანსფორმაცია დღევანდელი ხელისუფლების. მე გეტყვით, რაც მოხდა, მოახლოვდა არჩევნები, პრეზიდენტი გააგრძელებს საქმიანობას, ხოლო პარლამენტისა და ხელისუფლების წარმომადგენლების უმრავლესობა აღარ იქნებიან. რაც ხდება, ამას მე „მაამებლობის აპოლოგიას“ დავარქმევდი.

მთავრობა რომ ჩამწკრივდა და გამოცხადდა პარლამენტში, ეს კარგია. როგორც იქნა, მიაგნეს პარლამენტის შენობას.

**— იმ ფონზე, როცა ლარი დოლართან მიმართებაში ოფიციალური კურსით 2,50 გახდა, რატომღაც „მრეწველების“ ლიდერი, ბიზნესმენი კაცი, გოგი თოფაძე, იმის ნაცვლად, პრეზიდენტისთვის ეკითხა, შენ და შენს მრჩევლებს ლარის გადარჩენის როგორი ხედვა გაქვთო, მას ახსენებს, რომ ის აირჩია ერთმა კაცმა, საყვედურობს, რომ 2001 წელს დაწერილ ნაშრომში მან ქართველი ერი დაუნებს შეადარა და არ უნდა ეკადრებინა ამ ქვეყნის პრეზიდენტობა.**

**„ექსკლუზიურად გეტყვით, რომ იწერება საარჩევნო სქემა, რომელ პარტიას უნდა გადაალახვინონ საარჩევნო ბარიერი და რომელმა პარტიამ ხმების რამდენი პროცენტი უნდა მიიღოს. ვაფრთხილებ ხელისუფლებას, ჩვენამდე ყველა ინფორმაცია მოდის, სანამ დროა, შეეშვით უხეშ ჩარევებს“**

**როგორც ჩანს, თოფაძეს პრეზიდენტის ეს ნაშრომი „ნიჩურტა, მე ქართველი ვარ“ წაკითხული არ აქვს, რადგან იქ სიტყვა „დაუნი“ ნახსენები არაა, თუმცა ამით თოფაძემ ასიამოვნა ერთ კაცს — ბიძინა ივანიშვილს. არის თუ არა თოფაძე „ქართული ოცნების“ სახე, რომელიც ფიქრობს არა ქვეყანაზე, არამედ ერთ კაცზე, თუ რა ესიამოვნება მას?**

– მისი ეს ქმედება, პირდაპირ თუ ირიბად, ადასტურებს, რომ მან თავისი გამოსვლით მართლაც ერთ ადამიანს ასიამოვნა. თუ ვინმე პოლიტიკაში მოსვლამდე რაღაც სტატიას დაწერს, მხატვრულ ესსეს, ან ოპუსს, ასეთი ფორმით ადამიანი ჯვარს რომ აცვა, არასწორია. შეიძლება მარგველაშვილს დაეთანხმო, ან არ დაეთანხმო, მაგრამ დღეს ამის გახსენება ასეთი ფორმით არ იყო სწორი, როცა შემოქმედ ადამიანს რაღაც არ მოსწონს, ის თავის ემოციასა და გრძნობას გადმოსცემს. მე არავის არავის ვადარებ, მაგრამ აკაკი წერეთელმა დაწერა – „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო“, ილია ჭავჭავაძემ აღწერა ქართველის ხასიათი „კაცია ადამიანში?!“, მას ეკუთვნის ლექსი: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?! მტვერწაყრილი, თავდახრილი, ყოვლად უქმი, უდიერი, უზღუდონი, გზამრუდონი, არგამტანი და ცბიერი, მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი, არრის მცოდნე, უზრუნველი და მშიერი...“ მე არ მომწონს მარგველაშვილის შედარებები, რომელიც ქართველი ხალხის მიმართ გამოიყენა, მაგრამ პარლამენტის ტრიბუნიდან ეს გასახსენებელი არ იყო.

თოფაძის სკანდალურმა გამოსვლამ კიდევ ერთხელ დააპირისპირა კოალიცია „ქართული ოცნების“ სუბიექტები. მართალია, თოფაძემ ბოდიში მოიხადა გამონათქვამის გამო, მაგრამ, როგორც ჩანს, დაპირისპირება საჯარო გახდება და არჩევნების მოახლოებასთან ერთად ჩვენ ვიხილავთ „ბრძოლას წესების გარეშე“, საშუალება რომ მიეცე, ერთმანეთს ომს გაუმართავდნენ. ეს ხელისუფლება პატივისცემის გრძნობას გაკარგვინებს თავისი უპრინციპობით, უხეში და უზრდელი ქმედებებით და ნულარ სწყინთ, ჩვენც რომ ასე ხელაღებით ვლაპარაკობთ მათზე. მივმართავ ხელისუფლებას: თქვენ არაფერს წარმოადგენთ, ჩამოკიდებული ხართ ერთ ადამიანზე. ახლა კი უარყოფენ, რომ სიებზე ლაპარაკი არ დაწყებულაო, მაგრამ მე გეტყვით, ყოველი მათი შეხვედრა არის პრელუდია იმისა, რომელი პოლიტიკური სუბიექტი რამდენ კვოტას მიიღებს კოალიციაში და იმასაც კი განიხილავენ, მომავალ მთავრობაში ვის რა პორტფელი შეხვდება აღმასრულებელ ხელისუფლებაში. რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, თქვენ ნახავთ, რომ სიტუაცია უფრო დაიძაბება და ყველაფერს გააკეთებენ, რომ ამომრჩეველთა გული მოიგონ. ექსკლუზიურად გეტყვით, რომ იწერება საარჩევნო სქემა, რომელ პარტიას უნდა გადაალახვინონ საარჩევნო ბარიერი და რომელმა პარტიამ ხმების რამდენი პროცენტი უნდა მიიღოს. ვაფრთხილებ ხელისუფლებას, ჩვენამდე ყველა ინფორმაცია მოდის, შეეშვით უხეშ ჩარევებს. დავაზუსტებ და მოკლე ხანში „ალიას“ ექსკლუზიურად მივაწვდი ინფორმაციას, კონკრეტულად რომელი პარტიების გაყვანა სურს „ქართულ ოცნებას“ მომდევნო პარლამენტში.

## რატი დურგლიშვილის კომენტარი მანქანის აფეთქების შემდეგ



თბილისში, გაგარინის ქუჩაზე „მერსედესის“ მარკის ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა. არსებული ინფორმაციით, ავტომობილი მომღერალ რატი დურგლიშვილს ეკუთვნის.

ჩვენ ინფორმაცია მომღერალთან გადავამოწმეთ, ის ადასტურებს ფაქტს:

– ნამდვილად გადავრჩი. გაგარინზე ჩვეულებრივად ვმოძრაობდი საკუთარი მანქანით. მანქანის წინა ნაწილში კვამლი შევამჩნიე, სწრაფად გავაჩერე და გადმოვედი. რამდენიმე წუთში მთლიანად აალდა. მანქანა მთლიანად დაიწვა, მისი გამოყენება შეუძლებელია. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სახანძროსა და პატრულს, რომ გადავრჩი.

მომღერლის თქმით, დაზიანება არ მიუღია, რადგან მანქანიდან გადმოსვლა დროულად მოახერხა. (ambebi.ge)

## „ყოფილა შემთხვევა, როცა რძალს მაზლი ტაფით უცემია“ — ძალადობის მსხვერპლთა ამბები

– ქალების გარდა, გვაქვს შემთხვევები, როდესაც ძალადობის მსხვერპლი მამაკაცია, – აღნიშნულის შესახებ „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ხელმძღვანელმა ნატო შავლაყაძემ განაცხადა.

მისი თქმით, არის შემთხვევები, როდესაც რძალი მამამთილზე ან მაზლზე ფიზიკურად ძალადობს, ან უგულებელყოფს მათ.

– წელი არ გავა ისე, რომ რამდენიმე შემთხვევა არ იყოს, როდესაც მამაკაცია მსხვერპლი. მამაკაცებს ქალებზე მეტად უჭირთ ძალადობის შესახებ გაცხადება. ესენი არიან რძლის მსხვერპლი მამამთილები, ისინი არიან ფიზიკური ძალადობის ან უგულებელყოფის მსხვერპლნი, რძლისგან, შვილიშვილებისგან. მაგალითად, როდესაც ავად არის ადამიანი და არ მიაქვთ მისთვის წამალი, არ უძახებენ ექიმს.

არის დაუოჯახებელ მაზლებზე რძლისგან ფიზიკური ძალადობის ფაქტებიც. ისინი ცდილობენ, სახლიდან გააძევონ მაზლი.

ყოფილა შემთხვევა, როცა რძალს მაზლი ტაფით უცემია. თუმცა, საერთო რაოდენობასთან შედარებით, მამაკაცების მხრიდან ძალადობის შესახებ მომართვიანობის რიცხვი ძალიან დაბალია. გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ მამაკაცები ამაზე საუბარს არ ერიდებოდნენ, – განაცხადა ნატო შავლაყაძემ. (kvira.ge)

## ნეტა, რატომ იმართლებს თავს საპატრიარქო?!



საქართველოს საპატრიარქო რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის სახდელის დაწესების შესახებ კანონპროექტს ეხმაურება და სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ ეს კანონპროექტი საპატრიარქოს ინიციატივა არ ყოფილა.

– როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის შემოღებას რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის. სოციალურ ქსელებშიც და ზოგიერთ საინფორმაციო საშუალებებში ვრცელდება ინფორმაცია ამ კანონპროექტთან საპატრიარქოს კავშირის შესახებ, მიაჩნიათ რა, რომ მისი მიზანი თითქოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის „ჯანსაღი კრიტიკის აცილებაა“, რაც რეალობას არ შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ძალიან ხშირია ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის მიმართ ცილისმწამებლური და სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები და გამოსვლები, მსგავსი კანონპროექტის მიღების საკითხი არც ადრე და არც ამჟამად ჩვენი ინიციატივა არ ყოფილა. რელიგიურ თემებთან დაკავშირებულ ამ და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან მიმართებაში მომავალ სამშაბათს საქართველოს საპატრიარქოში ინტერრელიგიურ საბჭოში შემავალი რელიგიური გაერთიანებების სამუშაო შეხვედრა იგეგმება, – ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (პირველი რადიო)

## თურქეთი სირიაში სამხედრო ინტერვენციისთვის ემზადებაო



რუსეთი მიიჩნევს, რომ თურქეთი სირიაში სამხედრო ინტერვენციისთვის ემზადება. როგორც რუსული მედია წერს, ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა იგორ კონაშენკოვმა განაცხადა.

– ჩვენ გვაქვს სერიოზული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ თურქეთი ინტენსიურად ემზადება სუვერენული სახელმწიფოს, სირიის არაბული რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო შეჭრისთვის, – განაცხადა კონაშენკოვმა.

მისი ინფორმაციით, სამხედრო სამზადისი თურქეთ-სირიის საზღვართან მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# „პროკრედიტ ბანკს“ 2016 წლის 8 თებერვალს ეწურება ვადა

„პროკრედიტ ბანკის“ მიერ კლიენტებისთვის ნათქვამი ფრაზის, „ღმერთმა დაგლოცოს“ გამო, სამსახურიდან დათხოვნილი ანა მ.-ს ინტერესების დამცველი აცხადებს, რომ აღნიშნულ ბანკს ამა წლის 8 თებერვალს ეწურება ვადა, როდესაც მან სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაასაჩივროს საქალაქო, ან უზენაეს სასამართლოში.

**აღნიშნულ საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელ და ანა მ.-ს ინტერესების დამცველ არჩილ კაიკაციშვილთან დეტალურად „ალიას“ ერთ-ერთ წინა ნომერში ვისაუბრეთ. ამ მომენტისთვის კი დავინტერესდით, რა ხდება**

განახორციელებდნენ. სახალხო დამცველი ამ საკითხის განხილვას დაგვპირდა და მზად ვართ, მას მომავალში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ.

**— წინა ინტერვიუში მითხარით, რომ აპირებდით ოფიციალური წერილით მიგემართათ „პროკრედიტ ბანკისთვის“, რათა საზოგადოების წინაშე ბოდიში მოეხადათ მათ მიერ რელიგიური მოტივით განთავისუფლებული თანამშრომლის ამბის გამო.**

– ორგანიზაციის სახელით, 2016 წლის 26 იანვარს ოფიციალური ღია წერილით მივმართეთ „პროკრედიტ ბანკის“ დირექტორს, ქალბატონ ქეთევან ხუსკივაძეს, ბანკის კიდევ ერთ დირექტორს, ქალბატონ სოფიო კორძახიას და ბანკის გერმანული მენეჯმენტის ხელმძღვანელს, ასევე, დირექტორს, ბატონ ალექსი მატუას. ჩვენ დავუსაბუთეთ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების არაკანონიერება და შეუსაბამობები, მოვთხოვეთ პასუხი დასაქმებულის რელიგიური მოტივებით განთავისუფლებასთან ბანკის ხელმეორე განმარტებებთან დაკავშირებით, რადგან ბანკის პირველი და უკანასკნელი განცხადება საზოგადოებამ მას შემდეგ მოისმინა, რაც აღნიშნული ფაქტის შესახებ საჯაროდ გახდა ცნობილი. მათი ოფიციალური, ახალი პოზიცია იმ ფაქტთან დაკავშირებით, როდესაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერი გაავრცელეს, სადაც ბანკის იურისტი მოსამართლესთან დისკუსიაში კიდევ ერთხელ ადასტურებს განთავისუფლების რელიგიურ მოტივებს – არ დაფიქსირებულა. ჩვენი წერილის მთავარი მიზანი იყო, ბანკს 29 იანვრის მდგომარეობით გაევრცელებინა ოფიციალური განცხადება და დაეგმო რელიგიური მოტივებით თანამშრომლის განთავისუფლება სამსახურიდან, ქართველი საზოგადოების წინაშე ბოდიში მოეხადა და დაედო პირობა, რომ საკადრო გადაწყვეტილებებისას მომავალში მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა იმ მანკიერ პრაქტიკას, როდესაც ადამიანების ამ ბანკიდან განთავისუფლება მხოლოდ რელიგიური მოტივით უხდებოდა.

სხვათა შორის, სახალხო დამცველი დაინტერესდა, ვფლობდით თუ არა ინფორმაციას აღნიშნული ბანკიდან სხვა განთავისუფლებების შესახებ, რომელიც რელიგიური მოტივით იქნებოდა მოწოდებული. ჩვენ ასეთი ინფორმაცია იმჟამად არ გაგვაჩნდა, თუმცა არსებობს ცალკეული მოარული ხმები, რომ რელიგიური მოტივებით „პროკრედიტ ბანკიდან“ აღნიშნული განთავისუფლება პირველი არ არის და ასეთი პრობლემების წინაშე სხვა დასაქმებულებიც დამდგარან, რომლებიც ამჟამად ბანკში აღარ საქმიანობენ.

**— სად მოკარით ყური ასეთ ინფორმაციას?**

– ასეთი შეხედულებები მოვისმინე სოციალურ ქსელებში, ფორუმებზე, სადაც აღნიშნული თემა აქტიურად განიხილება. ამიტომ თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა მივმართო ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც „პროკრედიტ ბანკში“ საქმიანობდა და რომლის განთავისუფლებაც სწორედ რელიგიური მოტივებით მოხდა, აუცილებლად დაგვიკავშირდნენ და ჩვენ თითოეულ ასეთ ქეისს განვიხილავთ. ასევე, ამა წლის 1-ელ თებერვალს ოფიციალური წერილით, აგრეთვე, მივმართეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, ქალბატონ ბეტინა კადენბახს და ვთხოვეთ, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საელჩოს გამოეხატა თავისი ინტერესი. ვთხოვეთ, ჩანიშნულიყო მიღება როგორც საქმის ადვოკატთან, ასევე განთავისუფლებულ მოქალაქესთან. ამ დრომდე საელჩოს მხრიდან გამოხმაურება არ ყოფილა, თუმცა ვიმედოვნებ, რომ საქართველოში გერმანიის საელჩო ასეთი სენსიტიური თემების მიმართ აბსოლუტურად სწორ რეაქციას დააფიქსირებს. ჩვენ არ მიგვიმართავს, მაგრამ ძალიან მაკვირვებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამსახურის, კერძოდ, რელიგიის სააგენტოს დუმილი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, რადგანაც ეს არის ერთადერთი ლეგიტიმური სამსახური, რომელიც ახდენს იმ პრინციპების განუხრელად დაცვას ცხოვრებაში და კერძო თუ საჯარო ურთიერთობების დროს, რომელიც ეხება რელიგიურ აღმსარებლობას, რელიგიურ თავისუფლებას, პიროვნულ განვითარებას და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას ამ მიმართულებით.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა დუმდეს რელიგიის სააგენტო?**

– არ ვიცი, ჩემთვის ეს აუხსნელია. ასევე, აუხსნელია ამ სააგენტოს რეალური ფუნქცია, თუკი ასეთი სერიოზული თემების მიმართ მათ არ ექნებათ თანასწორი დამოკიდებულება. ის ფინანსდება საჯარო ბიუჯეტიდან, შესაბამისად, მისი სტაფი არის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი, მათ შორის ამ სააგენტოს მეშვეობით, არის ის, რომ ამ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ადამიანის აღმსარებლობას გაუფრთხილდეს, დაიცვას და პრობლემების შემთხვევაში შეისწავლოს და ჰქონდეს სწორი რეაგირება.




**სკანდალური განთავისუფლების ირგვლივ?**

– თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ინფორმაციით, მოწინააღმდეგე მხარეს, ანუ „პროკრედიტ ბანკს“ 2016 წლის 8 თებერვალს ეწურება ვადა, როდესაც მან სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაასაჩივროს ან საქალაქო, ან უზენაეს სასამართლოში. ჩვენ მოცემული პერიოდი გამოვიყენეთ იმისთვის, რომ ამ ყველაფრის საქმის კურსში ჩაგვეყენებინა ცალკეული უწყებები და ინსტიტუციები. სკანდალური განთავისუფლების შესახებ პირველად ინფორმაცია სახალხო დამცველს მივაწოდეთ, ჩემსა და ბატონ უჩა ნანუაშვილს შორის შედგა შეხვედრა, რომლის ინიციატორი „ახალგაზრდა ადვოკატები“ იყო. მან მოისმინა საქმის ვითარება, დასვა მნიშვნელოვანი კითხვები და გამოთქვა გულისტკივილი იმ პრეცედენტის გამო, როდესაც კერძო სუბიექტი, ამ შემთხვევაში ბანკი, ამ ფორმით ცდილობს არასასურველი კადრების განთავისუფლებას. ჩვენ ვთხოვეთ სახალხო დამცველს, რომ შემდგომი სასამართლო ეტაპებისთვის გამოეყო სახალხო დამცველის სპეციალური მონიტორები, რომლებიც ამ საქმის მონიტორინგს

ჩვენ არ ვაფინანსებთ რელიგიის სააგენტოს მხოლოდ იმის გამო, რომ სხვადასხვა კონფესიების რელიგიური დღესასწაულების მიმართ ჰქონდეთ ოფიციალური განცხადებები და მხოლოდ მათი სხვადასხვა დღესასწაულის მილოცვით შემოიფარგლოს. სააგენტოს ოფიციალური როლი და დანიშნულება გაცილებით მეტია, ვიდრე რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა და მოლოცვა.

იმედი მაქვს, სააგენტოს ხელმძღვანელობა „პროკრედიტ ბანკიდან“ რელიგიური მოტივებით განთავისუფლებული ქალბატონის საქმით დაინტერესდება. ნამდვილად არ მინდა დამრჩეს განცდა, რომ აღნიშნული განთავისუფლება რომ შეხებოდა სხვა რელიგიური აღმსარებლობის პირს, მაგალითად, მუსლიმანს თუ სხვა აღმსარებლობის მქონე პირს, ჩვენი სამოქალაქო სექტორი, რელიგიის სააგენტო და ყველა, ვინც ამ თემაზე მუშაობს, მხოლოდ მაშინ დაგმობდა ხმალამოღებული ერთხმად ასეთ შემთხვევას. რადგანაც განთავისუფლება მოხდა ქრისტიანული აღმსარებლობის პირის რელიგიური გრძნობების საფუძველზე, ეს არ უნდა იყოს შეუმჩნეველი, რადგანაც თანასწორიანობის პრინციპი მოქმედებს მართლმადიდებელი ქრისტიანისთვისაც, მუსლიმანისთვისაც და სხვა რელიგიური აღმსარებლობის პირისთვისაც.

## „მთავრობა კრიზისებისა და უშიშროების საბჭოების გაერთიანებას და პრეზიდენტის დაქვემდებარებას მხარს არ დაუჭერს“



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, მთავრობა კრიზისებისა და უშიშროების საბჭოების გაერთიანებას და პრეზიდენტის დაქვემდებარების ქვეშ მოქცევას მხარს არ დაუჭერს და განმარტავს, რომ საკითხზე მთავრობის ყველა წევრს ერთი პოზიცია აქვს. წულუკიანი მიიჩნევს, რომ მთავრობას სჭირდება მართვის ინსტრუმენტები და მას უნდა ჰქონდეს ცალკე კრიზისების მართვის საბჭო. იუსტიციის მინისტრი ამბობს, რომ ამის მაგალითისთვის გამოდგება სტიქია, რომელიც თბილისში რამდენიმე თვის წინ მოხდა.

– მე გამოვხატავ ერთი მინისტრისა და მთლიანად მთავრობის პოზიციას – ჩვენ ერთსულოვანი პოზიცია გვაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობას, რომელიც არის ძალიან ბევრი ტვირთის, პასუხისმგებლობის მატარებელი კოლეგიური მართვის ორგანო, სჭირდება მართვის ინსტრუმენტები. მას უნდა ჰქონდეს ცალკე კრიზისების მართვის საბჭო, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მოსახლეობის წინაშე ვალდებულებები შეასრულოს. ასე რომ, ამ საბჭოების გაერთიანებას და პრეზიდენტის დაქვემდებარების ქვეშ მოქცევას მთავრობა მხარს არ დაუჭერს, – განაცხადა წულუკიანმა. (პირველი რადიო)

## ცოტნე გამსახურდია: სანამ წილხვედრის მოსახლეობა გაერკვევა, არის თუ არა კახეთში გაზის უმდიდრესი საბადო...



ცოტნე გამსახურდია „ფეისბუკში“ სტატუსს აქვეყნებს:

– სანამ წილხვედრის მოსახლეობა გაერკვევა, არის თუ არა კახეთში გაზის უმდიდრესი საბადო, იქაურობა რამდენიმე პოლიტიკოს-ბიზნესმენ-კრიმინალის ხელში აღმოჩნდება და მერე ირბინეთ ენაგადმოგდებულებმა! ასე მგონია მე... (news.ge)

## რუსეთს სანქციები ყირიმზე უკრაინის კონტროლის აღდგენამდე არ მოეხსნება



რუსეთს სანქციები უკრაინის მიერ ყირიმზე კონტროლის აღდგენის შემდეგ მოეხსნება. „დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, ამის შესახებ საუბარია ევროპარლამენტის რეზოლუციაში, რომელიც სტრასბურგში მიიღეს.

– უკრაინის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულზე კონტროლის აღდგენა წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას, რომელიც საჭიროა რუსეთთან თანამშრომლობის აღსადგენად, მათ შორის შესაბამისი სანქციების შესაჩერებლად, – ნათქვამია რეზოლუციაში.

ევროპარლამენტი ამავე დოკუმენტში გმობს ნახევარკუნძულზე მცხოვრებთა უფლებების დარღვევის უპრეცედენტო დონეს, განსაკუთრებით ყირიმელ თათრებთან მიმართებაში. ასევე, საუბარია ყირიმში გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრებების კუთხით უფლებების დარღვევაზე.

ამავდროულად, ევროპარლამენტი მიესალმება უკრაინის ინიციატივას, შეიქმნას ყირიმთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ახალი ფორმატი „ჟენევა პლუსი“, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის, აშშ-ისა და ბუდაპეშტის მემორანდუმის წევრთა მონაწილეობას. (ინტერპრესნიუსი)

## გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ კრიზისების მართვის საბჭო უნდა გაუქმდეს



პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ კრიზისების მართვის საბჭო უნდა გაუქმდეს. ხუხაშვილის განცხადებით, კრიზისების მართვის საბჭო არის აბსოლუტურად მოგონილი ინსტიტუტი, რომელიც თავისი პერსონალური კომპეტენციით ძალიან სერიოზულ კითხვის ნიშნებს ბადებს.

– ვფიქრობ, რომ კრიზისების მართვის საბჭო, უბრალოდ, უნდა გაუქმდეს, ეს იყო მოგონილი ინსტიტუტი გარკვეული მიზნებით. უშიშროების საბჭოს ეს მიმართულება ისედაც აქვს და თუ მას სჭირდება ამ ტიპის დეპარტამენტი, შექმნის უშიშროების საბჭოს შიგნით. ეს უნდა გაუქმდეს ფაქტია, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

მისივე თქმით, კრიზისების მართვის საბჭოს შექმნა ყოფილი პრემიერ-მინისტრის პირადი გადაწყვეტილებაა.

– დავივიწყოთ, გადავშალოთ ეს ფურცელი, წავიდა პრემიერი, რომლის პირადი გადაწყვეტილება იყო ამ რგოლის შექმნა. უბრალოდ, გავაუქმოთ. ახლა უშიშროების საბჭო რა ფორმატში იმუშავებს, რა დეპარტამენტები ექნება, ეს ცალკე საკითხია. ფაქტია, რომ უშიშროების საბჭო არის კონსტიტუციური ორგანო, მისი ლეგიტიმაცია არის მაღალი, რაც გამოჩნდა კიდეც, – აღნიშნა ხუხაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# რისთვის სჭირდება პატარკაციშვილების ოჯახს 49 მილიონიანი დავალიანების მქონე „მაესტრო“?

ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ აჟიოტაჟი ალბათ, დიდხანს გაგრძელდება. გუშინ ტელეკომპანიის დამფუძნებელთა კრებამ არხის გენერალური დირექტორი, ბაია გადაბაძე პოსტიდან გაათავისუფლა და მის ადგილას ლევან გაჩეჩილაძე დანიშნა. გადაბაძე აცხადებს, რომ მისი განთავისუფლება არაკანონიერია, რადგან მას კონტრაქტით გათვალისწინებული არც ერთი პუნქტი არ დაურღვევია. ამის შემდეგ გადაბაძემ თქვა, რომ მას შავი „ჯიპით“ უთვალთვალებენ, სურათებს უღებენ და რომ ამას, სავარაუდოდ, სუს-ის თანამშრომლები ახორციელებენ. ამ განცხადებით გადაბაძემ მიანიშნა, რომ „მაესტროს“ ამბებში ხელისუფლებაა ჩარეულიო.

„მაესტროს“ საქმეში ბოლო დღეებში ბევრი გაუგებრობა და საეჭვო საკითხი გაჩნდა. გია გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ მას „მაესტროს“ 25%-იანი წილის შესაძენი თანხა (30%-ს მანამდეც ფლობდა) ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ბიზნესების მმართველმა, ირაკლი რუხაძემ ასესხა – 2.5 მილიონი დოლარი. ტელეკომპანია „იმედმა“, რომელიც ასევე პატარკაციშვილების მემკვიდრეების საკუთრებაა, 5 მილიონად იყიდა „მაესტროს“ 1-წლიანი საეთერო დროის 100%. გარდა ამისა, „მაესტროს“ 49 მილიონი დოლარის დავალიანება აქვს და თუ ამ თანხასაც რუხაძე გადაიხდის, მაშინ ვაწყდებით კიდევ უფრო დიდ გაუგებრობას.

ჯერ ერთი, რაში სჭირდება ლამის გაკოტრებული ტელევიზიის სარეკლამო დროის 5 მილიონ დოლარად ყიდვა? „მაესტროს“ ინტერესი გასაგებია, როგორც ჩანს, წლიურად 5 მილიონზე ბევრად ნაკლები შემოსავალი ჰქონდა და სარფიანად გაყიდა სარეკლამო დრო, მოგება წინასწარ განაღდებული აქვს, ამით „მაესტროს“ დამფუძნებლები იხეირებენ, მაგრამ პატარკაციშვილებმა, გამოდის, წყალში გადაყარეს ეს ფული.

დიდი ხანია, ლაპარაკია იმაზე, რომ ბადრი პატარკაციშვილის დები აპირებენ ქართულ პოლიტიკაში მოსვლას. თუ ეს ასეა, ახლა მათ „იმედიც“ აქვთ, „მაესტროც“ და საპარლამენტო არჩევნებამდე იმ პოლიტიკურ ძალას გაუწევენ რეკლამას, რომლის უკანაც თავად იდგებიან, ან შესაძლოა, მათ თავადვე ჩამოაყალიბონ პარტია და ორივე ტელევიზია მხოლოდ ამ პარტიას გაარეკლამებს. ეს შესაძლოა, მართლა მოხდეს, მაგრამ 5 მილიონი მაინც ბევრია მხოლოდ „მაესტროსთვის“, ეს თანხა, დიდი ალბათობით, ყველა რეიტინგულ ტელევიზიას ეყოფოდა რეკლამების გასაშვებად.

აბა რაში დასჭირდათ ამ 5 მილიონის გადახდა? დავუშვათ, რუხაძეს იმედი აქვს, რომ ამ 5 მილიონს არჩევნების წინ სხვა პოლიტიკური პარტიების რეკლამებიდან „ამოქაჩავს“, მაგრამ ეს არარეალური ჩანს, ეს შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ამას ბაია გადაბაძეც გააკეთებდა და სარეკლამო დროს არ გაყიდიდნენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პატარკაციშვილები სერიოზულად აპირებენ პოლიტიკაში მოსვლას, მათ სჭირდებათ 2 ტელევიზია, რათა მხოლოდ მათი პარტიის რეკლამა გავიდეს და ამ არხებზე სხვა პოლიტიკური ძალები არ გააჭაჭანონ. მაგრამ, ვიმეორებ, 5 მილიონი ძალიან ბევრია „მაესტროს“ თუნდაც 1-წლიანი სარეკლამო დროისთვის, თუმცა, ამ ეტაპზე სხვა ახსნას ვერ ვუძებნი, ამდენი ფული რატომ გადაიხადეს?

ახლა, გადავიდეთ კიდევ ერთ გაუგებრობაზე. კარგი, ეს 2.5 მილიონი ასესხა ირაკლი რუხაძემ გია გაჩეჩილაძეს, მაგრამ ტელევიზიას ვალებს რამდენ ხანს აპატიებენ? რითი გადაიხდიან გაჩეჩილაძეები 49 მილიონიან დავალიანებას? ამ ფულსაც მასესხებსო რუხაძე, ეს „უცნობს“ არ უთქვამს. აბა, ამ 49 მილიონსაც პატარკაციშვილები იხდიან? არც ერთი გათვლებით ეს არც პოლიტიკურად არის მომგებიანი და არც ბიზნესის მხრივ. ირაკლი რუხაძე სერიოზული ბიზნესმენია, პატარკაციშვილების მილიარდებიან ბიზნესს მართავს, ამიტომ, წარმოუდგენელია, ნაკლებად პერსპექტიულ და გაკოტრების რეჟიმში მყოფ ტელევიზიაში, ჯამში, 54 მილიონი (5 მილიონი სარეკლამო თანხის დამატებით) გადაიხადოს. სულ მარტივად, ეს 54 მილიონი რომ ამოიღონ, მინიმუმ, 11 წელი დასჭირდებათ, რეკლამების გარდა ხომ ტელევიზიებს სხვა შემოსავალი არ აქვთ? ანუ, 1 წელიწადში ეს 5 მილიონი შემოსავალი კი არა, სუფთა მოგებაც რომ იყოს, მარტივი არითმეტიკაა – 54 გაყოფილი 5-ზე, დაახლოებით 11 წელი გამოდის.

> **ირაკლი რუხაძე სერიოზული ბიზნესმენია, პატარკაციშვილების მილიარდებიან ბიზნესს მართავს, ამიტომ, წარმოუდგენელია, ნაკლებად პერსპექტიულ და გაკოტრების რეჟიმში მყოფ ტელევიზიაში, ჯამში, 54 მილიონი (5 მილიონი სარეკლამო დროის დამატებით) გადაიხადოს. სულ მარტივად, ეს 54 მილიონი რომ ამოიღონ, მინიმუმ, 11 წელი დასჭირდებათ, რეკლამების გარდა ხომ ტელევიზიებს სხვა შემოსავალი არ აქვთ?**

მგონი, საიდანაც წამოვედი, ისევ იქ მივდივარ, საქმე სერიოზულ პოლიტიკურ ინტერესებთან უნდა გვქონდეს და პატარკაციშვილებს, ჩვენ ჯერ რომ არ ვიცით, ისე სჭირდებათ „მაესტრო“. აქვე ერთ, ნაკლებად დამაჯერებელ ვერსიაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. 54 მილიონი ვიღაცისთვის საოცნებო თანხაა, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, ჩვენ იმ კაცის მემკვიდრეებზე ვსაუბრობთ, რომელმაც სიკვდილამდე 1 წლით ადრე, კითხვაზე, მართლა 6 მილიარდის ქონება გაქვთო? განაცხადა, ეგ ორზე გაამრავლეო. მოკლედ, ჩვენ შეიძლება გვეძვირება „მაესტროში“ ჩაყრილი თუ ჩასაყრელი თანხა, მაგრამ პატარკაციშვილებს ულირთ. იმის განხილვას, რომ ეს 54 მილიონი პატარკაციშვილებმა გია გაჩეჩილაძეს ასესხონ და თავად არანაირი ინტერესი არ ჰქონდეთ, აზრი არ აქვს. ყველაფერს თავი დავანებოთ, ამხელა თანხას გია გაჩეჩილაძე, ალბათ, არასდროს დააბრუნებს, რადგან „მაესტროს“ მეშვეობით მისი გადახდის პერსპექტივა საუკეთესო შემთხვევაში, 10-წლიანია და ალბათ, არც ამდენი ხნით ასესხებს ვინმე ფულს.

აქვე ისიც ვთქვათ, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება, რომ „იმედის“ მფლობელებმა, კონკურენტი არხის გასაძლიერებლად ფული გაიღონ. ეს ბიზნესში ანომალიაა. ბიზნესის წესები კი, ვიმეორებ, ირაკლი რუხაძემაც კარგად იცის და პატარკაციშვილის მემკვიდრეებმაც.

თუმცა, შეიძლება ვიმსჯელოთ ერთ ვერსიაზეც. პატარკაციშვილებს არც „მაესტრო“ სჭირდებათ და „იმედსაც“ იმიტომ ინახავენ, რომ ცხონებულ ბადრის უყვარდა ძალიან და მას შვილობილს ეძახდა. იქნებ, პატარკაციშვილები ეხმარებიან ბიძინა ივანიშვილს, რომელიც თავად არ ჩნდება და მათი სახელით იყიდა „მაესტროც“ და მისი სარეკლამო დროც. ამ ვერსიით, ივანიშვილის მიზანია, კონკურენცია გაუწიოს „რუსთავი 2“-ს და არჩევნებამდე არხს სერიოზულად მოაძლიერებს. ამ ვერსიას ისიც აძლიერებს, რომ „მაესტროს“ ამბებში გია და ლევან გაჩეჩილაძეები გააქტიურდნენ, რომლებიც ივანიშვილთან ახლოს არიან. თუმცა, ერთი მცირე ხარვეზი ამ ვერსიასაც აქვს. ყოფილმა დეპუტატმა ვალერი გელბახიანმა ორიოდე კვირის წინ „ალიას“ განუცხადა, რომ ირაკლი რუხაძეს პრემიერ-მინისტრობა სურდა, მაგრამ ქვეყნის დე ფაქტო მმართველმა, ივანიშვილმა ის ამ პოსტზე არ დანიშნა და ამის შემდეგ მათ შორის ურთიერთობა გაფუჭდაო.

ლოგიკურად, ივანიშვილსა და პატარკაციშვილებს შორის ეს სავარაუდო გარიგება რუხაძეს უნდა ჩაეშალა, მაგრამ ასე არ მოხდა. შესაძლოა, მან ეს კიდეც სცადა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებებს პატარკაციშვილის მემკვიდრეები იღებენ, ის ბიზნესი, რომელსაც რუხაძე განკარგავს, მათია და რუხაძე, ბოლოს და ბოლოს, დაქირავებული მენეჯერია. ლოგიკური ვერსიაა, რომ პატარკაციშვილებმა არა მხოლოდ ამით მოუმართონ ხელი ივანიშვილსა და მის „ქართულ ოცნებას“, არამედ მათზე „იმედმაც“ იმუშაოს საარჩევნოდ. პატარკაციშვილები ერთგვარად ვალში არიან ივანიშვილთან. ეს კაცი პრემიერი გახდა თუ არა, სააკაშვილის მიერ წართმეული მრავალმილიონიანი აქტივები დაუბრუნა გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს.

თუმცა, იქნებ, სულ სხვა რაიმესთანაც გვქონდეს საქმე. ივანიშვილმა, შესაძლოა, ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებზე უფრო სანდო და ფინანსურად ძლიერი თანამოაზრე ძალა ვერ ნახა და არჩევნებში მათი ჩართვა მოინდომა. ამ ვერსიით, გამოდის, რომ „მაესტროში“ ფული პატარკაციშვილებმა გადაიხადეს, ეს არხიც და „იმედიც“ მათ მიერ მხარდაჭერილ პოლიტიკურ ძალას, ან მათსავე პარტიას გაუწევს პიარს არჩევნების წინ და ასევე, ივანიშვილსაც, სანაცვლოდ კი, ივანიშვილი მათ ძალაუფლებას გაუყოფს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამ ვერსიის ძლიერი მხარე ის არის, რომ სწორედ ივანიშვილის დასტურით დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად ბადრი პატარკაციშვილის დისშვილი, ხათუნა თოთლაძე და კულუარულად არის ლაპარაკი, რომ არჩევნების შედეგ შეიძლება ის მინისტრი გახდეს. ეს პროცესი, ორი მილიარდერის კლანის შერწყმის და ქვეყნის მართვისა, შესაძლოა, უკვე დაიწყო კიდეც და ჩვენ აზრზე არ ვართ.

**ბაია გადაბაძე პირველი იყო, ვინც „მაესტროსთან“ დაკავშირებით პოლიტიკურ მოტივებზე ალაპარაკდა, მაგრამ დეტალურად არ დაუკონკრეტებია, რას გულისხმობდა. ამიტომ გვსურდა დაკავშირება და მისი ინფორმაციების თუ ვერსიების მოსმენა. გადაბაძის ტელეფონი მუდმივად დაკავებული იყო. მას სმს-ი გავუგზავნე, რომ „ალიას“ ჟურნალისტი ვიყავი და მასთან „მაესტროს“ შესახებ მსურდა კითხვების დასმა, თუმცა ვერც ამის შემდეგ შევძელი მასთან დაკავშირება.**

## თურქეთმა რუსი ჟურნალისტებისთვის სავიზო რეჟიმი დააწესა



„ბიბისის“ ინფორმაციით, 15 თებერვლიდან რუს ჟურნალისტებს თურქეთში ჩასასვლელად ვიზის აღება დასჭირდებათ. როგორც მოსკოვში მდებარე თურქეთის საელჩოში აცხადებენ, მედიის წარმომადგენლებს სპეციალური ვიზის აღება მოუწევთ. მსგავსი სახის ვიზის აღება რუსეთში მყოფ თურქ ჟურნალისტებსაც უწევთ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთმა 1-ლი იანვრიდან თურქეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი გააუქმა. ამის მიზეზი გასული წლის 24 ნოემბერს თურქეთის გადაწყვეტილებით რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდება გახდა. ოფიციალური ანკარის განცხადებით, რუსულმა საფრენმა აპარატმა თურქეთის საჰაერო სივრცე დაარღვია, რასაც რუსული მხარე უარყოფს.

მომხდარის შემდეგ რუსეთმა თურქეთს არაერთი ეკონომიკური სანქცია დაუწესა, მათ შორის რუსეთში შეზღუდა თურქული პროდუქციის იმპორტი და თურქეთის მიმართულებით ტურისტული საგზურების გაყიდვა აკრძალა. (bpn.ge)

## გამოცანა: ყველაფერს უთანხმებენ, ყველაფერს აკვირდება და ყველას შენიშვნას აძლევს, ვინ არის? პასუხი: ბიძინა ივანიშვილი



პარლამენტარ გოგი თოფაძის განცხადებით, პარლამენტში მისი გამოსვლის შემდეგ, ის ბიძინა ივანიშვილს ესაუბრა, რომელმაც შენიშვნა მისცა და უთხრა, რომ არასწორი იყო მისი მხრიდან ასეთი გამოსვლა.

ამის შესახებ გოგი თოფაძემ ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში ჩართვისას ისაუბრა და ბოდიში მოიხადა.

მან კიდევ ერთხელ გაიხსენა პრეზიდენტის მიერ ქართველებზე დაწერილი შეხედულება და მიიჩნევს, რომ ამის გამო ბოდიში პრეზიდენტმაც უნდა მოიხადოს.

თოფაძე ამბობს, რომ ის, რა ფორმითაც არის საუბარი ერზე, არაფერია იმასთან შედარებით, რაზეც მან პარლამენტის სხდომაზე ისაუბრა. მისივე თქმით, შესაძლოა, მას შეეშალა და სიტყვა დაუნი და პრეზიდენტის მიერ ნახსენები სიტყვა დებილი ერთმანეთს შეადარა. (marshalpress.ge)

# გოგი თოფაძის განცხადების საპროტესტოდ პარლამენტთან აქცია გაიმართა



მოქალაქეთა ნაწილმა მმართველი გუნდის წევრის, გოგი თოფაძის მიერ გაკეთებული განცხადების საპროტესტოდ პარლამენტის შენობასთან აქცია გამართა.

– განცხადება, რომელიც გოგი თოფაძემ გააკეთა, ყველასთვის შეურაცხმყოფელია. დაუნი იყო მეცნიერი, რომელმაც დაასკვნა, რომ ქრომოსომების რაოდენობა იწვევს დაუნის სინდრომს. ეს სიტყვა არ შეიძლება სალანძღავად მოვიხსენიოთ. როდესაც დეპუტატი ამას აცხადებს, მან ბოდიში უნდა მოიხადოს, – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნინო ორდენიძემ.

საპროტესტო აქციას შეუერთდა ჟურნალ „დრო მშვიდობისას" ყოფილი რედაქტორი ირაკლი კაკაბაძე, რომელმაც ის ჟურნალი მოიტანა, საიდანაც გოგი თოფაძის თქმით, გიორგი მარგველაშვილის შეფასებების ციტირება მოახდინა.

კაკაბაძის თქმით, მარგველაშვილის სტატიაში საუბარია გაზარმაცებულ ელიტაზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე „კაცია ადამიანში" ებრძვის და არა დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებზე.

– ტრაგიკული ფაქტია, რომ ასეთი შეურაცხმყოფელი განცხადება გაკეთდა. მე ვფიქრობ, რომ მან ბოდიში უნდა მოიხადოს, – განაცხადა ირაკლი კაკაბაძემ.

პარლამენტთან საპროტესტო აქციაზე იმყოფებოდნენ დაუნის სინდრომის მქონე მოქალაქეებიც. (ინტერპრესნიუსი)

# სირიის კრიზისი ჩიხში შედის — ჟენევაში მოლაპარაკებები ჩაიშალა



ჟენევაში სირიის კრიზისის მოგვარების გზებზე მოლაპარაკებები ჩაშლილად გამოცხადდა. სირიის ოპოზიციის განცხადებით, თუ ქვეყანაში იერიშები არ შეწყდება, ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გაგრძელებას აღარ აპირებს.

სირიის ტერიტორიაზე კი ასადის არმიამ ორ ქალაქზე, ნუბულსა და ზაჰრაზე, კონტროლი აღადგინა.

სირიის კრიზისთან დაკავშირებით ჟენევაში სამშვიდობო მოლაპარაკებები ოფიციალურად დაიწყო. პირველი შეხვედრა 2 საათს გაგრძელდა, რომელშიც შუამავლის როლს გაეროს წარმომადგენლები ასრულებდნენ. (ნიუპოსტი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# როდის მიიღებენ 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული ავტომობილების მფლობელები კომპენსაციას?







როგორც იქნა, თბილისის მერიამ მოაბა თავი და 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული ავტომობილების მფლობელები ფულად დახმარებას მიიღებენ.

აღნიშნული პროცესის დაწყების შესახებ 4 თებერვალს მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა კარლო ლაფერაძემ განაცხადა და ამის შესახებ ხელშეკრულებას ხელიც მოაწერა. პირველ ეტაპზე ხელშეკრულება 27 ფიზიკურ პირთან გაფორმდება, რომლებსაც ფულადი დახმარების სახით, ჯამში 74 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ჩაერიცხებათ.

13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ 100-ზე მეტ ფიზიკურ პირს განადგურებული, ან დაზიანებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უკვე აღდგენილია დაზარალებული პირის მიერ.

I კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისთვის, რომლის საშუალო საბაზრო ღირებულება ნაკლებია 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარზე – გაიცემა ფულადი დახმარება სატრანსპორტო საშუალების სტიქიამდე არსებული სავარაუდო საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით; I კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისთვის, რომლის საშუალო საბაზრო ღირებულება 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარის ტოლია ან მეტია – გაიცემა ფულადი დახმარება სატრანსპორტო საშუალების სტიქიამდე არსებული სავარაუდო საბაზრო ღირებულების 70 პროცენტის ოდენობით.

I კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისთვის – გაიცემა ფულადი დახმარება სატრანსპორტო საშუალების სტიქიამდე არსებული სავარაუდო საბაზრო ღირებულების 25 პროცენტის ოდენობით.

**რთება ეს პროცესი და რატომ მაინცდამაინც ეს 27 პირი?**

– ცნობები იმ მანქანების შესახებ, რომლებიც სტიქიის დროს დაზიანდა, განადგურდა, შსს-მ შეადგინა იმავე მანქანების მფლობელების განცხადების საფუძველზე, რომლებიც 13-14 ივნისის სტიქიის ზონიდან იქნა ამოღებული. შსს-მ მოგვაწოდა ეს სიები, რომელიც ჩვენ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს გადავეცით და მანქანების ღირებულება ექსპერტებმა შეაფასეს. საკრებულომ კი დაადგინა კომპენსაციის გაცემის წესი, კატეგორიები. სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო ეტაპობრივად გვაწვდის იმ მანქანების შესახებ ინფორმაციას, რომელთა ექსპერტიზაც უკვე ჩატარდა. დღეს (კომენტარი ჩაწერილია 4 თებერვალს. – ნ.ლ.) იყო პირველი დღე და ამ დროისთვის 27 მანქანის მონაცემები გვაქვს მოწოდებული. მომდევნო პროცესი შემდეგნაირად იქნება: როგორც კი მოგვაწვდის სამხარაულის ეროვნული ბიურო ეტაპობრივად მანქანების სიას, ამის მიხედვით დავიბარებთ ამ ადამიანებს, გავუფორმებთ ხელშეკრულებას და დავურიცხავთ თანხას.

**— ანუ, ასე ვთქვათ, მეორე ეტაპი სამხარაულის ბიუროს მიერ მოწოდებულ სიებზე იქნება დამოკიდებული?**

– ამ პროცესს პირველი და მეორე ეტაპი შეიძლება არ დავარქვათ, უბრალოდ, როდესლაც ხომ უნდა დაწყებულიყო ეს პროცესი? ძალიან ძნელი იქნებოდა, დავლოდებოდით, როდის მოვიდოდა იმ ასზე მეტი მანქანის დასკვნა და მერე დაგვეწყო ხელშეკრულებების გაფორმებისა და თანხის გაცემის პროცესი. ამიტომ ახლა, ამ ეტაპზე, ექსპერტიზის ბიურომ პირველი 27 მანქანა მოგვაწოდა და დანარჩენი მანქანების მოწოდება შეიძლება ყოველდღიურ რეჟიმში მოხდეს, ანუ რამდენ დასკვნასაც გაამზადებენ და ეტაპობრივად მოგვაწოდებენ, იმდენთან გავაფორმებთ ხელშეკრულებას.

**— როგორც ცნობილია, იმ ფიზიკურმა პირებმა, რომლებსაც 13-14 ივნისის სტიქიის დროს დაუზიანდათ ავტომობილები და არ ირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ სიებში, უნდა მიმართონ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს. ასეთი პიროვნებები იმ ასზე მეტი მანქანის მფლობელები არიან და უბრალოდ, ჯერ არ ჩანან?**

– ჩვენ ამით მაინც თავს ვიზღვევთ, ხომ შეიძლება, ვიღაცამ თქვას, მე ახლა გავიგე, რომ სტიქიის დროს დაზარალებული მანქანების მფლობელებს კომპენსაცია უნდა გადაუხადონო და სხვები რომ განცხადებას წერდნენ, მე არ გამიგიაო და მეც ვარ დაზარალებულიო? თუკი ასეთი პიროვნებები სიაში საკუთარ თავს არ აღმოაჩენენ, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს, მოიტანონ დამადასტურებელი ცნობა, რომ მათი ავტომობილების დაზიანება ნამდვილად აღნიშნული სტიქიის დროს მოხდა და შემდეგ უკვე ამას ჩვენ განვიხილავთ. ამიტომ თუკი ვინმე ასეთი არის, სწორედ მათთვის დავუშვით ეს მომენტი.

**— 74 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში არც ისე პატარა თანხაა, აღნიშნული ფინანსური რესურსი საიდან გამოიყოფა — მერიის ბიუჯეტიდან, სარეზერვო ფონდიდან თუ სპეციალურად 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულთათვის შექმნილი ფონდიდან?**

– ეგ ინფორმაცია უკვე საფინანსო სამსახურს ეხება, თუმცა შემიძლია, გითხრათ, რომ თანხები ჩარიცხეს როგორც კერძო პირებმა, ასევე საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. თანხები გამოიყო ბიუჯეტიდან და შეიქმნა სტიქიის სალიკვიდაციო ფონდი. სწორედ ამ მუხლიდან აუნაზღაურდებათ მათ ზარალი.

**— და როდიდან დაიწყება თანხის გადახდა?**

– ეს პროცესი უკვე დაწყებულია და ვისაც გაუფორმდა და გაუფორმდება ხელშეკრულება, ჩაერიცხება კიდეც თანხა.

ის საფასური ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N33-128 დადგენილების შესაბამისად აუნაზღაურდება. სატრანსპორტო საშუალება რომელზეც ფულადი დახმარება გაიცემა, იყოფა ორ კატეგორიად:

I კატეგორიაში შედის სტიქიის შედეგად განადგურებული ავტომობილები, რომლებიც შემფასებლის მიერ გაცემული დასკვნის მიხედვით არ ექვემდებარება აღდგენას;

I კატეგორიაში კი შედის სტიქიის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც შემფასებლის მიერ გაცემული დასკვნის მიხედვით ექვემდებარება აღდგენას.

წესის შესაბამისად, I კატეგორიას მიეკუთვნებიან ის დაზარალებული პირები, რომლებმაც სტიქიის დროს დაკარგეს სატრანსპორტო საშუალებები და გაცემულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ცნობა.

სატრანსპორტო საშუალების I კატეგორიას მიეკუთვნება სტიქიის შედეგად დაზიანებული პორტო საშუალების სტიქიამდე არსებული სავარაუდო საბაზრო ღირებულების 25 პროცენტის ოდენობით.

სააგენტო ფულად დახმარებას არ გაუწევს იმ პირებს, რომლებსაც დაზღვეული ჰყავდათ ავტომობილი. ასევე, იმ პირებს, რომლებსაც კერძო სექტორის მხრიდან გადაეცათ ავტომობილები, ან მიიღეს ფულადი დახმარება.

იმ ფიზიკურმა პირებმა, რომლებსაც 13-14 ივნისის სტიქიის დროს დაუზიანდათ ავტომობილები და არ ირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ სიებში, უნდა მიმართონ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

**თემის ირგვლივ „ალიას" კითხვებს ქონების მართვის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი, თამარ დვალი პასუხობს:**

**— ხელშეკრულება ამ ეტაპზე 27 ფიზიკურ პირთან გაფორმდა. დანარჩენებთან დაკავშირებით როგორ წარიმართება ეს პროცესი და რატომ მაინცდამაინც ეს 27 პირი?**

# თბილისში ავტომობილს საბურავები მოხსნეს



ვაჟა-ფშაველაზე ავტომობილი გაქურდეს – მანქანას საბურავები მოხსნეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, საქმე ცხელ კვალზე გაიხსნა.

– ქურდობაში ბრალდებული დაკავებულია, საქმე 177-ე მუხლის მესამე ნაწილით აღიძრა, რაც ქურდობას ითვალისწინებს, – აცხადებენ შს სამინისტროში. (ნიუპოსტი)

# რუსეთი აშშ-ის მიერ სამხედრო კონტინგენტის ზრდას „სიმეტრიული ზომებით" უპასუხებს



ამერიკის შეერთებული შტატების გეგმას 2017 წელს ევროპის ტერიტორიაზე სამხედრო კონტინგენტის 4-ჯერ გაზრდასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპული საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი ანდრეი კელინი ეხმაურება. მისი განცხადებით, რუსეთი „სიმეტრიული ნაბიჯების" გადადგმას არ აპირებს, მაგრამ საპასუხოდ მიიღებს „სიმეტრიულ ზომებს".

– თანხების იმ რაოდენობის გათვალისწინებით, რომელსაც ამერიკელი პარტნიორები დებენ, სიმეტრიული ნაბიჯების გადადგმა ნაკლებად სავარაუდოა. მომავალ წელს ისინი ოთხჯერ მეტი თანხის ჩადებას აპირებენ. სიმეტრიული ნაბიჯები საჭირო არაა, მე ამაში დარწმუნებული ვარ. ჩვენ ვიღებთ და მომავალშიც მივიღებთ სიმეტრიულ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს ნორმალურ სტრატეგიულ და სამხედრო მდგომარეობას, – განაცხადა კელინმა.

შეგახსენებთ, რომ როგორც „ნიუ-იორკ თაიმსი" წერს, ობამა პუტინის შესაჩერებლად ევროპაში მძიმე შეიარაღების გაზრდას გეგმავს.

– გაზრდილი სამხედრო პოტენციალი აშშ-ისა და ნატოს ძალების მიერ იქნება გამოყენებული ევროპაში და ეს იქნება სიგნალი ვლადიმერ პუტინისთვის. ეს არის გრძელვადიანი რეაქცია ევროპაში უსაფრთხოების ცვლილებების ფონზე და ასახავს ახალ სიტუაციას, რომელშიც რუსეთი უფრო და უფრო რთულ როლს თამაშობს, – წერს გამოცემა. (ნიუპოსტი)

## თამარ ივერი ეკა ხოფერიას უპირისპირდება




„ეკა ხოფერიას შოუს“ სტუმართა შორის იყო თამარ ივერი, რომელიც ოპერა „აბესალომ და ეთერში“ ეთერის პარტიას ასრულებს. როგორც ჩანს, თამარ ივერი შინ განაწყენებული დაბრუნდა, რაც სოციალურ ქსელში მის მიერ გამოქვეყნებულ პოსტში აშკარად იგრძნობა:

– დიდი ხანია ჩემთვის ასეთ არაფრისმომცემ შოუში არ მიმიღია მონაწილეობა. 2 საათი მაცდევინეს, მაყურყუტეს და გამყინეს მხოლოდ იმისთვის, რომ გადაცემის ბოლოს, უკვე გადაღლილ ხალხთან „ნასუფრალზე“ 2 სიტყვა მეთქვა... მხოლოდ ერთი ორაზროვანი შეკითხვა იმის შესახებ, შემოქმედებითი ჯგუფი როგორ განვიცდიდით გარეშე მედიადარტყმებს და მორჩა... ამის სათქმელად მიმიყვანეს „ქალი ეთერი“. ჩემი რამდენიმე მცდელობა, რომ რაღაც სიტყვა ჩამეკვეხებინა და რაღაცაზე ჩემი აზრი გამომეთქვა, იგნორირებული დარჩა. მანამდე მხოლოდ „ბილეთები-ქურქები-ბილეთები-ქურქების“ მეტი არაფერი მესმოდა. საბოლოოდ ჰამლეტის თეორემასავით – „მისვლა-არმისვლა“, საკითხავი აი, ეს არის... თავს ვეკითხებოდი... ამ ერთი დასტუკება-გაელვებისთვის მივედი და ვიცადე 2 საათი აეროპორტში გაფრენის წინ? ასევე, ბატონი გიზოც ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა... ამ ორი სიტყვის სათქმელად მომიყვანეთ? მსურდა, კიდევ რაღაც თემებზე მესაუბრაო. ანალოგიურად გადაცემის 5 წუთით ადრე „დასასტუკებლად“ მიწვეულ ქალბატონ მედეა მირიანაშვილსაც 1 საყველპურო სიტყვა ერგო წილად.

არ შეიძლება გადაცემას „აბესალომ და ეთერის“ თემა დაარქვა და მთელი 2 საათი ქურქ-ბილეთების ყვითელ საუბრებს დაუთმო, ჩემთვის შეიძლება პატივსაცემ, მაგრამ ოპერიდან შორსმდგომ ხალხთან და ამ დიდი კალიბრის ხალხი, ვინც თავად შექმნა ეს სპექტაკლიც და ეს ზეიმიც, მიიყვანო, 2 საათი აცდევინო იმისთვის, რომ ბოლო ბლოკში 15-20 წუთით შეაგდო, საყველპუროდ თითო-თითო შეკითხვა დაუსვა და მათ შემდგომ საუბრისა და აზრების გამოთქმის სურვილზე „ბოდიში, უკვე ვასრულებთ გადაცემას“ უძახო და ისინი პრაქტიკულად მხოლოდ გადაცემის „ფეისებად“ გამოიყენო! ლადო, ჭკვიანი ხარ, დღესაც დავრწმუნდი!! – წერს თამარ ივერი სოციალურ ქსელში. (ნიუპოსტი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



დაახლოებით ერთი თვის წინ თბილისის მერიაში განაცხადეს, რომ საცობებისგან განტვირთვის მიზნით, სააკაძის მოედანზე, შესაძლოა, შუქნიშნები დამონტაჟდეს და ეს გერმანული საკონსულტაციო კომპანიის რჩევააო. გაირკვა ისიც, რომ ამ რჩევაში მერიამ 40 000 ევრო გადაიხადა.

რას ამბობს ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც საცობებთან დაკავშირებით თბილისში კვლევა ჩაატარა? რას წარმოადგენს სინამდვილეში გერმანული კომპანია? ვისი ინტერესებია ამ

## რატომ დაიქირავა მერიამ გერმანული კომპანია, რომელსაც გერმანიაში არ უმუშავია და თბილისში შუქნიშნები უნდა დაამონტაჟოს

### და ვისი ინტერესებია ამ პროექტის უკან?





პროექტის უკან?

**„ალიას“ ორგანიზაცია „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ ხელმძღვანელი, ვასო ურუშაძე ესაუბრა:**

– როდესაც მერიაში განაცხადეს, რომ შესაძლოა სააკაძეზე შუქნიშანი დამონტაჟდესო, თქვენთან ინტერვიუში ვთქვი, რომ ამ ადგილას საცობის განტვირთვის მიზნით შუქნიშნების დამონტაჟება არის ყველაზე არაეფექტური გამოსავალი. ნებისმიერი დამატებითი შუქნიშანი ქალაქის საავტომობილო გზებზე ამცირებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამტარუნარიანობის კოეფიციენტს და ხელს უწყობს საცობების წარმოქმნას. მეტიც, ქალაქში არსებული სატრანსპორტო კვანძების გამო, იქ, სადაც მოძრაობა შუქნიშნებით რეგულირდება, უნდა შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა, გვირაბებისა და პანდუსების მეშვეობით მოეწყოს ორდონიანი

> **„ჩვენს ეჭვს კიდევ უფრო მეტად ამყარებს რუსულ კომპანიასთან თანამშრომლობა. ზოგადად, მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთი კორუფციაში იძირება და ძალიან იშვიათია იქ მოღვაწეობდეს კომპანია, ახორციელებდეს ისეთ პროექტებს, როგორიცაა სოჭის ოლიმპიური პარკის დაპროექტება და არ იყოს გახვეული კორუფციულ გარიგებებში...“**

მოძრაობა, რაც საშუალებას მოგვცემს, გავაუქმოთ შუქნიშანი და გავზარდოთ კვანძის გამტარუნარიანობის კოეფიციენტი. ნებისმიერი შემაფერხებელი ბარიერი, რომელიც ზრდის მოძრავი ავტომობილის უქმად მოცდენის დროს, განსაკუთრებით პიკის საათებში, პოტენციურად საცობების წარმოქმნის მიზეზი ხდება. შესაბამისად, თბილისში ისეთი სატრანსპორტო კვანძების საცობებისგან განსატვირთად, როგორიცაა სააკაძის მოედანი, აუცილებელია, სატრანსპორტო ნაკადები, რომლებიც კვეთს ერთმანეთს, ავარიდოთ ერთმანეთს და გავზარდოთ გამტარუნარიანობა. კიდევ ვიმეორებ, შუქნიშნის დამონტაჟებით ამ პრობლემას ვერ მოვაგვარებთ, პირიქით სიტუაციის გაუარესებას მივიღებთ.

**— ამ საკითხთან დაკავშირებით, გარკვეული კითხვები გქონდათ მერიასთან, მიმართეთ?**

– მერიასთან შემდეგი სახის შეკითხვები გვქონდა – რატომ არ იყო კვლევების პროცესში ჩართული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები? რატომ შეჩერდა არჩევანი აღნიშნულ „გერმანულ“ კომპანიაზე? რა კრიტერიუმებით მოხდა მათი შერჩევა? რატომ არ იყო მიწვეული პრეზენტაციაზე ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე? რატომ გაკეთდა აქცენტი მხოლოდ საბურთალოს რაიონზე? ეს ხომ გლობალური პრობლემაა, რომელიც მხოლოდ ერთი რაიონით ვერ მოგვარდება და სხვა. ამ შეკითხვებზე პასუხები ვერ მივიღეთ.

ასეთი მცდელობა თბილისის მერიას ჰქონდა 2014 წელსაც, როცა დუბლინელი ექსპერტები ჩამოიყვანეს, თუმცა ვნახეთ, რომ მათ რეკომენდაციებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია და სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. რეალურად მივიღეთ თბილისის მერია, რომელიც არ ითვალისწინებს ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციებს და ბიუჯეტის ფულს ფლანგავს საერთაშორისო კომპანიების დაქირავებაში, რაც, საბოლოო ჯამში, არაფრისმომცემია.

გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შეიძლება, ამ კომპანიის უკან გარკვეული ინტერესები იდგეს ხელისუფლების მხრიდან, რადგან გაურკვეველია აღნიშნული კომპანიის შერჩევის კრიტერიუმები. ფაქტი ერთია, ამ კომპანიის რეკომენდაციები შუქნიშნების დამონტაჟებასთან დაკავშირებით საცობების განმუხტვის მიზნით, ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული და ამას ნებისმიერი ექსპერტი ტრანსპორტის დარგში, დაგიდასტურებთ.

**— გაარკვიეთ, ეს გერმანული კომპანია რას წარმოადგენს, რა გამოცდილება აქვს ამ საკითხში?**

– თბილისის მერიისგან მოვითხოვეთ, გასაჯაროებულიყო „A+C“ კონსალტინგურ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება, პროექტის მომსახურების ღირებულება და აღნიშნული კომპანიის მიერ შემუშავებული კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების დოკუმენტი. რა თქმა უნდა, ამ შეკითხვებზე საჯარო პასუხი ვერ მივიღეთ. რის შემდეგაც ჩვენმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დავიწყეთ აღნიშნულის მოკვლევა. ძალიან საინტერესო და ამავდროულად გასაოცარი ფაქტი აღმოვაჩინეთ.

**— რამ გაგაოცათ?**

– ერთია, რომ მსგავსი კონსულტაციისთვის 40 000 ევრო დიდი ფულია, 100 000 ლარზე მეტია. მაშინ, როცა თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურში უამრავი ადამიანია დასაქმებული, ვისი პირდაპირი კომპეტენციაც სწორედ ეს არის, საგზაო ნიშნების, მონიშვნებისა და შუქნიშნების განლაგების და დამონტაჟების უზრუნველყოფა, ასევე, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება. აღარ ვსაუბრობ ადგილობრივ ექსპერტებსა და სპეციალისტებზე, რომელთა დაქირავებაც თბილისის მერიას 10-ჯერ ნაკლები დაუჯდებოდა.

შევისწავლეთ აღნიშნული „გერმანული“ კომპანიის საქმიანობა და ძალიან უცნაური ფაქტი აღმოვაჩინეთ. კომპანია, უბრალოდ, დაარსებულია გერმანიაში, მაგრამ მათი საქმიანობის არეალი მხოლოდ რუსეთის ფედერაციაა, პროექტები განხორციელებული აქვთ მხოლოდ რუსეთის ქალაქებში – მოსკოვში, კრასნოდარში, სამარაში, პეტერბურგში... მოსკოვში და რუსეთის დიდი ქალაქების ცენტრში როგორი საცობებია, ბევრს ეცოდინება. მოსკოვის ცენტრში ზოგჯერ საათობით უწევთ დგომა საცობში და უფრო გამოცდილი კომპანია რომ მოეძებნა მერიას, ხომ შეიძლებოდა. ინფორმაციას, რა აქვს გაკეთებული ამ კომპანიას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს ორგანიზაციის ვებსაიტზე: http://apluss.ru/project

შესაბამისად, გაგვიჩნდა დამატებითი შეკითხვები, თბილისის მერია საუბრობს, რომ არჩევანი შეაჩერეს „გერმანულ“ კომპანიაზე, რომელსაც გერმანიაში, სადაც საუკეთესო საგზაო ინფრასტრუქტურა, არაფერი გაუკეთებია, არ იძებნება ინფორმაცია. ანუ რეალურად არა გერმანული, არამედ რუსული კომპანიაა, რომელიც, უბრალოდ, დარეგისტრირებულია გერმანიაში. რატომ შეაჩერა თბილისის მერიამ არჩევანი კონკრეტულად ამ კომპანიაზე, როცა მსოფლიოში უამრავი მაღალკვალიფიციური კომპანია არსებობს, მათ შორის, მართლაც რომ, გერმანული კომპანიები, რომელთაც აქვთ გამოცდილება მსოფლიოს მასშტაბით მუშაობის და ასევე, დაპროექტებული აქვთ ისეთი ქალაქები, როგორიცაა ბერლინი, მიუნხენი, ამსტერდამი, პარიზი და სხვა პატარა ქვეყნების პატარა ქალაქებიც.

**— ვინ დგას ამ კომპანიის უკან?**

– ამ კომპანიის უკანაც და წინაც, ფაქტია, რომ დგას სახელმწიფო და ამ შემთხვევაში თბილისის მერია. მერიას ძალიან თავისუფლად შეეძლო, აღნიშნულ მომსახურებაზე კონკურსი გამოეცხადებინა, სადაც ადგილობრივი კომპანიებიც მიიღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ეს არ გააკეთა და პირდაპირი წესით გაუფორმა ხელშეკრულება „რუსულ-გერმანულ“ კომპანიას. შესაბამისად, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებების უკან შეიძლება გარკვეული პირების ბიზნეს-კორუფციული ინტერესები იდგეს. ჩვენს ეჭვს კიდევ უფრო მეტად ამყარებს რუსულ კომპანიასთან თანამშრომლობა. ზოგადად, მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთი კორუფციაში იძირება და ძალიან იშვიათია იქ მოღვაწეობდეს კომპანია, ახორციელებდეს ისეთ პროექტებს, როგორიცაა სოჭის ოლიმპიური პარკის დაპროექტება და არ იყოს გახვეული კორუფციულ გარიგებებში, თუმცა ეს არის ჩვენი საფუძვლიანი ეჭვი და ამას ნათელი უნდა მოჰფინოს სამართალდამცავმა ორგანოებმა.

**— არაერთ რესპონდენტს უთქვამს ჩვენთვის, რომ მერიიდან მილიონები „ქრება“ და არ მგონია 40 ათასის გამო ვინმეს გაერისკა?**

– თუ გავიხსენებთ რამდენიმე კვირის წინ, თბილისის ვიცე-მერის, ლაშა აბაშიძის განცხადებას, რომ თბილისის მერიამ არჩევანი გააკეთა ამ გერმანულ კომპანიაზე და თბილისის ბიუჯეტში კონსულტაციებისთვის გამოყოფილია კიდევ 4 მილიონი ლარი, ვნახავთ, რომ მცირე თანხებზე არ არის საუბარი. სავარაუდოდ, ეს მხოლოდ დასაწყისია.

**მერიასთან დაკავშირება აღარც მიცდია, რადგან ბოლო ხანს, არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც დასმულ კითხვებზე პასუხი არ მიმიღია. ამიტომ, თუკი ვასილ ურუშაძის დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას მოინდომებენ, დამიკავშირდნენ.**

## H1N1 ტიპის ვირუსით სამხედრო მოსამსახურე გარდაიცვალა



თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, H1N1 ტიპის ვირუსით, ე.წ. ღორის გრიპით, სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახური გარდაიცვალა.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, სამხედრო მოსამსახურე გორის სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

უწყების ინფორმაციით, ამჟამად ჰოსპიტალში აღნიშნული ვირუსით 12 ჯარისკაცი მკურნალობს, თუმცა დაავადება მძიმე ფორმით არც ერთს არ აქვს.

– H1N1 ტიპის ვირუსით სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო გარდაიცვალა. 1977 წელს დაბადებული სამხედრო მოსამსახურე გორის სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა. ამჟამად 12 ჯარისკაცია გავრცელებული ვირუსით შემოსული, მაგრამ ესენი არიან ის კატეგორია, რომლებიც შემოდიან და გადიან და ვირუსი მძიმე ფორმებში არ აქვთ, – აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში. (pia.ge)

## არც „ოცნება“ აკლებს და „ნაცებმა“ ხომ გაავსეთ ჯიპებით „ანაფორიანი ბანდიტები“!!!



„ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი აკაკი ბობოხიძე ამბობს, რომ, თუკი მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული, რას ჰქვია რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, შესაბამის კანონპროექტს ის მხარს დაუჭერს. მისი თქმით, რელიგიას შეურაცხყოფენ ის ადამიანები, რომლებიც რელიგიას უნდა ემსახურებოდნენ და პირიქით, რელიგიას საკუთარი ამოცანების გადასაწყვეტად იყენებენ:

– არ მაქვს პრობლემა, რომ ამ ცვლილებებს მხარი დავუჭირო, მაგრამ, თუ ეს იმას ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ანაფორიანი ბანდიტები თურმე არ უნდა შევაფასოთ, ამას მხარს არ დავუჭერ. რა იყოთ, ეს სიტყვა გაშინებთ? – დიახ, ანაფორიანი ბანდიტებიც არსებობენ. ასეთ შემთხვევაში ეს ვერ იქნება რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, – აღნიშნა ბობოხიძემ. (პირველი რადიო)

## აკაკი ბობოხიძე — ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ხელისუფლებამ უკვე ჩაიბარა, სინამდვილეში დაუსრულებელია



საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი ბობოხიძე ხარაგაულის რაიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით საუბრობს და აღნიშნავს, რომ ხარაგაულის რაიონსა და სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ხელისუფლებამ უკვე ჩაიბარა, სინამდვილეში დაუსრულებელია. ბობოხიძის თქმით, ის ხარაგაულში ირმა ნადირაშვილთან ერთად იმყოფებოდა და მიმდინარე სამუშაოებიც შეამოწმა.

– ვიყავით ხარაგაულის რაიონში, სადაც გაკეთდა ხიდი, თუმცა მასთან მისასვლელი გზა არ არსებობს. ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა კულტურის ცენტრის გაკეთებაც, თუმცა შენობა აბსოლუტურად მოუწესრიგებელია და წყალი ჩამოდის. გაკეთებული პროექტების რიგშია ღობე, რომელიც 900 ლარი დაჯდა, თუმცა აღნიშნული ღობე რეალურად საერთოდ არ არსებობს. ხარაგაულის ერთ-ერთ რაიონში გაკეთდა წყლის საცავი, რომლის შედეგად სოფელი სასმელი წყლით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, თუმცა, ადგილობრივების თქმით, მათ წყალი ამ დრომდე არ მიეწოდებათ, – აღნიშნა აკაკი ბობოხიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ალექსანდრე ქანთარია: „უნდა დაკონკრეტდეს, რას გულისხმობს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა“




საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ალექსანდრე ქანთარია რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კანონპროექტზე საუბრისას აღნიშნავს, რომ იდეაში ბევრი რამე დასახვეწია. პარლამენტარი ასეთი ფორმით კანონპროექტის მიღებას სწორად არ მიიჩნევს.

– ზოგადად, კანონპროექტში აუცილებლად უნდა დაკონკრეტდეს, რას გულისხმობს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. ეს არის სიძულვილის ენით საუბარი? კონკრეტული გამოხატვის უფლება? თუ რა იგულისხმება მასში? რამდენადაც ვიცი, ამ საკითხზე ადამიანის უფლებათა კომიტეტში მუშაობა მიმდინარეობს, იურიდიულ კომიტეტშიც გაგრძელდება და ალბათ, უფრო კონკრეტულ დასკვნამდე მივალთ. აზრსა და იდეაში, რა თქმა უნდა, ვეთანხმები, რომ უნდა შეწყდეს ამგვარი მიმართვები და ასეთი შეურაცხმყოფელი გამოთქმები ამა თუ იმ სასულიერო პირისა თუ თვითონ რელიგიური მიმდინარეობის მიმართ, – აცხადებს ქანთარია. (რეპორტიორი)

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



# რა გააკეთეს ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა, რაც არ გაუკეთებია კვირიკაშვილს?





ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელი ლადო სადღობელაშვილი პრემიერ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრას ითხოვს და მასთან რამდენიმე აქტუალური საკითხის ირგვლივ საუბარს აპირებს.

**„ალიას“ ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება:**

– „თავისუფალი თაობა“ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ვითხოვთ და გეტყვით, რატომ: დაახლოებით, თვე-ნახევარია, რაც ქვეყანას ახალი პრემიერი ჰყავს და დანიშვნიდან მალევე მან გააკეთა განცხადება ახალგაზრდებთან დაკავშირებით, რომ ახალგაზრდები ჩვენი ქვეყნის მომავალია და შესაბამისად, ყველაზე დიდი აქცენტი მათზე უნდა გაკეთდეს. ეს განცხადება მისგან ძალიან მისაღები იყო და ამას მივესალმები. ასევე, მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ შეკრებაზე მან გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ახალგაზრდებს ბიზნესთან მიმართებაში ხელს შევუწყობთ. ეს ძალიან კარგია, თუმცა ჩვენ გამოვდივართ სხვა ტიპის ინიციატივით: მოხდეს ერთგვარი გაფართოებული შეხვედრა ახალგაზრდებთან, არა მარტო სტუდენტებთან, ან ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თუ პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულებთან, არამედ საერთოდ, მთლიანობაში ერთი დიდი შეკრება ჩატარდეს. მაგალითად, ღარიბაშვილმა, როდესაც ახალი დანიშნული იყო პრემიერად, ასეთი ტიპის შეხვედრა გამართა. ასევე, ბიძინა ივანიშვილიც შეხვდა ახალგაზრდებს.

**— რატომ გახდა ეს საკითხი თქვენი მხრიდან აქტუალური?**

– ახალგაზრდებს რთულ პერიოდში გვიწევს ცხოვრება იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ბევრ ჩვენგანს, თუნდაც ჩვენი ორგანიზაციის წევრებს, რომლებმაც სწავლა დაამთავრეს, სამსახურის შოვნა უჭირთ და შესაბამისად, ეს პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დღეს. „თავისუფალ თაობას“ ძალიან ბევრი სხვა ინიციატივაც აქვს, თუნდაც საკანონმდებლო დონეზე იგივე მინიმალური ხელფასის შესახებ და სხვა იმ სოციალური საკითხების ირგვლივ, რომელთა მოგვარებაც ახალგაზრდების განვითარებასა თუ დასაქმებას ხელს შეუწყობს. ამ ყველაფერთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი კითხვა და ინიციატივა არსებობს იმ ახალგაზრდების მხრიდან, რომლებზეც ხელისუფლება დიდ აქცენტს უნდა აკეთებდეს. დღეს (ინტერვიუ ჩაწერილია 4 თებერვალს. – ნ.ლ.) ვესაუბრე პრემიერის ადმინისტრაციას და პრემიერთან შეხვედრა ვთხოვე, რადგან რამდენიმე დღის წინ არასამთავრობოებთან იყო შეხვედრა, სადაც ჩვენ შესვლა ვერ შევძელით იმის გამო, რომ კომუნიკაციის დამყარება ვერ მოხერხდა. ასევე, საუბარია უსახლკაროებთან დაკავშირებით, რაც ძალიან მტკივნეული თემაა. არსებობს უსახლკაროების საკითხზე მომუშავე ასეთი ევროპული ორგანიზაცია „ფიანსა“, რომლის ოფიციალური წევრებიც ვართ ჩვენ და მათთან გვაქვს ურთიერთობა. ამას წინათ ჩამოსულებიც იყვნენ სხვადასხვა ფონდებიდან, მათ შორის, ჩამოსულები იყვნენ „როზა ლუქსემბურგის ფონდის“ წარმომადგენლებიც, რომლებიც ჩვენ უკვე მეორე წელია გვაფინანსებენ იგივე უსახლკაროების თემატიკაზე შექმნილ ჩვენს პროექტთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს უსახლკაროების აღწერას და საკანონმდებლო დონეზე ინიციატივების მომზადებას. შესაბამისად, ამ თემასთან დაკავშირებითაც გვაქვს პრემიერთან რამდენიმე კითხვა, გვინდა გავაცნოთ მას ჩვენი პოზიციები და მზა კანონები მივიტანოთ. ეს არის სწორედ ის საკითხები, რაზედაც გვსურს პრემიერთან საუბარი.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ამბობენ, მეუღლის გვამის მოშორებაში ფულს შეჰპირდაო — სკანდალური დეტალები მაგდა პაპიძის საქმეში



მაგდა პაპიძის საქმე – მამა-შვილის მკვლელობის დეტალები კვლავ უცნობია. გრიგოლ ფერაძის ქუჩაზე 19 დეკემბრის ღამით მომხდარმა სასტიკმა მკვლელობამ საზოგადოება შოკში ჩააგდო. მოკლული ომარ ქაფიაშვილის ოჯახის წევრები ჟურნალისტებთან კონტაქტზე არ გამოდიან და მხოლოდ იმას ამბობენ, რომ გამოძიების შედეგების მოლოდინში არიან.

რაც შეეხება 5 წლის შვილისა და 27 წლის ქმრის მკვლელობაში ბრალდებულ პაპიძეს, ის ჩადენილ დანაშაულს ამ დრომდე არ აღიარებს.

ბრალდებული აცხადებს, რომ დამჩეხოთ, ამ მკვლელობას მაინც არ ვაღიარებო.

ბრალდების მხარის მტკიცებით, 2015 წლის 19 დეკემბერს, ღამით, საერთო საცხოვრებლის მეათე ოთახში მეუღლეზე განაწყენებულმა მაგდა პაპიძემ ქმარი თავში უროს ჩარტყმით მოკლა, 5 წლის შვილი კი გაგუდა.

გამოძიების ინფორმაციით, რამდენიმე წლის წინათ ცოლ-ქმარს ურთიერთობა დაეძაბა და მათი ცოლქმრული ურთიერთობაც შეწყდა. ამის შემდეგ მაგდა მეზობლად მცხოვრებ მამაკაცს, ოთარ ბერძენიშვილს დაუახლოვდა.

როგორც პაპიძის ახლობელი ამბობს, დაკავების მომენტში ბრალდებული 3 თვის ორსული იყო და სწორედ მეზობლისგან დაფეხმძიმდა.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავებს დაკავებიდან მალევე მაგდა პაპიძის წინააღმდეგ ჩვენება მისმა მეგობარმა მამაკაცმა მისცა. წყაროს ინფორმაციით, მამაკაცი საერთო საცხოვრებლის სიახლოვეს არც კი უნახავთ.

ნანა (სახელი შეცვლილია) ამბობს, რომ მაგდას ბავშვის მოკვლა არ უნდოდა და შემოაკვდა:

– ამბობენ მძინარე ომარს ჩაარტყა ელიავაზე ნაყიდიურო, ბავშვმა გაიღვიძა და ეს საშინელება რომ ნახა, ისტერიკაში ჩავარდა. მაგდამ, ალბათ, მისი გაჩუმება სცადა, რომ იმავე სართულზე მცხოვრები ომარის დედას არ გაეღვიძა და შემოაკვდა. ამბობენ, რომ გამოძიებას აქვს ვიდეოკადრები, სადაც მაგდა მანქანით გამოდის ცენტრალურ გზაზე, ალბათ, ბავშვის საავადმყოფოში მიყვანა უნდოდა, არ მინდა დავიჯერო, რომ მოკლა... – გვითხრა რესპონდენტმა.

მისი ინფორმაციით, მკვლელობის შემდეგ მაგდა პაპიძემ მოხეტიალე მათხოვარს გვამის მოშორება სთხოვა.

– ათას ვერსიას განიხილავენ, ერთ-ერთის მიხედვით, მაგდამ ომარის გვამის მოშორებაში დახმარება ერთ-ერთ მაწანწალას სთხოვა და სანაცვლოდ ფულის მიცემას დაჰპირდა. ამბობენ, მამაკაცს უარი უთქვამს. იმასაც იძახიან, რომ გამოძიებას ეს პირი დაკითხული ჰყავს, – აღნიშნავს ნანა.

არსებული ინფორმაციით, 5 წლის შვილისა და ახალგაზრდა მეუღლის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ 25 წლის მაგდა პაპიძის წინააღმდეგ ბრალდებას სკანდალური ფაქტები აქვს.

ჩვენი ინფორმაციით, გამოძიებას ხელთ აქვს ვიდეომტკიცებულება, სადაც აღბეჭდილია, როგორ ყრის პაპიძე ურნაში სისხლიან თეთრეულს, მათ შორის ნაპოვნია 5 წლის თორნიკეს ფოტოსურათები, რომელიც ,სავარაუდოდ, ბრალდებულმა გადაყარა.

უცნობია, არის თუ არა კადრებში დაფიქსირებული მათხოვარი, რომელსაც რესპონდენტის თქმით, მაგდა პაპიძე დახმარების სანაცვლოდ 60 ლარს შეჰპირდა. (ნიუპოსტი)

## მუსლიმანები ბათუმში მეჩეთის მშენებლობისთვის ტერიტორიას ითხოვენ



შესაბამისი მოთხოვნა მათ ბათუმის ცენტრალურ მეჩეთთან გააჟღერეს, სადაც ამ მიზნით შეგროვებული 12 ათასი ხელმოწერაც წარადგინეს. მრევლმა, ასევე, პრეტენზიები დააფიქსირა საქართველოს მუფთის, ბეგლარ ქამაშიძის მიმართ.

როგორც მუსლიმანი მრევლის ერთ-ერთმა წინამძღვარმა, ალექსანდრე ნაკაიძემ განაცხადა, პარასკევის ლოცვა მრევლს ღია ცის ქვეშ, თოვლზე მოუწევს.

– ქუჩაში ჯერ ისევ თოვლია, მუსლიმანებს პარასკევის ლოცვის შესრულება მოგვიწევს თოვლზე. 12 ათასზე მეტი კაცის ხელმოწერა გვაქვს, რაც ადასტურებს იმას, რომ მეჩეთის საჭიროებაა. ამას ხედავს სამუფთო და სახელმწიფო და უნდა შევიდეს მრევლის მდგომარეობაში, – აღნიშნა ალექსანდრე ნაკაიძემ.

მუფთი ასლან აბაშიძე კი ამბობს, რომ სახელმწიფოს მხრიდან კეთილი ნების გამოჩენისა და ტერიტორიის გამოყოფის შემთხვევაში მრევლი ახალი მეჩეთის აშენებას შეძლებს.

– სახელმწიფოს ვთხოვთ, გამოიჩინოს კეთილი ნება და გამოგვიყოს მიწა. ავაშენებთ მეჩეთს და არსებული მეჩეთიც განიტვირთება. პარასკევობით, როცა ჩვენ ლოცვის შესასრულებლად მეჩეთში მივდივართ, ამის გამო ძველი ბათუმის უბნებში მოძრაობა გადატვირთულია. ამით გარკვეულწილად უხერხულობასა და დისკომფორტს ვუქმნით აქ მცხოვრებლებს, – აღნიშნა მუფთმა ასლან აბაშიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## პრეზიდენტის პოლიტიკური ფუნქციების შეკრეჭის ტენდენცია გადალახულია — მარგველაშვილი



საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, არსებობდა ტენდენცია, რომ პრეზიდენტის გამიჯვნა მომხდარიყო მიმდინარე პოლიტიკური საკითხებისგან.

მისი თქმით, ტენდენცია, რომ პრეზიდენტს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით საუბრის უფლება არ ჰქონდა, გადალახულია.

– იყო ტენდენცია, როდესაც მეუბნებოდნენ, რომ კანონებზე ნუ ისაუბრებ, რადგან არ გაქვს საკანონმდებლო ინიციატივა. ამიტომ შენ უნდა იყო გასული იმ საკითხებზე რეაგირებიდან, რაც კანონებს ეხება. მახსოვს საუბარი იმაზე, რომ, რადგან პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, მას რაღაც საკითხებზე კომენტირების უფლება არ აქვს. სულ ახლახან იყო ტენდენცია, რომ მოსამართლეების საქმიანობა დაცულია კონსტიტუციით და თურმე, პრეზიდენტმა ამაზე ხმა არ უნდა ამოიღოს. იყო ტენდენცია, რომ რამენაირად შევეცადოთ და პრეზიდენტი გავიყვანოთ რეალური პოლიტიკიდან. ეს აბსოლუტურად ალოგიკურია ნებისმიერ სახელმწიფო კონცეფციასთან. ეს ტენდენცია არის გადალახული. მივესალმები, რომ დამთავრდა პრეზიდენტის პოლიტიკური ფუნქციების შეკრეჭის ტენდენცია, – განაცხადა მარგველაშვილმა. (ნიუპოსტი)

## შესაძლოა, მამაძაღლობაა, მაგრამ აზერბაიჯანელებს კი მაგრად „გაუტყდათ“ და...



კომპანია „Frontera Resources“-ის ინფორმაციას, რომ სამხრეთ კახეთში გაზის დიდი მარაგია ნაპოვნი, მეზობელ აზერბაიჯანში რეზონანსი მოჰყვა.

ადგილობრივ პრესაში გავრცელდა აზერბაიჯანის ნავთობის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, ილჰამ შაბანის განცხადება, რომლის თანახმადაც, საქართველოში გაზის დიდი მარაგები ვერ იქნება.

მისი მოსაზრებით, „Frontera Resources“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ კახეთის სამხრეთ ნაწილში ბუნებრივი აირის დიდი მარაგია აღმოჩენილი, გამოწვეულია კომპანიის სურვილით, ბაზარზე საკუთარი აქციების რეიტინგი გაზარდოს.

– აღნიშნული კომპანია ამ ტერიტორიაზე გაზს დიდი ხანია ეძებს, თუმცა გაზის რაიმე მნიშვნელოვანი მარაგი ნაპოვნი არ იყო. რაც შეეხება ახალ მარაგებს, შესაძლოა, ის არსებობდეს კიდეც, მაგრამ არა იმ მოცულობითა და ხარისხით. 5,3 ტრილიონი კუბომეტრი ნიშნავს, რომ ნაპოვნია „შაჰდენიზის“ ზომის 5 საბადო. როგორც ჩანს, ეს გეოლოგიური მარაგებია და უცნობია, შეიძლება თუ არა მისი გამოყენება. ამ შემთხვევაშიც კი, გაზს რეგიონული მნიშვნელობა არ ექნება. ამ გაზის მიწოდება მხოლოდ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტებში იქნება შესაძლებელი, – აცხადებს ილჰამ შაბანი. (bpn.ge)

## აბა, აქ რატომ გაავსე ციხეები, შე ფურუნკულო?!



„უკრაინის პრეზიდენტი რომ იყოთ, პირველ რიგში, ვის ჩასვამდით ციხეში? შეგიძლიათ, კონკრეტული გვარები გვითხრათ?“ – ასეთი კითხვა დაუსვა ოდესის გუბერნატორს, მიხეილ სააკაშვილს ტელეწამყვანმა დიმიტრი გორდონმა გადაცემაში „სტუმრად დიმიტრი გორდონთან“.

– როგორ გითხრათ? ცოტა ხნის წინ ოდესის ოლქის პროკურორმა, დავით საყვარელიძემ თქვა, რომ იმისთვის, რათა უკრაინის საზოგადოება გაიწმინდოს, 15-20 000 ათასი ადამიანი ციხეში უნდა ჩაჯდესო, მე მას არ ვეთანხმები. დავითი ბრწყინვალეა, ჭკვიანი, გადასარევად აზროვნებს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს რიცხვი გადაჭარბებულია. 20-30 კაციც რომ ჩაჯდეს ციხეში, დანარჩენები მიხვდებიან, რომ წესიერად უნდა იცხოვრონ, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და იქვე თავის თანაპარტიელებზე ისაუბრა.

– ჩვენი პარტია საქართველოში ყველა გამოკითხვებით ლიდერობს. საინტერესო ფენომენია, ჩვენ ყველანი ან ქვეყნიდან გაგვიშვეს, ან დაგვაპატიმრეს. ჩვენი რამდენიმე ლიდერი ციხეში ზის, რასაც მე ძალიან განვიცდი, რადგან ისინი ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე ადამიანები არიან, რომლებსაც ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლოთ. ნაცვლად ამისა, 5 კვადრატულ მეტრ საკნებში სხედან, რაც მე მკლავს. მათ ბრალდებებს რომ გადახედოთ, სასაცილოდაც არ გეყოფათ. მაგალითად, თბილისის მერს აქამდე ვერაფერი კონკრეტული ვერ უპოვეს. ყველა ვადა გავიდა და ის მაინც ციხეში ზის, – განაცხადა სააკაშვილმა. (ipress.ge)

## თავდასხმა ნიგერიაში — მძევლებს შორის საქართველოს მოქალაქეცაა



სააგენტო „Associated Press“-ის ინფორმაციით, ნიგერიელი მებრძოლები ნავთობტანკერ „ლეონ დიასს“ დაესხნენ თავს, რომლის ბორტზეც ეკიპაჟის 5 წევრი - 2 რუსი, 2 ფილიპინელი და ერთი ქართველი იმყოფებოდა.

სააგენტოს ინფორმაციით, მებრძოლები ნავთობტანკერს ჯერ კიდევ გასულ კვირას დაესხნენ თავს და ხომალდისა და ეკიპაჟის წევრების აფეთქებით იმუქრებოდნენ. თუმცა, 31 იანვარს ხომალდი დატოვეს და მძევლები თან წაიყვანეს. სავარაუდოდ, მებრძოლები გამოსასყიდის მოთხოვნას აპირებენ.

ტანკერი ამჟამად მეზობელი ბენინის რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში, ადგილობრივი საზღვაო ძალების დაცვის ქვეშ იმყოფება. მძევლების ადგილსამყოფელი კი უცნობია. (პირველი რადიო)



## რას აპირებს დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი, თუკი პარლამენტი მის კანონპროექტს არ დაარეგისტრირებს?

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



როგორც ცნობილია, საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, სოსო ჯაჭვლიანს პარლამენტში წარდგენილი აქვს, კანონპროექტი რომელიც ჯერ არ არის დარეგისტრირებული. ის მოითხოვს, რომ რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურისა და მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვას ან ისეთი მასალის გამოქვეყნებას და ჩვენებას, რომელიც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას, დასჯადი გახდეს და დამრღვევს ადმინისტრაციული ჯარიმა დაეკისროს.

კანონპროექტს ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტმა პრინციპის დონეზე მხარი დაუჭირა, მაგრამ სახალხო დამცველი, უჩა ნანუაშვილი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის დასჯად ქმედებად გამოცხადებას დაუშვებლად მიიჩნევს. მისი აზრით, ინიციატივა, როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმის თვალსაზრისით, წინააღმდეგობაში მოდის გამოხატვის თავისუფლებასთან, ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნას და საბოლოო ჯამში, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ განვითარებას. რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტებს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის თანახმად, ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოება უნდა უშვებდეს ღია დებატებს იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია რელიგიასა და რელიგიურ რწმენასთან.

**როგორც სოსო ჯაჭვლიანი ამბობს „ალიასთან“, ნანუაშვილის გარდა, მოწინააღმდეგეები კოალიციაშიც ჰყავს.**

**რას იზამს დეპუტატი, თუკი მისი კანონპროექტი ჩავარდება?**

– მოსმენა იქნება კიდევ. პარლამენტში, ბერძენიშვილების გარდა, უარყოფითი არავის უთქვამს, თითქოს ყველა თანახმაა. თუ ჩვენ ევროპისკენ მივდივართ, მაშინ ისიც ვნახოთ და სახალხო დამცველმაც ნახოს, როგორი კანონები აქვთ გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, ავსტრიაში, დანიაში... გამოდის, ეს ქვეყნები ეწინააღმდეგებიან ევროსტანდარტებს. ამათგან ყველაზე ლოიალური ჩვენი კანონი იქნება, სადაც დარჩა ჯარიმა – 300 ლარი. სხვაგან მსგავსი დანაშაული ისჯება ციხით და ძალიან მაღალი ჯარიმებით.

**— მაინც, რას იზამთ, თუ თქვენი პროექტი არ მიიღებს კანონის სახეს?**

– თუ ჩააგდეს, მალე დადგება არჩევნების დღეები და ყველა მიიღებს იმ შედეგს, როგორც მოიქცევა, ანუ ვინ რას დაუჭირა მხარი და ვინ შეეწინააღმდეგა ხალხის უმრავლესობის პოზიციას.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გოგი თოფაძის განცხადებები, რომელმაც საზოგადოება შოკში ჩააგდო



უმრავლესობის დეპუტატის გამოთქმამ საზოგადოება აღაშფოთა, თუმცა სამწუხაროდ, ნაკლებად გააკვირვა, რადგან როცა ის საპარლამენტო ტრიბუნასთან, თუ სატელევიზიო ეთერით გამოდის, აუდიტორია მისგან ახალ-ახალ „მარგალიტებს“ ელის. პრინციპში, რაღაა გასაკვირი კაცისგან, რომელიც 21-ე საუკუნეში, ერთ-ერთ ტელეკომპანიაში სტუმრობისას პირდაპირ ეთერში ამბობს: „მალე სტალინის სურათი ყველა კაბინეტში დაიკიდება, რადგან ყველა მიხვდება, რომ ის გენიალური პიროვნება იყო და დიდი საქმეები გააკეთაო“.

საინტერესოა დეპუტატის შეხედულება „ნატოსთან“ დაკავშირებითაც: „არ მომწონს რომ ვლაპარაკობთ ნატოა ჩვენი გეზი. არ მიგვიღებს ეს ნატო“. სანაცვლოდ, 76 წლის დეპუტატი ევრაზიულ კავშირთან მეგობრობის შესაძლებლობას განიხილავს: „ევრაზიული კავშირი ერთ-ერთი შესაძლებლობაა, სადაც უფრო კარგად ვიქნებით. რუსი რომ აგრესორია და რუსეთმა რომ ტერიტორიები წაგვართვა, ეს ვიცით. რუსი ავადმყოფია, მაგრამ რუსოფობია რას მოგვიტანს“.

გოგი თოფაძე ქართველ მამაკაცთა პოტენციის სადარაჯოზეც მოგვევლინა, როცა ფარდა ახადა „მზაკვრულ საიდუმლოს“ და თქვა: „რატომ უნდა შემოდიოდეს თურქული წიწილა, რომელზეც გვაფრთხილებენ მამაკაცებს, რომ იმპოტენციას იწვევს?“. ეჰ, ბატონო დეპუტატო, ერთი წარმოების ლუდზეც გვაფრთხილებენ, რომ ლუდის გარდა ყველაფერია, მაგრამ მაინც იყიდება მაღაზიებში და ეგებ ეგ ამბავიც მოგეკითხათ...

„მრეწველთა“ ლიდერს, როგორც ყველა სხვა საკითხზე, ნეპოტიზმზეც საკუთარი აზრი გააჩნია და ამბობს: „საქართველო პატარა ქვეყანაა და სწორედ ამიტომ დაფიქსირდა ნეპოტიზმის რამდენიმე ფაქტი, მეტიც იმაზე აჟიტირება, ვიღაცამ ვიღაცა მოიყვანა, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, ვიღაცის ნათესავი, არ ნიშნავს, რომ ნეპოტიზმია“. არა ბატონო გოგი, რა საერთო აქვს მაგ ფაქტს ნეპოტიზმთან?! არაფერი. საერთოდაც, მომდევნო არჩევნებზე სლოგანად აირჩიეთ – „მეტი ბიძაშვილი სამსახურში“, ამდენი რამე გითქვამთ და ავიტანეთ, ჰოდა მაგასაც ავიტანთ...

ეს „მრეწველი“ „მეოცნების“ გამონათქვამების მცირე ჩამონათვალია, თუმცა საპარლამენტო მანდატის დაახლოებით ერთი წლის მანძილზე მას კიდევ ბევრი დრო და ეთერი ექნება ხმაურიანი „მარგალიტების“ სათქმელად... (ambebi.ge)

## გოდერძი ჩოხელის შვილი ავარიაში მოჰყვა



რეჟისორისა და მწერლის გოდერძი ჩოხელის შვილი ავარიაში მოჰყვა. შემთხვევის შედეგად 28 წლის ნიკა ჩოხელი დაშავდა და ამ დროისათვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. შემთხვევა დაახლოებით ერთი კვირის წინ, ჟინვალში, სამხედრო გზაზე მოხდა.

„ავტომანქანაში ისხდნენ ჩემი ორი შვილი — ნიკა და ლუკა და ჩემი ძმისშვილი. შემთხვევით, ჟინვალიდან მომავალი ჯიპის ტიპის ავტომანქანა გზაზე მოცურდა და იმ ავტომანქანას მსუბუქად დაეჯახა, სადაც ჩემი შვილები ისხდნენ. ამის შემდეგ, ნიკა, ლუკა და ჩემი ძმისშვილი მანქანიდან გადმოვიდნენ და ჯიპის მძღოლს და მგზავრებს ესაუბრებოდნენ. ისინი მოყვარული ალპინისტები იყვნენ. მათთან ნიკა და ჩემი ძმისშვილი — ნიკოლოზი საუბრობდნენ, ხოლო მეორე ჩემი შვილი იქვე ბორდიურზე იდგა. ზუსტად ამ დროს, გზაზე მეორე ჯიპი მოსრიალდა და ჩემი შვილი ხევში გადაისროლა. ალპინისტებმა ნიკას ძებნა დაუწყეს. არც კი იცოდნენ, ცოცხალი იყო თუ არა. როცა იპოვეს, ნიკა კონტაქტური იყო, თუმცა ვერ ინძრეოდა. ჩემი შვილი დუშეთის რაიონის სამაშველოსა და ალპინისტების დახმარებით ხევიდან ამოიყვანეს. ამ ამბის მომსწრე ლუკა შოკში ჩავარდა, იმხელა სტრესი მიიღო. ავარიის შედეგად, ჩემს ძმისშვილსაც ფეხი მოსტყდა. თბილისისკენ წამოიყვანეს და თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში მოათავსეს. ნიკას მკერდის ძვლები და თავი ჰქონდა გატეხილი. ფეხებში მგრძნობელობა ჰქონდა დაკარგული. მთელი სხეული დაჟეჟილი აქვს. მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა", — ამბობს ნინო მელაშვილი.

ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, „კვირა" შს სამინისტროსაც დაუკავშირდა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ 276 — მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## „მე მეგონა, რომ თოფაძე აღარ იყო პარლამენტის წევრი“

თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი გოგი თოფაძის განცხადებას აბსოლუტურად გაუგებარს უწოდებს.

– მანდატის დატოვებას რაც შეეხება, მე მეგონა, რომ ის აღარ იყო პარლამენტის წევრი, იმიტომ, რომ ყველას გვახსოვს, ეს განცხადება მან გააკეთა. აბსოლუტურად გაუგებარი იყო ის განცხადებები, რაც პარლამენტის ტრიბუნიდან მისგან მოვისმინეთ. ბოდიშის მოხდას ვერავის ვერ დაავალდებულებს. ადამიანს ან გაქვს განცდა, რომ ბოდიში გაქვს მოსახდელი, ან – არა. პირადი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების საკითხია. მე მხოლოდ შემიძლია შევაფასო, – განაცხადა ხიდაშელმა. (pia.ge)

## „გოგი თოფაძე არ უნდა წავიდეს პარლამენტიდან...“ — გოგა ხაჩიძე



ახალი პოლიტიკური ცენტრის „გირჩის“ წევრის გოგა ხაჩიძის განცხადებით, გოგი თოფაძემ პარლამენტის მანდატი არ უნდა დატოვოს და უნდა დარჩეს იმის მაგალითად, რას ნიშნავს მისნაირი აზროვნება და როგორი ადამიანი შეიძლება მოხვდეს პარლამენტში:

– გოგი თოფაძემ არ უნდა დატოვოს მანდატი, არ უნდა წავიდეს პარლამენტიდან, პირიქით, ახალი პარლამენტის არჩევამდე ასე ცოცხალ მონუმენტად უნდა იყოს პარლამენტში, რათა საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება, კარგად დაინახოს, რა არის ეს აზროვნება და როგორი ადამიანი შეიძლება იყოს მათი წარმომადგენელი, – განაცხადა გოგა ხაჩიძემ. (ნიუპოსტი)

## გიგლა აგულაშვილი: კახეთში გაზის აღმოჩენაზე ინფორმაცია თუ დადასტურდა, მთავრობა ადეკვატურ ზომებს გაატარებს



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ კახეთში დიდი რაოდენობით გაზის აღმოჩენის თაობაზე „ფრონტერას“ ინფორმაცია თუ დადასტურდა, მთავრობა ადეკვატურ ზომებს გაატარებს.

– ეს არ არის პირველი განცხადება „ფრონტერას“ მხრიდან გაზის ასეთი დიდი მარაგების ალმოჩენის თაობაზე. დღეს უფრო მეტი ინტენსივობით საუბრობენ ისინი ამის შესახებ. თუ ვინმე იქნება ბედნიერი და კმაყოფილი ასეთი ინფორმაციის დადასტურებით, მათ შორის, რა თქმა უნდა, ვიქნები მეც, როგორც საქართველოს ყველა მოქალაქე, მით უმეტეს, ეს ჩემი რაიონია, საიდანაც ვარ წარმოშობით. იმისთვის, რომ ეს ინფორმაცია უფრო მეტად დამაჯერებელი გახდეს, საჭიროა, საკითხი უფრო ღრმად იქნას შესწავლილი სპეციალისტების მხრიდან, წარმოდგენილი იქნას მეტი მტკიცებულება. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობა გაატარებს ადეკვატურ ზომებს იმისთვის, რომ აღნიშნული რესურსი (თუ ის არსებობს) მოპოვებულ და გამოყენებულ იქნას ქვეყნის სასიკეთოდ, – განაცხადა გიგლა აგულაშვილმა.

ატლანტიკური საბჭოს ანგარიშის თანახმად, „სამხრეთ კახეთის გაზის კომპლექსში“ აღმოჩენილი ბუნებრივი აირის მარაგი 3,8 ტრილიონ კუბურ მეტრს აღწევს. ანგარიში კომპანია Frontera Resources-ს ინფორმაციას ეყრდნობა. (რეპორტიორი)

## მომდევნო 5 წლის განმავლობაში ფეხბურთის განვითარებისთვის სახელმწიფო 265 მილიონ ლარს გამოყოფს



მომდევნო 5 წლის განმავლობაში ფეხბურთის განვითარებისთვის სახელმწიფო 265 მილიონ ლარს გამოყოფს, – ამის შესახებ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ტარიელ ხეჩიკაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ფეხბურთის განვითარების 5-წლიანი პროგრამა და აღნიშნული თანხის გამოყოფას სწორედ ეს პროგრამა ითვალისწინებს.

– 25 წელია, ელოდება გულშემატკივარი ფეხბურთის განვითარების პროგრამას. მინდა, მადლობა გადავუხადო ფეხბურთის ფედერაციას, რომელმაც უმოკლეს ვადაში ძალიან საინტერესო პროექტი წარმოადგინა, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა. მომდევნო 5 წლის განმავლობაში სახელმწიფოსგან თითოეულ გუნდს აქვს გარანტირებული თანადგომა. ამ პროგრამით ყველა გუნდი მიიღებს სარგებელს, ეს პროგრამა ორიენტირებულია ფეხბურთის განვითარებაზე და ასევე კერძო სექტორის წახალისებაზე, რომ ფეხბურთს გვერდით დაუდგეს, – განაცხადა ხეჩიკაშვილმა. (bpn.ge)

## თამაზ მეჭიაური: დაუნი არის ავადმყოფობა, რაც ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი არ არის



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თამაზ მეჭიაურის განცხადებით, ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარე გოგი თოფაძის განცხადება ზოგიერთს ყურში უხეშად მოხვდა.

როგორც მეჭიაურმა თოფაძის განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, დაუნი არის ავადმყოფობა, რაც ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი არ არის.

– მარგველაშვილის ძველ ნაშრომებს გადავხედე, სადაც დაუნი გაცილებით უფრო ცუდ კონტექსტში აქვს მოხსენიებული, რადგან დაუნი არის ავადმყოფობა და ის არ არის ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი, მაგრამ დებილიზმი უკვე შეურაცხყოფაა და თუ გოგი თოფაძეს ამის თქმა უნდოდა, მაშინ შეიძლება, მისი კრიტიკა უფრო მკვეთრი ყოფილიყო, – განაცხადა მეჭიაურმა. (news.ge)

## „მე გახლდით მთავარი რედაქტორი იმ ჟურნალისა, რომელმაც დაბეჭდა გიორგი მარგველაშვილის ნაშრომი“



უფლებადამცველი ირაკლი კაკაბაძე დეპუტატ გოგი თოფაძის განცხადებასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს:

– ბატონმა გოგი თოფაძემ, ვფიქრობ, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გააკეთა სრულებით უპასუხისმგებლო განცხადება, სადაც საქართველოს პრეზიდენტს სულ ტყუილად დასდო ბრალი იმაში, რომ მან თითქოს ქართველი ერი „დაუნებს შეადარა“.

წარმოუდგენელია, რომ ამხელა ასაკის კაცი და საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მოწვევის წევრი ასეთ, ყველა გაგებით საშინელ განცხადებას აკეთებს – ეს ყველა ჩვენგანისთვის დიდი ტრაგედიაა და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს გიორგი მარგველაშვილის არაჩვეულებრივი წერილის „ნიჩურტას“ მიერ გაკეთებული დასკვნების სიმართლეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების შეურაცხმყოფელი იმ წერილში არაფერი ყოფილა და, ზოგადად, არც არავის შეურაცხმყოფელი.

2001 წელს მე გახლდით მთავარი რედაქტორი იმ ჟურნალისა, რომელმაც დაბეჭდა გიორგი მარგველაშვილის ძალიან კარგი პოპულარულ-მეცნიერული ნაშრომი „ნიჩურტა – მე ქართველი ვარ“. ამ წერილში ავტორი სოციალური ფსიქოლოგიის მეცნიერულ ენაზე ძალიან კარგად ასაბუთებს ქართველი ხალხის დღევანდელი და ბოლო 200 წლის – ხაზს ვუსვამ ბოლო 200 წლის – სულიერ ინფანტილურობას და შედეგად უპასუხისმგებლობას. უპასუხისმგებლობას, რომელსაც შედეგად გონებრივი ჩამორჩენილობა მოჰყვება, ანუ მეცნიერულ ენაზე რომ ვთქვათ, „დებილიზმი“.

ბატონ თოფაძეს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ იმპერიალიზმის კალთას ამოფარებული ერი თუ ხალხი, სწორედ იმ ბავშვის ინფანტილურ მდგომარეობაშია, რომელიც ყველანაირ პასუხისმგებლობას იცილებს ცხოვრებაში და რომელსაც, საუბედუროდ, არ გააჩნია დამოუკიდებლად განსაზღვრული ცხოვრების საზრისი. ასეთი ერი თუ ინდივიდი ვერანაირად ვერ არის „მთლიანი“ – მარგველაშვილი აქ ძალიან კარგად იყენებს უზნაძისეულ განმარტებას და სწორედ ქართული ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ძირებიდან იღებს.

ის არ მირბის უცხოელებთან ამ თეზების ასაღებად და ბატონ თოფაძესთან შედარებით ამაში ბევრად უფრო ქართველიც არის. დიახ, XIX-XX საუკუნეებში ქართველმა ხალხმა ინფანტილური და სასათბურე პოზა მიიღო და უარი განაცხადა საკუთარი ადგილის დამკვიდრებაზე მსოფლიო თანამეგობრობაში.

ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ქართველი ერის დიდმა ნაწილმა (და გამონაკლისები ნამდვილად არსებობს, ვთქვათ, პაკო სვიმონიშვილის, იგივე გურამ პეტრიაშვილის, ნაირა გელაშვილის, გოდერძი ჩოხელის, ზურაბ რთველიაშვილისა და სხვათა შემოქმედებაში) არჩია, რომ ჯერ რუსული მოდელისთვის მიებაძა, ახლა კი ეს მოდელი დასავლურით ჩაანაცვლა.

დღეს დასავლური „პოლიტკორექტულობა“ ისეთივე დოგმაა „ნიჩურტირებული სიდებილით“ აღსავსე ქართული ელიტებისთვის, როგორც გუშინ იყო ვლადიმირ ლენინის ან თუნდაც კონსტანტინ სიმონოვის ნაშრომები. საქმე ის კი არაა, რომ, ვთქვათ, ან რუსია ცუდი ან დასავლელი – საქმე ჩვენს მონურ და ინფანტილურ მდგომარეობაშია...

პრეზიდენტისა და თითოეული ჩვენგანის ვალია, რომ საკუთარ ერს სიმართლე პირდაპირ ვუთხრათ, როგორც „მოყვარეს“. და დიპლომატიური საუბარი, რა თქმა უნდა, ბევრთან შეიძლება მსოფლიოში.

დიახ, ეს სწორედ თავადი ილია ჭავჭავაძის ტრადიციებიდან მოდის. მისი „ბედნიერი ერი“ ხომ ძალიან კარგი მაგალითი იქნებოდა ბატონი თოფაძისთვის და მისნაირად მოფიქრალი ხალხისთვის, რომ მოეთხოვათ ილია ჭავჭავაძისთვის არა მხოლოდ წმინდანობის, არამედ საქართველოს „სულიერი მამობის“ და „განმანათლებლობის“ წოდების ჩამორთმევა.

როგორ, ილიამ რომ ჩვენს ერს უშფოთველი ქვემძრომელები უწოდა, „ყველა ყრუი, ყველა ცრუი – ყველა ფლიდი – ცუღლუტი და მანკიერი“ – ბატონო გოგი, „ყველაო“, – წერს ილია ჭავჭავაძე, – გამოდის, რომ ჩვენც გვეხება და თქვენცა...

გიორგი მარგველაშვილი მხოლოდ ქართველი ერის იმდროინდელ და ამდროინდელ მდგომარეობაზე ლაპარაკობს და არა მის ზოგად შესაძლებლობასა თუ ნიჭზე. ამაში ქართველ ერს პრობლემა არ აქვს. მთავარია, მან „ნიჩურტას“ პოსტკოლონიური სინდრომი გადაძლიოს და ნამდვილად დამოუკიდებლად შეეძლოს აზროვნება და ქცევაც, – წერს კაკაბაძე. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მანამ არ მოვისვენებთ, სანამ საქართველოში მართლმადიდებლობას არ დავასრულებთ“



რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კრიმინალიზაციასთან დაკავშირებული კანონის აქტიური საზოგადოებრივი განხილვის ფონზე, როგორც ჩანს, ამ განხილვით შთაგონებულმა ილიას უნივერსიტეტის ლექტორმა გიორგი მაისურაძემ საკუთარ „ფეისბუკზე“ საკმაოდ საინტერესო და სკანდალური პოსტი გამოაქვეყნა. პოსტის შინაარსს უცვლელად გთავაზობთ:

„ამ ტექსტით მინდა მივმართო ლიბერალური ფასეულობების და საღი, თავისუფალი აზროვნების მქონე საქართველოს ყველა მოქალაქეს. დროა, ყველაფერს ღიად დაერქვას თავისი სახელი! ილუზიებში ნუ იცხოვრებთ, მეგობრებო!

დღეს მართლმადიდებლობას იერიში მიაქვს თავისუფალ სიტყვაზე, თვითონ თავისუფლების უწმინდეს იდეაზე. არა საპატრიარქოს, არა რომელიმე მღვდელმსახურს, არა პარლამენტს და პოლიტიკურ პარტიებს, არამედ, პირველ რიგში, სწორედ მართლმადიდებლობას, ამ შავბნელ, რუსულ, იმპერიალისტურ იდეოლოგიას. სწორედ მართლმადიდებლობა, და არა რომელიმე ორგანიზაცია ან პიროვნება, არის მთავარი წინაღობა საქართველოში დასავლური ფასეულობების საბოლოოდ დამკვიდრებისა. და ყველა მისი მიმდევარი სინათლის და პროგრესის ცნობიერი თუ გაუთვითცნობიერებელი მტერია. ამიტომ ჩვენ, ლიბერალები, საქართველოს ინტელექტუალური ელიტა, საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტები, ვიბრძოლებთ ბოლომდე და ყველა კანონიერი საშუალებით, სანამ საბოლოოდ არ დავასრულებთ ამ ანტიპროგრესულ, ანტიცივილიზებულ იდეას საქართველოში, ამ სიბნელის, აგრესიისა და უძრაობის დასაყრდენს, მართლმადიდებლური რწმენის სახით“.

პოსტი სულ რამდენიმე წუთი გაჩერდა „ფეისბუკის“ კედელზე და შემდეგ, როგორც ჩანს, ბატონ გიორგის ვინმემ ურჩია, ან თვითონვე მიხვდა, რომ ტექსტი ზედმეტ აგრესიას გამოიწვევდა და მალევე წაშალა. საბედნიეროდ, იმ რამდენიმე წუთშიც პოსტის სქრინის გადაღება მაინც მოვასწარით. (mpress.ge)

**ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, გიორგი მაისურაძემ „ფეისბუკით“ შემდეგი განცხადება გაავრცელა:**

**„ახლა ვნახე, რომ ჩემი სახელით ეს რაღაც გაუგებრობა ვრცელდება. მიუხედავად ჩემი მკაცრად კრიტიკული პოზიციისა ეკლესიის მიმართ, არაფერი, რაც აქ წერია, მე არ მეკუთვნის! არც თავი მომიხსენიებია ოდესმე ლიბერალად... ჩემი პოზიცია უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება რადიო „თავისუფლების“ ბლოგზე“.**

## ერთი თვის წინ კატალონიაში მოკლული 2 ქართველი სამშობლოში ამ დრომდე არ გადმოუსვენებიათ



ერთი თვის წინ, ესპანეთში მოკლული საქართველოს მოქალაქეების – გოჩა კაკალაშვილის და გელა გალიშვილის ცხედრები სამშობლოში ამ დრომდე არ გადმოუსვენებიათ, – ამის შესახებ გოჩა კაკალაშვილის დედა ციცო კაკალაშვილი აცხადებს.

– ერთი თვე გავიდა, რაც ჩემი შვილის ამბავი გავიგე. ისიც არ ვიცი, ვინ ან რატომ მომიკლა. მკვდარ შვილს ვერ ვიბრუნებ, ცხედარი ჯერაც არ გადმოუსვენებიათ. მარტო ვზივარ სახლში და საკუთარ შვილს ვტირი. გარდაცვლილი მაინც დამიბრუნონ, – ამბობს ციცო კაკალაშვილი. მისივე თქმით, ამ დრომდე არ გადმოუსვენებიათ გელა გალიშვილიც, რომელიც მკვლელობის ღამეს უცნობმა პირმა გოჩა კაკალაშვილთან ერთად მოკლა.

როგორც ციცო კაკალაშვილი აცხადებს, ცხედრების გადმოსვენების გაჭიანურება დოკუმენტაციას უკავშირდება.

– რაღაც საბუთები იყო გადასაგზავნი საქართველოდან. ამ საბუთების მოგროვებას ნუთუ ერთი თვე დასჭირდა?! ჩემი შვილის ცხედარი ამ დრომდე სად ასვენია, არ ვიცი. ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი რა გავაკეთო, ისიც არ ვიცი. არ ვიცი, ვინ ან როგორ დამეხმარება, რომ გარდაცვლილი შვილი დავიბრუნო, – აცხადებს ციცო კაკალაშვილი.

ცხედრების გადმოსვენების საკითხთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ესპანეთში მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს, რასაც გარკვეული პროცედურები სჭირდება. მათი თქმით, როგორც კი პროცედურები დასრულდება, ცხედრების გადმოსვენების ზუსტი თარიღიც დასახელდება. (კვირა.გე)

## „ხიდის“ დამფუძნებელი არ უარყოფს თანხების არამიზნობრივად ხარჯვას და თანამდებობის პირების მხრიდან იძულებაზე საუბრობს



კომპანია „ხიდის“ დამფუძნებელ თეიმურაზ წივწივაძის ადვოკატი მამუკა მდინარაძე განცხადებას ავრცელებს:

– გამოძიებამ 3 თებერვალს, ზაჰესის ხიდის მშენებლობის დროს დიდი ოდენობით თანხების მითვისების ფაქტზე კომპანია „ხიდის“ დამფუძნებელი თეიმურაზ წივწივაძე დააკავა. ბატონი თეიმურაზი არ უარყოფს თანხების არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტს ზაჰესის ხიდთან მიმართებაში, თუმცა ამის გამომწვევი მიზეზები არა მითვისების განზრახვაში, არამედ სახელმწიფოსა და მისი კონკრეტული თანამდებობის პირების მხრიდან იძულებით, თ. წივწივაძის პირადი ხარჯებით ნაწარმოებ მშენებლობებში და სხვა მსგავს ქმედებებში უნდა ვეძებოთ. სწორედ ამის გამო უწევდა კომპანია „ხიდს“ ახალი ობიექტების თანხებით ძველი ობიექტების დავალიანებების დაფარვა. შესაბამისად, ეს არის საქმე, რომელსაც სჭირდება ძალიან კვალიფიციური, სიღრმისეული გამოძიება, რა შემთხვევაშიც გამოძიებისა და შემდეგ საზოგადოებისთვის ნათელი გახდება, რომ საქმე არ გვაქვს ლოკალურ პრობლემასთან და დანაშაულის ფესვები მხოლოდ ერთ პირთან ან კომპანიაში არ უნდა ვეძებოთ. სიმართლის დადგენა ამ საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელია! საგამოძიებო სამსახურები და პროკურატურა ვალდებულნი არიან, ჩაატარონ სწორედ ასეთი გამოძიება, ხოლო ჩვენ, ბრალდებული და მისი ადვოკატები, გამოვთქვამთ მზადყოფნას, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ მათ ჭეშმარიტების დადგენაში, – ნათქვამია წივწივაძის ადვოკატის განცხადებაში. (პირველი რადიო)

## გაიგებენ ამ ამბავს ქართველი მებენზინეები და გააძვირებენ საწვავს — ჭკუა დაუშლით თუ სინდის-ნამუსი?!




პირველად, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ნავთობის ფასმა 35 აშშ დოლარს გადააჭარბა.

„ბრენტის“ მარკის ნავთობის ღირებულება 1,6 პროცენტით გაიზარდა და 35,6 აშშ დოლარი შეადგინა.

WTI-ის ნავთობის ფასმა კი 1,8-პროცენტიანი ზრდა დააფიქსირა და 32,8 აშშ დოლარი შეადგინა.

მსოფლიო საფონდო ბირჟებზე, ასევე, ზრდის ტენდენცია შეინიშნება.

3 თებერვლის ვაჭრობის შემდეგ ამერიკული ინდექსი S&P 500 0,5, ჰონკონგის საფონდო ბირჟის ინდექსი Hang Seng კი 1,4 პროცენტით გაიზარდა. (bpn.ge)

## ტრანსგენდერი ქალი, ბიანკა შიგუროვა გარდაცვლილი იპოვეს



ტრანსგენდერი ქალი ბიანკა შიგუროვა გარდაცვლილი იპოვეს. მეზობლების ინფორმაციით, ის, სავარაუდოდ, 3-4 დღის წინ დაიღუპა. თუმცა, მისი ცხედარი 4 თებერვალს ნახეს.

წინასწარი ინფორმაციით, ბიანკა გაზის გაჟონვის შედეგად დაიღუპა.

22 წლის ტრანსგენდერი ქალი ბიანკა შიგუროვა ლანჩხუთში დაიბადა.

მომხდარ ფაქტს შს სამინისტროში ადასტურებენ. როგორც უწყებაში აცხადებენ, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## გრიპის ვირუსების პიკი საქართველოში გადავლილია



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი აცხადებს, რომ გრიპის წლევანდელი სეზონი საშუალო სიმძიმისაა და კვირის განმავლობაში გრიპის ვირუსით დაახლოებით 10 000-მდე ადამიანი ავადდება. პაატა იმნაძის ინფორმაციით, 100 000 მოსახლეზე ამ მომენტისთვის გრიპის 357 შემთხვევა ფიქსირდება. იმნაძე ამბობს, რომ გრიპის ვირუსების პიკი საქართველოში უკვე გადავლილია.

– დაახლოებით ყოველკვირეულად 10 000-მდე მოქალაქე ავადდება გრიპის ვირუსებით. შემთხვევების უმეტესობა გართულების გარეშე იყო. ზოგიერთ შემთხვევაში მძიმედ მიმდინარეობდა, თუმცა პაციენტები გამოჯანმრთელდნენ. იყო ასევე, ფატალური შემთხვევები, როდესაც ვირუსი სხვა მძიმე დაავადებების ფონზე განვითარდა, – აცხადებს იმნაძე.

შედარებისთვის, პაატა იმნაძემ საქართველოში გასულ წლებში დაფიქსირებული სტატისტიკური მონაცემებიც წარადგინა და განმარტა, რომ 2009-2010 წლებში გრიპის ვირუსის შედეგად 33 ადამიანი გარდაიცვალა. 2011-2012 წლებში 53 ადამიანი, გასულ წელს კი გარდაცვალების 10 შემთხვევა დაფიქსირდა.

– ხოლო დღევანდელი მონაცემებით გარდაცვლილია 9 პაციენტი, რომელთაგანაც რვა H1N1 ვირუსის შედეგად გარდაიცვალა, ერთი პაციენტი კი – H3N2-ით.

ბოლო მონაცემებით, ცენტრში გრიპის ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურებული 255 შემთხვევაა რეგისტრირებული, მათი 90 პროცენტი H1N1 ვირუსზე მოდის.

წლევანდელი გრიპის სეზონი ჩვეულებრივია. მიმართვიანობის ზრდის ტემპი უკვე შემცირდა. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს სრული მონაცემები მომავალი კვირის ორშაბათს ექნება, – აცხადებს პაატა იმნაძე. (პირველი რადიო)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# განათლებისთვის გამოყოფილი 14 მლნ დოლარი არჩევნებზე დაიხარჯება?



მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, „ათასწლეულის განვითარების ფონდი – საქართველოს“ ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, ქვეყნის მასშტაბით, მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის განხორციელებას იწყებს. 14 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს და მიზნად ისახავს საბუნებისმეტყველო, მათემატიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, გეოგრაფიისა და ინგლისური ენის 7-12 კლასის მასწავლებელთა, ასევე, სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების გზით სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და სკოლის მართვის ხარისხის დახვეწას. საგნებში უნდა გადამზადდეს 20 000-მდე მასწავლებელი და ყველა საჯარო სკოლის დირექტორი. პროექტი 2016 წლის იანვარში დაიწყო და 2019 წლის ზაფხულში დასრულდება.

სხვადასხვა ექსპერტებისგან ხშირად მოგვისმენია, რომ „მილენიუმის“ პროგრამით გამოყოფილი მილიონები არამიზნობრივად იხარჯებოდა.

რისკენ იქნება რეალურად მიმართული აღნიშნული თანხა?

**„ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „საგანმანათლებლო ალიანსის“ ხელმძღვანელი, მარიამ რამინაშვილი ესაუბრა:**

– ეს არის აშშ-ს მთავრობის დახმარება ღარიბი ქვეყნებისთვის. პროექტი ხორციელდება 2004 წლიდან. აქ აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ზოგადი განათლების კუთხით, ერთ-ერთი მთავარი სეგმენტი, რომელსაც ეს თანხა მოხმარდება, გახლავთ მასწავლებლებისა და დირექტორების გადამზადება. კონკრეტულად, აქ საუბარია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ხელშეწყობაზე. აქედან გამომდინარე, უკვე ეჭვქვეშ დგება ამ პროექტით გამოყოფილი თანხების სწორად და მიზნობრივად გამოყენების საკითხი.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?**

– პროფესიული განვითარების სქემა, თავისი არსით, ეს არის აბსურდული დოკუმენტი, რომელიც არანაირად არ გულისხმობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და არ აისახება, საბოლოო ჯამში, ხარისხზე. ეს არის, უბრალოდ, დოკუმენტი დოკუმენტისთვის და როდესაც ამ პროექტისთვის გამოყოფილი თანხები ასეთი ტიპის დოკუმენტისთვის გამოიყოფა, ბუნებრივია, ეს თანხები არამიზნობრივად გაიფლანგება. იგივე შემიძლია გითხრათ დირექტორებთან მიმართებაშიც. მაშინ, როდესაც დღეს სახელმწიფოს ჰყავს 70% დისკრეციით დანიშნული დირექტორები, რაც თავის თავში გულისხმობს იმას, რომ ისინი ვერ აკმაყოფილებენ სკოლის მოთხოვნებს და ამიტომაც არ იყვნენ არჩეულები სამეურვეო საბჭოების მიერ, აქედან გამომდინარე, მათ პროფესიული განვითარებისთვის მიმართული ეს თანხები აბსოლუტურად დაიკარგება და არ აისახება კონკრეტული სკოლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

რატომ ვუყურებ ამ ყველაფერს ეჭვის თვალით? ეს თანხა, რომელიც მართლაც რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა განათლების სისტემისთვის, არ იქნება სწორად მიმართული და ვერ აისახება კონკრეტულ შედეგებზე, რადგან თუ სამინისტროს გეგმას ვნახავთ, „მილენიუმის“ პროგრამა უნდა დაწყებულიყო 2014 წელს. შესაბამისად, სამინისტროს დროულად უნდა გადაედგა შესაბამისი ნაბიჯები, რაც არ მოხდა. იმდენად ქაოსურად მიმდინარეობს ეს ყველაფერი, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, ამ თანხებს გამოიყენებენ არა რეალურად განათლებაში არსებული პრობლემებისთვის, არამედ წინასაარჩევნოდ, პიარისთვის.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი წლის წინათ მომხდარი ამბავი – საუბარია ასეთივე მიზნობრიობისთვის გაეროს მიერ გამოყოფილ თანხებზე, საიდანაც ერთ ადამიანზე სამი ათასი ლარის პრემია გაიცა. არც ასეთი ტიპის ქმედებებისგან არ ვართ დაზღვეულები, ამის გამო არავინ არ განძრეულა და არავის პასუხი არ მოუთხოვია.

**— გამოსავალი რა არის, რა უნდა გაკეთდეს, რომ მსგავსი რისკები თავიდან ავიცილოთ და ეს თანხა მართლა ყველაფერ იმას მოხმარდეს, რისთვისაც არის გამოყოფილი?**

– ვიდრე სახელმწიფო თავადვე არ განსაზღვრავს თავის სტრატეგიას სამივე მიმართულებით, სამივე სეგმენტში, ვიდრე თავად არ დაალაგებს სწორად იმ აქტივობებს, რომლებიც განათლების ხარისხის განვითარებაზე იქნება მორგებული, ნებისმიერი ტიპის დახმარება, უბრალოდ, ჰაერში გაფლანგული თანხა იქნება.

**— როგორც მახსოვს, სქემისთვის ისედაც იყო გამოყოფილი თანხები სამინისტროს ბიუჯეტიდან.**

– რა თქმა უნდა, თანხები პედაგოგთა და დირექტორთა განვითარებისთვის ისედაც იყო გათვალისწინებული.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გადავრჩი — იმიტომ, რომ ვუყვარვარ!



ეკა და ბექა ელოშვილის ახლად შექმნილი ოჯახის ისტორია იმდენად მძიმეა, რომ გულგრილს ვერავის დატოვებს.

ბექა და ეკა 2014 წლის 22 ნოემბერს დაქორწინდნენ, 9 თვეში პატარა თამარი მოევლინა ქვეყანას. მათ ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ბექას თავისი პატარა ანგელოზისთვის საწოლი რომ ეყიდა, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, ტაქსის მძღოლად დაიწყო მუშაობა. 9 დღის იყო პატარა თამარი, როდესაც ბექა მძიმე სამუშაო დღისა და საჭესთან გატარებული უძილო ღამის შემდეგ, სახლში ბრუნდებოდა, თავის საყვარელ გოგონებს რომ ჩახუტებოდა... მოულოდნელი დარტყმა... ბექას მანქანა რამდენიმეჯერ ამოტრიალდა ჰაერში და სახურავზე დაეცა. როგორ ამოჰყავდათ იგი დამტვრეული მანქანიდან, ბექას აღარ ახსოვს...

ბექას 24 წელი ინტენსიური თერაპიის ბლოკში შეუსრულდა...

როდესაც ბექა პალატაში გადაიყვანეს, ეკას ყოველდღე პატარა თამარი მიჰყავდა მამასთან და მის გვერდით აწვენდა. პატარა შვილთან ჩახუტება ბექასთვის საუკეთესო რეაბილიტაცია იყო! როდესაც ბექა სახლში გამოწერეს, მას საწოლის თავზე ეკას დახატული პლაკატი დახვდა. ბექას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ამ პლაკატზე დაწერილ სიტყვებს კითხულობდა: „მჭირდები“, „შენთვის ვცოცხლობთ“, „იცოდე და დაიმახსოვრე, მე მუდამ, სულ ყოველთვის შენთან ვარ და ვიქნები, ძალიან ბედნიერები ვიქნებით“...

მართალია, სიყვარული საოცრებებს ახდენს, მაგრამ ეს ბექას განკურნებისთვის საკმარისი არ არის. მას მალების აღსადგენად ესაჭიროება ურთულესი ოპერაცია.

თუ გაქვთ საშუალება, დაეხმაროთ ამ ოჯახს, და მხარში დაუდგეთ ბექას, ეკასა და პატარა თამარს, არ დარჩეთ გულგრილი და დახმარება აღმოუჩინეთ მათ! თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე GE15TB7194336080100003 (დანიშნულება: ბექა ელოშვილი) (ნიუპოსტი)

## სერგეენკო: ადამიანები დაუნის სინდრომით ისეთივე სრულფასოვანნი არიან, როგორც მე და თოფაძე



საპარლამენტო უმრავლესობის წევრ გოგი თოფაძის მიერ პრეზიდენტის მისამართით გაკეთებულ განცხადებას ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ეხმაურება:

– ჩემი შეფასება ამ შემთხვევაში იქნება, ალბათ, ძალიან ხისტი. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი გამოხატვა პოზიციის. ასეთი დეფინიცია, ასეთი შედარებები, როგორც ჩემთვის, პირადად, ასევე, საზოგადოებისთვის, არის მიუღებელი, ცალსახად ვადასტურებ, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები საზოგადოების ისეთივე სრულფასოვანი წევრები არიან, როგორც მე ან თუნდაც ამ განცხადების ავტორი. ასე რომ ეს არის კატეგორიულად მიუღებელი დეფინიცია და გამოთქმა, – განაცხადა დავით სერგეენკომ. (ipress.ge)

## თბილისში სტინგისა და კრის ბოტის კონცერტი გაიმართება



27 თებერვალს თბილისში ლეგენდარული მუსიკოსები სტინგი და კრის ბოტი ჩამოვლენ. მომღერალი ქართველი მაყურებლის წინაშე 2-საათიანი პროგრამით წარდგება, რომელიც თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება.

ბილეთის ღირებულება 200-დან 600 ლარამდე იქნება.

მუსიკოსები „საქართველოს ბანკის“ მოწვევით ჩამოდიან.

სტინგი თბილისსა და ბათუმს სხვადასხვა წლებში სტუმრობდა. ამერიკელი მესაყვირე კი თბილისში რამდენიმე კვირის წინ იმყოფებოდა. (ghn.ge)

## „ჩემი სიტყვები არასწორად იყო აღქმული“ — თოფაძე ბოდიშს იხდის და პრეზიდენტსაც იმავეს მოუწოდებს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოგი თოფაძე პარლამენტის ტრიბუნიდან გაკეთებულ დისკრიმინაციულ განცხადებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს:

– ჩემს გამოსვლას არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა საზოგადოებაში და ჩემი სიტყვები არასწორად იყო აღქმული. მე მხოლოდ მოვახდინე გიორგი მარგველაშვილის სიტყვების ციტირება, რომელიც ჟურნალ „დრო მშვიდობაში“ სათაურით „ნიჩურტა! – მე ქართველი ვარ“ იქნა გამოქვეყნებული და მივუთითე, რომ მსგავსი განცხადებების გაკეთება ქართველ კაცს არ ეკადრება და იმ შემთხვევაში, თუ ბატონი პრეზიდენტი ქართველ საზოგადოებას ამგვარ შეფასებას აძლევს, მაშინ მას ამ ქვეყნის პრეზიდენტობაც არ უნდა ეკადრებინა.

ჩემთვის, როგორც საზოგადოების ნაწილისთვის, მარგველაშვილის ამგვარი სიტყვები შეურაცხმყოფელია. არავისთვის შეურაცხყოფის მიყენება არ მიფიქრია და თუ ჩვენი საზოგადოების ნაწილის მხრიდან ჩემი სიტყვები ამგვარად იყო აღქმული, რა თქმა უნდა, ამისთვის მათ წინაშე ბოდიშს ვიხდი.

აქვე მოვუწოდებ საქართველოს პრეზიდენტს, რომ მანაც მოიხადოს საზოგადოების წინაშე ბოდიში იმ სიტყვებისთვის, რომლითაც მან ქართველი ერი შეურაცხყო. ჩემთვის საზოგადოება არის ერთიანი და მის დიფერენციაციას არ ვახდენ, – აცხადებს თოფაძე. (ნიუპოსტი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მკვდარი უჯრედებისგან ორგანიზმის გაწმენდა სიცოცხლის ხანგრძლივობას ზრდისო



მკვდარი უჯრედები რომ მავნებელია, მარტივი მისახვედრია, მაგრამ როგორ ვებრძოლოთ და გამარჯვების შემთხვევაში არ სიკეთის მიღება შეგვიძლია, ამაზე ამერიკელი მეცნიერები საუბრობენ.

იმ შემთხვევაში, თუ მოვახერხებთ და მკვდარ უჯრედებს ორგანიზმიდან გამოვდევნით, ჯანმრთელობა საგრძნობლად გაგვიუმჯობესდება და სიცოცხლის ხანგრძლივობაც 35 პროცენტით მოიმატებს.

დროთა განმავლობაში გაყოფილი უჯრედები მუტაციას განიცდის. იმისთვის, რომ მუტაციაგანცდილი უჯრედების სიმსივნურ წარმონაქმნად განვითარება არ დავუშვათ, არსებობს მექანიზმი, რომელიც უჯრედის გაყოფას ამცირებს. ასეთი ხერხით იმუნური სისტემა წესრიგდება, მაგრამ დროთა განმავლობაში მექანიზმი ეფექტს კარგავს და მკვდარი უჯრედები ქსოვილის სხვადასხვა ფენასა და ორგანოებში დაგროვებას იწყებს. ის უჯრედებიც კი, რომელსაც გაყოფის უნარი აღარ აქვს, მეზობელ უჯრედებს ხელს უშლის და ქრონიკულ ანთებით პროცესს იწვევს.

იმუნური სისტემის დასახმარებლად, მეიოს საავადმყოფოს მკვლევარმა საცდელ თაგვებზე ექსპერიმენტი ჩაატარა და მათ მკვდარი უჯრედები პრეპარატ A§ 20187-ით გაუნადგურა.

ნახევარი წლის შემდეგ თაგვები თავს გაცილებით უკეთ გრძნობდნენ. მათი თირკმლები გაცილებით უკეთ მუშაობდა და გულიც დატვირთვებს უფრო ეფექტურად იტანდა. მკურნალობა მათ თამამსა და მხიარულ საქციელსაც დაეტყო. მაგრამ მეცნიერები ყველაზე მეტად ერთმა განსაკუთრებულმა ეფექტმა გააოცა – თაგვების სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი 17-დან 35 პროცენტამდე გაიზარდა.

ექსპერიმენტი ისეთ თაგვებზე ჩატარდა, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებებისადმი მგრძნობიარე იყვნენ. თუმცა გვერდითი მოვლენების არარსებობამ, მეცნიერებს მსგავსი საშუალების ნორმალურ ორგანიზმზე გამოყენების იმედი მისცა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## გადამდები მთქნარება ქალსა და მამაკაცზე სხვადასხვანაირად მოქმედებსო



თურმე, სხვა დანარჩენ სიკეთეებთან ერთად, მამაკაცებსა და ქალებს მთქნარებაზე დამოკიდებულებაც სხვადასხვანაირი ჰქონიათ. გადამდები მთქნარების მსხვერპლი ქალი მამაკაცზე უფრო ხშირად ხდება.

გარდა ადამიანისა, გადამდები მთქნარება ზოგ ცხოველსაც ახასიათებს. მაგალითად, ძაღლებსა და შიმპანზეებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთქნარება მეგობრებისგან, ან ახლობელი ადამიანებისგან უფრო გადამდებია, ვიდრე უცნობებისგან.

მთქნარების სპეციფიკის ამოსახსნელად პიზის უნივერსიტეტის დოქტორი, ელიზაბეტა პალაგი 4 ათასზე მეტ ადამიანს 5 წლის განმავლობაში სწავლობდა. მეცნიერები მთქნარებას თვითმფრინავში, მატარებელში, რესტორანსა და კაფეში აკვირდებოდნენ.

1461 შემთხვევის განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქალებსა და მამაკაცებს სპონტანურ მთქნარებაზე განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ. დამოკიდებულების მაჩვენებელი ქალებში – 55 პროცენტი, ხოლო მამაკაცებში 40 პროცენტი იყო.

ქალების მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს მეცნიერები მდედრობითი სქესის თანაგრძნობის უნარით ხსნიან. სოციუმში ქალის, როგორც მზრუნველისა და თანამგრძნობის როლმა მისი მთქნარებაზე დამოკიდებულებაც განსაზღვრა.

მეცნიერები ასე ხსნიან და გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დედამიწას ასტეროიდი უახლოვდება



დედამიწას ასტეროიდი უახლოვდება, რომელიც 3 წლის წინათ ჩელიაბინსკში ჩამოვარდნილ მეტეორიტზე კიდევ უფრო დიდია. ამის შესახებ ინფორმაციას ნასას ერთ-ერთი ლაბორატორია ავრცელებს.

მეცნიერთა შეფასებით, ციური სხეულის დიამეტრი 30 მეტრია და ატმოსფეროში შემოსვლის შემთხვევაში, შეჯახება ორჯერ ძლიერი იქნება, ვიდრე ჩელიაბინსკის მეტეორიტის შემთხვევაში.

დედამიწასთან ყველაზე ახლო მანძილზე, 17 ათას კილომეტრზე ასტეროიდი 5 მარტს ჩაიფრენს. ამ ასტეროიდმა დედამიწას ორი წლის წინათ 2 მილიონი კილომეტრის დისტანციაზე უკვე აუარა გვერდი.

ამ ეტაპზე მეცნიერებს უჭირთ ასტეროიდის ტრაექტორიის დადგენა, თუმცა დედამიწასთან შეჯახება მოსალოდნელი არ არის.

ჩელიაბინსკში მეტეორიტი 2013 წლის 15 თებერვალს ჩამოვარდა. ატმოსფეროში შემოსვლის შემდეგ, ციური სხეული ნაწილობრივ დაიწვა. შეჯახების შედეგად, ჩელიაბინსკში 4 მაგნიტუდის სიმძლავრის ბიძგი დაფიქსირდა.

***1tv.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## „ზიკა“ – სიმპტომები, მკურნალობა და ფაქტები, რომელიც ახალ საშიშ ვირუსზე უნდა იცოდეთ




მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ ვირუსი ზიკა გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა. მისი სახელი უგანდაში მდებარე ზიკას ტყეს უკავშირდება, სადაც დაავადებამ პირველად 1947 წელს იფეთქა. მას შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში დაავადება თავს არავის ახსენებდა, მაგრამ ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ვირუსი 20-ზე მეტ ქვეყანაში ფიქსირდება, უპირატესად ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინფორმაციით, ამერიკის კონტინენტზე ვირუსის გავრცელებამ საგანგაშო ზღვარს მიაღწია. ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის ბოლომდე „ზიკა“ ვირუსით შესაძლოა, 3-დან 4 მილიონამდე ადამიანი დაინფიცირდეს. „ზიკა“ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ რამდენიმე დღის წინ იმავე საფრთხის კატეგორიაში შეიყვანა, რომელშიც ებოლაა.

ზიკას გადამტანები მოსკიტები, დენგეს ცხელებისა და ყვითელი ცხელების გადამტანები არიან. ვირუსს თანდაყოლილი დეფექტები და ნევროლოგიური პრობლემები უკავშირდება, განსაკუთრებული რისკის ჯგუფში ორსულები განიხილებიან. სპეციალისტები ამ ვირუსით დასნებოვნებასა და გიიენ-ბარეს სინდრომს (ხასიათდება მწვავე აუტოიმუნური ანთებითი რეაქციით) შორის კავშირს არ გამორიცხავენ.

რამდენიმე დღის წინ, ამერიკაში, დალასში „ზიკათი“ ინფიცირებული პაციენტი აღმოაჩინეს, რომელსაც ვირუსი სექსუალური კავშირის შედეგად გადაედო. ინფიცირებულის პარტნიორი ვენესუელიდან ახალდაბრუნებული იყო. ამერიკაში მექსიკიდან, კარიბის ზღვიდან, ცენტრალური და სამხრეთ აფრიკიდან დაბრუნებულ ადამიანებს ამოწმებენ, რომლებიც უახლოესი ერთი თვის მანძილზე ამ ადგილებში იმყოფებოდნენ.

ბრაზილიაში, რომელსაც ვირუსმა ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა, ბავშვებში 3 670 საქმეს მიკროკეფალიის (თავის ქალის არანორმალური სიპატარავე) თაობაზე იძიებენ, რაც ზიკას ვირუსთანაა დაკავშირებული. წინა კვირას გამოკვლეული 709 შემთხვევიდან 674 დადასტურდა.

თუ ზიკა სქესობრივი გზით ვრცელდება, მაშინ საშიშროება ყველა ქვეყანაში იქმნება და არა მხოლოდ იქ, სადაც კოღოები ბინადრობენ. ექიმების თქმით, სექსუალური გზით მისი გავრცელების შემთხვევები იშვიათია. თუმცა უცნობია, რამდენად ხშირია რეალურად სექსუალური გზით გადადება, შეიძლება თუ არა სიმპტომების გარეშე მისი გავრცელება, რამდენი ხანი რჩება ვირუსი სპერმაში და როდისაა სექსი უსაფრთხო.

რა უნდა ქნან მამაკაცებმა, როდესაც იმ ქვეყნებში მოხვდებიან, სადაც დაავადება ფართოდაა გავრცელებული? შეუძლიათ ქალებს სექსით ვირუსის გავრცელება? – ეს კითხვები მეცნიერებს აწუხებთ, თუმცა ისეთი პანიკის ატეხას საჭიროდ არ თვლიან, როგორიც აივ-ინფექციებს თავის დროზე მოჰყვა, რადგან „ზიკა“ ხანმოკლე ინფექციაა და საგრძნობ საფრთხეს მხოლოდ ფეხმძიმობისას წარმოადგენს.

„ზიკა“ ვირუსის დამახასიათებელი სიმპტომები თითქმის არაფრით განსხვავდება გრიპის სიმპტომებისგან: ციება, ტკივილი სახსრებში, კუნთებისა და თავის ტკივილი, გამონაყარი და თვალების სიწითლე (კონიუნქტივიტი). ვირუსის სიმპტომები რამდენიმე დღიდან ერთ კვირამდე გრძელდება.



ვირუსი დაინფიცირებული ადამიანის სისხლში რამდენიმე დღე რჩება. სიკვდილიანობა იშვიათად ფიქსირდება.

რაც შეეხება მკურნალობას, ზიკას ვირუსის პრევენციისთვის ვაქცინა ან მედიკამენტი ჯერჯერობით არ არსებობს. სიმპტომების მკურნალობისთვის მედიკოსები დაავადებულს ბევრი სითხის მიღებას ურჩევენ, რათა დეჰიდრატაცია თავიდან აიცილოს, არ გადაიტვირთოს, ტკივილისა და ციების საწინააღმდეგოდ აცეტამინოფენის შემადგენლობის მედიკამენტები მიიღოს, აკრძალულია ასპირინისა და არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების მიღება.

***ambebi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რა დაავადებას ებრძოდა მიქელანჯელო სიცოცხლის ბოლომდე?



ცნობილია, რომ ნიჭიერი და ზარმაცი არ არსებობს. თუ ნიჭი გაქვს, არ მოგასვენებს, აუცილებლად გამუშავებს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებსაც რომ ითვლიდე, ვერ გაჩერდები და საყვარელ საქმეს თავს ვერ დაანებებ. სწორედ ნიჭი იყო, 89 წლის ასაკში, პროგრესირებადი ოსტეოართროზით დაავადებულ მიქელანჯელოს რომ მაინც ახატვინებდა.

ოსტეართროზის დიაგნოზი კი იტალიელმა ექიმმა მიქელანჯელოს მისავე პორტრეტების შესწავლის საფუძველზე დაუსვა.

მიქელანჯელოს სამ პორტრეტზე, რომელზეც მხატვარი, დაახლოებით, 60-დან 65 წლამდე ასაკშია გამოსახული, ანთებითი ხასიათის დაავადების გამო მარცხენა ხელზე სახსარი დეფორმირებულია.

მანამდე მიიჩნეოდა, რომ მხატვარს ნიკრისის ქარი აწუხებდა.

სურათზე ანთებისა და ტოფუსის ნიშნები ჩანს, რაც სწორედ ოსტეოართროზისთვისაა დამახასიათებელი. ექიმ დავიდ ლაცერის თქმით, მიქელანჯელომ ჩაქუჩისა და უროს ხშირი გამოყენებით ართრიტი „გამოიმუშავა“, თუმცა, მუდმივი და დაუღალავი შრომის წყალობით მოახერხა და მიუხედავად მწვავე დაავადებისა, ხელის მოქნილობა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ტვინი, როგორც იარაღი, სამხედროების ხელში



დიუკის ლაბორატორიული კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ახალი ნეირობიოლოგიური ტექნოლოგიის შესახებ განცხადება გააკეთა. მისი თქმით, აღნიშნული თანამედროვე ტექნოლოგია ადამიანის სასარგებლოდ იმუშავებს. თანაც, დესტრუქციული მეთოდების განვითარების უნარი აქვს. მისი აზრით, ახალი განვითარების ვექტორი სამხედრო ტექნოლოგიებისთვის აუცილებელია.

მეცნიერები ექსპერიმენტული კვლევების ჩასატარებლად სპონსორების მიზიდვას გეგმავენ. ექსპერიმენტის ჩატარება კი, სანამ ადამიანებზე გამოცდიან, ცხოველთა სამყაროში იგეგმება.

სპეციალისტებს ტექნოლოგიაზე კონტროლის დაკარგვა არ სურთ, რადგან რისკის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ საომარი მოქმედებების დაწყების მიზეზი გახდნენ.

ახლი ტექნოლოგიის ეფექტურობის გამოსაცდელი ექსპერიმენტი უახლოეს მომავალში იგეგმება.

***globalscience.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## შპალერზე მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი წიგნის ნახატები აღმოაჩინეს



ლედი იზაბელა ჰერტფორდმა შპალერი თავის შეყვარებულისგან – უელსის პრინცისგან საჩუქრად მიიღო, მაგრამ მოსაწყენად მოეჩვენა და ილუსტრაციებით მორთვა გადაწყვიტა, რომლებიც წიგნიდან ამოჭრა. ლედი იზაბელამ არ იცოდა, რომ 200 წლის შემდეგ ეს დაჩეხილი ფოლიანტი მთელი ქონება ეღირებოდა.

ბრიტანულ ლიდსში რესტავრაციის შემდეგ, თებერვალში მნახველებისთვის ტემპლს-ნიუსომის სახლში სასტუმრო ოთახი გაიხსნება. ორასი წლის წინათ აქ არისტოკრატების წყვილი ცხოვრობდა. ამასთანავე, ცოლი, ულამაზესი იზაბელა ენნ სეიმურ-კონუეი-ინგრამი, მარკიზა ჰერტფორდი ცნობილი იყო, როგორც ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის, მომავალი მეფის გეორგ IV საყვარელი. 1820 წელს უელსის პრინცმა თავის შეყვარებულს საჩუქრად ძვირფასი შპალერი მიართვა. სასტუმრო ოთახში გაკრული შპალერი ლედი იზაბელას რაღაც მომენტში მოსაწყენად მოეჩვენა და მისი გაფორმება გადაწყვიტა. ამისთვის წიგნიდან „ამერიკის ფრინველები" ჩიტების სურათები ამოჭრა და კედლებზე გააკრა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. უელსის პრინცმა სხვა საყვარელი გაიჩინა, ის მეფედ აკურთხეს, მარკიზამ კი ქმართან ერთად დიდხანს იცოცხლა. 43-ოთახიანი სახლი XX საუკუნის დასაწყისამდე ლედი იზაბელას შთამომავლობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ბოლოს ის ქალაქ ლიდსის ქალაქის საბჭოს სამმართველოს ხელში მოხვდა, რომელიც მას დღემდე განაგებს.

ეს საინტერესო აღმოჩენა ახლახან გაკეთდა. ხელისუფლებამ ლედი ჰერტფორდის მიერ მორთულ შპალერს აბსოლუტურად უნიკალური ექსპონატი უწოდა, მაგრამ ერთი რამ კი ნაღდია, იმ დროს რომ სცოდნოდათ, რამდენი ეღირებოდა წიგნი, საიდანაც სურათები ამოჭრეს, მაშინ წიგნი, ალბათ, მთელი დარჩებოდა.

2012 წელს ჯონ ჯეიმს ოდუბონის წიგნი „ამერიკის ფრინველები" მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ წიგნად აღიარეს. 2000 წელს მისი პირველი ტირაჟიდან ერთ-ერთი წიგნი „კრისტის" აუქციონზე 8,8 მილიონ დოლარად გაიყიდა. 2012 წლის „სოტბის" აუქციონზე წიგნის სხვა ეგზემპლარი 7,3 მილიონ გირვანქად (11,5 მილიონი დოლარი) გაიყიდა. კიდევ ერთი ეგზემპლარი „კრისტის" აუქციონზე – 7,9 მილიონ დოლარად. სულ კერძო კოლექციებში ამ წიგნის პირველი ტირაჟის ათამდე ეგზემპლარი ინახება.

წიგნი „ამერიკის ფრინველები" პირველად 1827-1838 წლებში გამოვიდა. სულ 119 ეგზემპლარი დაიბეჭდა. ნაბეჭდი წიგნის თითოეული ეგზემპლარი ხელით გაფერადდა.

თავისი წიგნის შექმნისას ოდუბონი იყენებდა ტექნიკას, რომელიც ახლა შოკისმომგვრელი ჩანს. ის უთვალთვალებდა და კლავდა ფრინველებს. შემდეგ მათ სასურველ მდგომარეობაში ამაგრებდა და ხატავდა. თითო გამოსახულებაზე 60 საათამდე დრო იხარჯებოდა. წიგნში წარმოდგენილი ფრინველებიდან ბევრი სახეობა დღეს გადაშენებულია.

*alioni.info*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ნეპალელმა პირში 138 ფანქარი ჩაიტია



რეკორდი აზრს არ სცნობს, მთავარია, ჯერ არგაკეთებული იყოს და რაც არ უნდა მოიმოქმედო, გინესის წიგნში ერთი გვერდი გარანტირებული გაქვს.

ჰოდა, 19 წლის ნეპალელმა რაჯა ტაპამაც ისარგებლა გინესის რეკორდების წიგნის პრინციპით. რაღა თავი ვიმტვრიო სიბრძნის მოფიქრებაზე, მოდი სახის ამ უზარმაზარ ნაწილს გამოვიყენებო და 138 ცალი ფანქარი პირში ერთად ჩაიდო. თურმე, ნუ იტყვით და ამ უცნაური რეკორდის პიონერი რაჯა სულაც არ ყოფილა. მანამდე ინოელმა დინეშა შივნაფა უპადხაიმ გემო 92 ფანქარს გაუსინჯა.

რაჯა ტაპამ წარმატებული გამოსვლის შემდეგ, რახან გადავრჩი და რახან მთელი სახე პირად არ მექცა, კიდევ ერთ წარმოდგენას გაჩვენებთო და ამჯერად პირში 32 ანთებული სანთელი ააბრიალა.

ნეპალელი დაცვის თანამშრომლად მუშაობს და გეგმავს, ახალ-ახალი რეკორდების დასამყარებლად შოუები მუდმივად გამართოს.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჰოლანდიის მთავრობა დრონებზე სანადიროდ არწივებს წვრთნის



ნიდერლანდების პოლიცია უპილოტო მფრინავ აპარატებზე ნადირობის დაწყებას აპირებს. მსგავსი აპარატები საქართველოს ცასაც ხშირად ფარავს.

თურმე, უნებართვოდ ამ მფრინავი აპარატების გამოყენება სულ უფრო მასობრივ სახეს იღებს. ჰოდა, პოლიციამაც უკანონობასთან ბრძოლაზე ფიქრი დაიწყო. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, არწივები გაეწვრთნა, რომელიც აპარატებზე ინადირებდა.

უპილოტო მფრინავი აპარატები ხშირად, მტაცებელი ფრინველის ზომისაა, რაც პატარა ფრინველებს აფრთხობს, მტაცებელ ფრინველებს კი თავიანთ ტერიტორიაზე შემოჭრილი მტრის შთაბეჭდილებას უტოვებს და აგრესიულს ხდის.

ამიტომაც არწივები ისე გაიწვრთნებიან, რომ ლითონის მტერთან ბრძოლისას ნისკარტი არ დაუზიანდეთ. თანაც არწივებს ხომ საოცარი მხედველობა აქვთ და მოძრავი აპარატის კარგად გარჩევაც შეუძლიათ.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## 25 წლის შემდეგ ჯულია რობერტსსა და რიჩარდ გირს „ლამაზმანის" გაგრძელებაში გადაიღებენ



25 წლის შემდეგ ჯულია რობერტსსა და რიჩარდ გირს ფილმ „ლამაზმანის" გაგრძელებაში კვლავ გადაიღებენ.

როგორც ინტერნეტგამოცემები წერენ, ამის შესახებ ინფორმაცია გირმა „ფეისბუკის" საშუალებით დააანონსა. საქმე ისაა, რომ მსახიობები ფილმში მონაწილეობას იმ შემთხვევაში დასთანხმდებოდნენ, თუ აღნიშნული პოსტი მილიონ მოწონებას დააგროვებდა.

12 საათიც არ იყო გასული, რომ მოწონებების რაოდენობამ მილიონზე მეტს გადააჭარბა. ამის შემდეგ კინოსტუდიის პროდიუსერებმა მთავარი როლის შემსრულებლებს კვლავ გაუგზავნეს შეთავაზება, რაზეც მსახიობებს უარის თქმა, უბრალოდ, აღარ შეეძლოთ.

ხმები იმის თაობაზეც დადის, რომ ვარსკვლავები 7-ნიშნა ჰონორარს მიიღებენ. როგორც იცით, „ლამაზმანი" 1990 წლის ყველაზე წარმატებული და ჰოლივუდურ კლასიკად აღიარებული ფილმია. ეს არის სიყვარულის ისტორია, რომელიც მილიარდერი ედვარდისა და მეძავი ვივიენის ამბავს მოგვითხრობს. ფილმის პრემიერის შემდეგ, ჯულია რობერტსმა არნახული წარმატება მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ამ როლზე მეგ რაიანი და მიშელ პფაიფერი მოიაზრებოდნენ, მაგრამ მსახიობებმა უარი განაცხადეს, რადგან მიიჩნიეს, რომ ეს როლი მათ კარიერას ხელს შეუშლიდა.

*musicbox.ge...*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ავსტრალიაში პარლამენტის სხდომაზე ძუძუთი კვების ნება დართეს



ავსტრალიის პარლამენტმა ქალ დეპუტატებს სხდომებზე ბავშვებით მისვლისა და მათი ძუძუთი გამოკვების უფლება მისცა.

წარმომადგენლობითი პალატის ლიდერმა, კრისტოფერ პაინმა განაცხადა, რომ ცვლილებამ საკანონმდებლო ორგანოში ქალების რიცხვის ზრდაზე დადებითი გავლენა უნდა იქონიოს.

„ვისურვებდი, რომ პარლამენტში უფრო მეტი ქალი მეხილა. მათ ძველმოდური წესები არ უნდა აშინებდეთ", – თქვა პაინმა.

სხვათა შორის, სხდომაზე ბავშვების მიყვანის უფლება მამრობითი სქესის დეპუტატებსაც აქვთ.

აღნიშნული საკითხი განხილვის თემა პარლამენტის წევრ კელი ო'დუაიერის გამო გახდა. კელის მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს და დილით ძალიან ადრე უწევდა ადგომა, რათა ბავშვისთვის საკვები მოემზადებინა და სხდომაც არ გაეცდინა.

წინა კანონის თანახმად, სხდომაზე ბავშვით მისვლა და მისი ძუძუთი კვება დაუშვებელი იყო. ამის გამო, პარლამენტარები, რომლებიც ჩვილების მოვლის გამო სამსახურში ვერ მიდიოდნენ, ხმას წარმომადგენლების საშუალებით აძლევდნენ. ახლა კი ყველაფერი კარგადაა.

ლხინი იქა, ფქვილი იქა.

*lenta.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



ცოლი სასეირნოდ წასვლას აპირებს.

ქმარი:

– აფთიაქში შეიარე და პრეზერვატივები გამოიყოლე, რა.

– უი, რას ამბობ? არ შემიძლია! ყველა ხომ მაშინვე მიხვდება, სექსით რომ დავკავდები. მრცხვენია და ვერ ვიყიდი!

– შენა და ქუჩაში ორ ბავშვთან ერთად სიარულის არ გრცხვენია?!

*****

კოტეს ცოლი დაქალთან წუწუნებს:

– ვერაფრით მომიფიქრებია, რა ვაჩუქო ქმარს დაბადების დღეზე – მას ხომ უკვე ყველაფერი აქვს, რაც მე მჭირდება?!

*****



კითხვა სომხურ რადიოს:

– ქორწინდებიან თუ არა ონანისტები?

პასუხი:

– დიახ – მწველავებზე!..

*****

– კოტე, შემთხვევით ხომ არ იცი, ქილერის დაქირავება რა ჯდება?

– რა ჯანდაბად გინდა?

– ბიჭო, ღამის 3 საათზე მეზობელი მირეკავს და მეკითხება: „ხომ არ გეძინა?" მეც ვუპასუხე: „ჰო, მძინავს!" მან კი: „კარგი, მაშინ ერთ საათში გადმოგირეკავ"... ჰოდა, მართლა დამირეკა იმ წამპალმა!!!

*****

სადილობისას ქმარი ცოლს აქებს:

– როგორი გემრიელი სალათია, ძვირფასო, შენ თვითონ იყიდე?..

*****

ისე, რომ თვალი არ მოუცილებია დივანზე მიყრილი ფრჩხილებისთვის, წამწამებისთვის, პარიკისთვის და კბილების პროთეზისთვის, კოტე ტიროდა და ლოცულობდა:

– ღმერთო, დამიფარე და მიხსენი მისგან, ვინც ახლა აბაზანიდან გამოვა!!!

*****



როგორ უნდა დაამარცხოთ ქალი კამათის დროს:

1. დაიწყეთ ქალთან კამათი;
2. დაიწყეთ ტირილი პირველმა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. პოეტი ნიკოლოზ ...
2. ქლიავის ჯიში
3. ბუმბულის ცვლის პერიოდი
4. ფასიანი ქაღალდი
5. აპოლონის ქურუმი ტრიაში
6. რასელ კროუ ფილმში
7. კოსმონავტიკის „მამა“
8. სანოტო სისტემის ფრჩხილი
9. ნარკოტიკებით მოვაჭრე
10. მინი ბოულინგი
11. მტაცებელი ფრინველის ფრენა
12. თმის წითელი საღებავი
13. დიამეტრის ნახევარი
14. ჩინეთის დიდი ...
15. ინდოეთის დედაქალაქი
16. მხარე საქართველოში
17. თეატრის სცენის განათება
18. რუს მეფეთა დინასტია
19. ჰუნების ბელადი
20. ყვავილი
21. სოფელი რაჭაში
22. ტუჩი
23. შეიარაღების მომხრე
23ა. მასიობი ჯიმ ...
24. ლირიკული საოპერო პარტია
25. წყლის მოლუსკი
26. უზბეკეთის დედაქალაქი
27. ისრაელის დედაქალაქი
28. პიპინიას შვილიშვილი
29. მოსპობა, განადგურება
30. თხის წინაპარი
31. ხის კვირტებიანი ტოტი
32. მომხიბვლელობა
33. გემის მთავარი კოჭი
34. ავადმყოფობის ნიშნები
35. კამათი, ბჭობა
36. პაოლო ვილაჯო ფილმში „... რობინზონ“
37. ქართ. ხალხური ზღაპარი
38. მხატვარი ანრი ...
39. ქალაქი საბერძნეთში
40. მახრჩობელა გველი
41. ბუხრის მილი
42. თამაშში: ... და არადანი
43. ხილის ნაჭუჭიანი გული
44. ფიალა
45. თურქეთის დედაქალაქი
46. აფროდიტეს სატრფო
47. ვირას საპირისპირო ბრძანება
48. „მე, ბებია, ილიკო და ...“
49. ჭამის სურვილი
50. კაზინოს თანამშრომელი
51. ჭრილობა
52. დედნიდან გადაღებული პირი
53. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
54. ბანქოს ფურცელი ერთი ნახატით
55. ნაბოკოვის რომანი
56. კვერცხის თეთრი შიგთავსი
57. საწერი მასალა ეგვიპტეში
58. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
59. გამხმარი ხილი
60. ინდიელის ფეხსაცმელი
61. ყანწის მასალა
62. სოფელი ხარაგაულის რაიონში
63. ნეტარ მორწმუნენი
64. ათასწლეულის დასასრული
65. დირიჟორის ნოტები
66. ისლანდიის დედაქალაქი
67. ნარკოტიკული ნივთიერება
68. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
69. სიყვარულის ღმერთი ბიჭუნა
70. სახედარი
71. ელექტრო წელსაზომი
72. მხ/ფ „რომაული ...“
73. ... მოგივა დავითაო
74. ... ხაიამი
75. მსახიობი ტომ ...
76. გემი. მოძრაობს ბუქსირით
77. მსახიობი ... სხირტლაძე
78. შესაწრავი პირუტყვი
79. ბოსტნეული
80. მეცნიერება ამინდის შესახებ
81. ინგლისური ლუდი
82. არქიპელაგი გიგანტ. კუებით
83. სასიამოვნო სუნი, გემო
84. რეჟისორი ... ღოღობერიძე
85. სახელმწიფო აფრიკაში
86. მსახ. ... უიზერსპუნი
87. შეზღუდული კვების რეჟიმი
88. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
89. ... ბაბაჯანიანი
90. ციტრუსი
91. მეზღვაურის დამხმარე ბიჭი
92. რაიმეს სახელური
93. სპორტის სახეობა
94. ვულკანური მასა
95. მსახ. ... მახარაძე
96. ავტოფარეხი
97. მომღერალი ... სპირსი
98. ერთი-ერთი თითი
99. გიორგი სააკაძის ვაჟი
100. ჩუქჩების სახლი
101. მსახიობი ... დე ნირო
102. ილია ჭავჭავაძის ლექსი
103. ბილიარდის ჯოხი
104. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
105. მსახიობი ... როტი
106. აუქციონზე გატანილი ნივთი
107. საძერწი მასალა ...-მაშე
108. ჭადრაკის ფიგურა
109. გასეირნება ქალაქგარეთ
110. ჩოგბურთის მოედანი
111. სამშენებლო მასალა
112. ნადირობა აფრიკაში
113. რეჟისორი ... რიჩი
114. სემი, ქამი და ...
115. უანგარო შრომა
116. მსახიობი ... ფაროუ
117. ღვინის დეგუსტატორი
118. ქართ. ფულის ერთეული
119. გოგებაშვილი. „თხა და ...“
120. მოსევადების ტექნიკა
121. კიპლინგის მოთხრობა
122. მწერალი მაქსიმ ...
123. კედლის მანდალი
124. მსახიობი ჯესიკა ...
125. მომღერალი ... ბადურაშვილი
126. მდინარე პარიზში
127. ბაია დვალიშვილი სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“
128. დაბა სვანეთში
129. შინაური ცხოველი
130. მომღერალი ... ჯაგერი
131. შტატი აშშ-ში
132. საოკეანო სამგზავრო გემი
133. პირის ღრუს თალი
134. აბატი ფარიას ციხე
135. მხატვარი ... იგნატოვი
136. ამერიკული თოჯინა
137. მხ/ფ „ჩარლის ...“
138. შვიდი დღე
139. მსახიობი ... ვიაჩესლავ

პასუხები: 1. ბარათაშვილი; 2. კორკიმელი; 3. განგური; 4. ობლიგაცია; 5. ლაოკოონი; 6. „გლადიატორი“; 7. ციოლკოვსკი; 8. აკოლადა; 9. ნარკობარონი; 10. კეგლი; 11. ირაო; 12. ინა; 13. რადიუსი; 14. კედელი; 15. დელი; 16. სვანეთი; 17. რამპა; 18. რომანოვი; 19. ატილა; 20. იასამანი; 21. ღები; 22. ბაგე; 23. მილიტარისტი; 23ა. კერი; 24. კავატინა; 25. მიდია; 26. ტაშკენტი; 27. იერუსალიმი; 28. აკიმი; 29. ლიკვიდაცია; 30. ნიამორი; 31. ნეკერი; 32. შარმი; 33. კილი; 34. სინდრომი; 35. დისკუსია; 36. სინიორ; 37. „ირმისა“; 38. მატისი; 39. სალონიკი; 40. ბოა; 41. საკვამური; 42. არჩევანი; 43. კურკა; 44. ჯამი; 45. ანკარა; 46. ადონისი; 47. მაინა; 48. ილარიონი; 49. მადა; 50. კრუპიე; 51. იარა; 52. ასლი; 53. პიანო; 54. კიკო; 55. „ლილოტა“; 56. ცილა; 57. პაპირუსი; 58. ნატანები; 59. ჩირი; 60. მოკასინი; 61. რქა; 62. მოლითი; 63. არიან; 64. მილენიუმი; 65. პარტიტურა; 66. რეიკიავიკი; 67. ოპიუმი; 68. პარაგვაი; 69. კუპიდონი; 70. ვირი; 71. რეოსტატი; 72. არდადეგები; 73. რაც; 74. ომარ; 75. კრუზი; 76. ბარჟა; 77. დუტა; 78. ზვარაკი; 79. პომიდორი; 80. მეტეოროლოგია; 81. ელი; 82. გალაპაგოსი; 83. არომატი; 84. ლანა; 85. ლიბია; 86. რიზ; 87. დიეტა; 88. ამერიგო; 89. არნო; 90. გრეიპფრუტი; 91. იუნგა; 92. ტარი; 93. კრივი; 94. მაგმა; 95. კოტე; 96. გარაჟი; 97. ბრიტნი; 98. ნეკი; 99. პაატა; 100. იარანგი; 101. რობერტ; 102. „ელეგია“; 103. კიი; 104. პაპი; 105. ტიმ; 106. ლოტი; 107. პაპიე; 108. პაიკი; 109. პიკნიკი; 110. კორტი; 111. კირი; 112. საფარი; 113. გაი; 114. იაფეტი; 115. ამაგი; 116. მია; 117. სომელიე; 118. ლარი; 119. გიგო; 120. ნიელო; 121. „მაუგლი“; 122. გორკი; 123. ბრა; 124. ალბა; 125. ნინი; 126. სენა; 127. ნელიკო; 128. მესტია; 129. თხა; 130. მიკ; 131. ალაბამა; 132. ლაინერი; 133. სასა; 134. იფი; 135. კოკა; 136. ბარბი; 137. დეიდა; 138. კვირა; 139. ტიხონოვი. იკითხება: თაიგული.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1.ილუზიონისტი დევიდ ...
2. ციტრუსი
3.რბილი ადგილი ჩვილის თავზე
4.ჯერომ კ. ჯერომი. „... ერთ ნავში, თუ არ ჩავთვლით ძაღლს“
5.მორზეს ანბანის ნიშანი
6.აცტეკების დედაქალაქი
7.კუნძული კანადის შემადგენლობაში
8. მსახიობი ადრიანო ...
9. მსახიობი ბილი ბობ ...
10. კავშირი, გაერთიანება
11. მეცნიერი ... ვეკუა
12.ეროვნული გმირი ქაქუცა ...
13. ტერფის ნაწილი
14. მდინარე გერმანიაში
15.თმის საპრიალებელი საცხი
16.გვერდების სიგრძეების ჯამი
17. სახელმწიფო აზიაში
18.სახიფათო ძნელი წამოწყება
19. ყაიმი
20.თურქეთის დედაქალაქი
21.მეფის ტიტული ძველ ეგვიპტეში
22. მსახიობი ... კერტისი
23. მდინარე ქუთაისში
24. ქვედა კიდური
25. გეომეტრიის „მამა“
26.ვერნი. „20000 ... წყალქვეშ“
27.„კუკარაჩა“ კოლელიშვილი
28.სრუტე ხმელთაშუა ზღვაზე
29. სახელმწიფო აფრიკაში
30. ყელის ტკივილი
31.იონ პოპესკუ გოპოს მულტფილმი „მარია- ...“
32.ეთერზეთოვანი მცენარე
33.რის ფოთოლს ჭამს პანდა
34.შოლოხოვი. „წყნარი ...“
35.ციხესიმაგრ. იქვდა აბატი ფარია
36.ლირიკული ტენორი დავით ...
37. მსახიობი ... ტაილერი
38. ადგილი თეატრში
39. იტალიური სპორტული ავტომობილი
40.„იყო არაბეთს ...“
41. ... მტრობას დაუნგრევია
42.ლეონარდო ... კაპრიო
43.დენ ბრაუნი. „და ვინჩის ...“
44. ბროში ადამიანის პროფილით
45.ბრაზილიელი ფეხბურთელი
46.რა მიედინება ძარღვებში
47.სოფელი,სადაც გარდაიცვალა და დაკრძალულია წმინდა ნინო
48.ბალეტ „დონ კიხოტის“ კომპოზიტორი
49. მხატვარი კამილ ...
50. კამეჩის ტყავის ტიკი
51.რაიმე დამოკიდებულების გრაფიკ. გამოსახ.
52.დადუღებული ყურძნის წვენი
53. მოკლე, მსხვილი თითები
54. სიახლე ჩაცმულობაში
55.ქიაჩელი. „... ბიჭვა“
56.პრეზიდენტი ... ობამა
57.მომღერალი ... ვაიკულე
58. მსახიობი კოტე ...
59. ... პუგაჩოვა
60. შხამიანი ობობა
61.აბრეშუმის თხელი ქსოვილი
62.ხეზე ფიგურული ჭრა
63. დეკორატიული ყვავილი
64.მისი დედაქალაქია ბერლინი
65.ფეხბურთელი რუუდ ...
66. უუფლებო ადამიანი
67. იანის საპირისპირო
68. შიიზმის მიმდევარი
69. ადამის მეუღლე
70.გაშლილი სივრცის შიში
71.გასასვლელი მდინარეზე
72. მტაცებელი სავანაში
73. პოეტი ... კალანდაძე
74.რეჟისორი აკირა ...
75.მულტფილმი „მონსტრების ...“
76.კამო: სიმონ ... პეტროსიანი
77. თენგიზ აბულაძის ფილმი
78. კუნძული კარიბის ზღვაში
79.ბუდისტი მღვდელი ...-ლამა
80. ფრინველი აფრიკის სავანაში
81.ცვილისმაგვარი ნაწარმოები
82.ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
83. სტუდენტის ხელფასი
84. ანბანი, ანუ ...
85. ედრიან ბროუდი ფილმში
86. ოხუნჯი მოლა
87.მხ/ფ „თმახუჭუჭა ...“
88. დაბლობი დას. საქართ.
89.მდინარეები: ... და სირდარია
90. ქალაქი უზბეკეთში
91. ღამის ფრინველი
92. მხარე ავსტრია-აში
93. ცხიმის კვალი ქსოვილზე
94.ტაილანდის ძველი სახელწოდება
95. კარტოფილის კერძი
96. ბესიკი. „... ტატანო“
97.თბილი დინება ატლანტის ოკეანეში
98. ხე. ისხამს რკოს
99.რეჟისორი რომან ...
100.ერთ ფეხზე დგომა ბალეტში
101. დოსტოევსკის რომანი
102. გიგანტური ტალღა
103.ნასვრეტიანი დეტალი სწვავის დოზირებ.
104. ქიმიური ჭურჭელი
105. მსახიობი დრიუ ...
106. კოსმონავტის სამოსი
107.ეთიოპიის დედაქალაქ. ...-აბება
108.მომღერალი ... მინოუგი
109.„მაუგლი“ პითონი
110. თბილისის უბანი
111. ფრანგი მხატვარი
112. აზრი
113. შალის საპალტოე ქსოვილი
114. ბრონტე. „ჯეინ ...“
115.... შეჯდა მწყერი ხესა
116. გაუშლელი ყვავილი
117. გრაფი მონტე-კრისტო, იგივე ედმონ ...
118.კატა ... შესწვდა ძეხვსაო
119. ცელქი
120. ჭადრაკის სწრაფი პარტია
121.ნადირობის ქალღმერთი რომ.მით
122. ბალერინა ირმა ...
123.მარილიანი სითხე კანზე
124. თბილისის ძველი უბანი
125. ქალაქი რაჭაში
126. აბრეშუმის მტკიცე ქსოვილი
127. ხის სახლი იმერეთში
128.მულტფილმი „..., დამაცადე“
129. ცვარი
130. ლენონის ქვრივი
131. ავსული არაბულ ზღაპრებში
132. დერმა, ტყავი
133. შტატი აშშ-ში
134. ტბა უნგრეთში
135. მსახიობი ... ჰილტონი
136. ბია
137.მთაში გაყვანილი საგზაო კომუნიკაც.
138. რადიოლოკატორი
139.მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
140. ბედი
141.პოეტი ... არაგვისპირელი
142. ებრაული ენა
143. ძროხის ნაშიერი
144. მდინარე ინდოეთში
145. რძის პროდუქტი





პასუხები: 1. კოპერფილდი; 2. ფორთოხალი; 3. ყიფლიბანდი; 4. სამნი; 5. ტირე; 6. ტენოჩტიტლანი; 7. ნიუფაუნდლენდი; 8. ჩელენტანო; 9. ტორნტონი; 10. ალიანსი; 11. ილია; 12. ჩოლოყაშვილი; 13. ქუსლი; 14. რაინი; 15. ბრიოლინი; 16. პერიმეტრი; 17. ტაილანდი; 18. აფერა; 19. ფრე; 20. ანკარა; 21. ფარაონი; 22. ტონი; 23. რიონი; 24. ფეხი; 25. ევკლიდე; 26. ლიე; 27. მურტალო; 28. გიბრალტარი; 29. რუანდა; 30. ანგინა; 31. მორბენალი; 32. ლავანდა; 33. ბამბუკი; 34. დონი; 35. იფი; 36. ბადრიძე; 37. ლივ; 38. ბალკონი; 39. „ფერარი“; 40. როსტევან; 41. რაც; 42. დი; 43. კოდი; 44. კამეა; 45. კაკა; 46. სისხლი; 47. ბოდბე; 48. მინკუსი; 49. კორო; 50. რუმბი; 51. დიაგრამა; 52. ბადაგი; 53. კოტიტა; 54. მოდა; 55. გვადი; 56. ბარაკ; 57. ლაიმა; 58. მახარაძე; 59. ალა; 60. ტარანტული; 61. შიფონი; 62. ინკრუსტაცია; 63. გიორგინა; 64. გერმანია; 65. გულიტი; 66. მონა; 67. ინი; 68. შიიტი; 69. ევა; 70. აგორაფობია; 71. ფონი; 72. აფთარი; 73. ანა; 74. კუროსავა; 75. კორპორაცია; 76. ტერ; 77. „ვედრება“; 78. მარტინიკა; 79. დალაი; 80. მარაბუ; 81. პასკვილი; 82. ფრი; 83. სტიპენდია; 84. ანაბანა; 85. „პიანინო“; 86. ნასრედინი; 87. სიუ; 88. კოლხეთი; 89. ამუდარია; 90. სამარყანდი; 91. ბუ; 92. ტიროლი; 93. ლაქა; 94. სიამი; 95. პიურე; 96. ტანო; 97. გოლფსტრიმი; 98. მია; 99. პოლანსკი; 100. არაბესკი; 101. „იდიოტი“; 102. ცუნამი; 103. ჟიკლიორი; 104. კოლბა; 105. ბერიმორი; 106. სკაფანდრი; 107. ადის; 108. კაილი; 109. კაა; 110. ავლაბარი; 111. მილე; 112. იდეა; 113. დრაფი; 114. ეარი; 115. არა; 116. კოკორი; 117. დანტესი; 118. ვერ; 119. ანცი; 120. ბლიცი; 121. დიანა; 122. ნიორაძე; 123. ოფლი; 124. აბანოთუბანი; 125. ონი; 126. ტაფტა; 127. ოდა; 128. აბა; 129. ნამი; 130. ონო; 131. ჯინი; 132. კანი; 133. ოჰაიო; 134. ბალატონი; 135. პერის; 136. კომში; 137. გვირაბი; 138. რადარი; 139. სერ; 140. სვე; 141. შიო; 142. ივრითი; 143. ხბო; 144. ინდი; 145. დო. იკითხება: რედიკიული. ქოლგა.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## გვითხარით, როგორი ბუტერბროდი გიყვართ და გეტყვით, ვინ ხართ თქვენ...



ძალიან ბევრი რამ იცვლება დროთა განმავლობაში. ასე მაგალითად, თუკი უხსოვარი დროიდანაც კი ადამიანს მისი სამეგობრო წრის გათვალისწინებით შეიცნობდნენ, დღეს უკვე ამის გაკეთება ბუტერბროდითაც კი ყოფილა შესაძლებელი.

დიახ, სწორედ ბუტერბროდის დახმარებით ისწავლეს ბრიტანელებმა ადამიანის ხასიათის თავისებურებების დადგენა.

რამდენად შეიძლება მათი მეთოდის გათვალისწინება, თავს ნამდვილად ვერაფერზე დავდებთ, თუმცა დეტალებზე მაინც მოგიყვებით:

მაგალითად, ადამიანები, რომლებიც მაღალი ინტელექტუალური მაჩვენებლებით გამოირჩევიან, უპირატესობას ყველსა და პურს ანიჭებენ მარინადთან ერთად. მეოცნებეების არჩევანია ყველი და ლორი, მათთან ერთად კი – სალათი. მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი სიამოვნებით შეექცევა პურს მაიონეზთან და კვერცხთან ერთად.

კრევეტები შავ პურთან ერთად მგრძნობიარე ადამიანების არჩევანია, ქათამი კი ყურადღების ცენტრში ყოფნის ტრფიალების სისუსტეა. ძროხის ხორცს აქტიური და იმპულსური ადამიანები ირჩევენ, არისტოკრატები კი შიმშილის გრძნობას სიმინდით, თეთრი პურითა და თინუსით იკლავენ.

**woman.ru**

## დიაგნოზი თმების მდგომარეობის მიხედვით



ექიმები ერთ ძალიან საინტერესო საიდუმლოს ამხელენ, რომელიც საშუალებას იძლევა, კონკრეტული ადამიანის ავადმყოფობა მისი თმების მდგომარეობის გათვალისწინებით გამოაშკარავდეს. რაც მთავარია, მეთოდი რთული სულაც არ არის და გარკვეული წარმატებების მიღწევას, ალბათ, ყველა შეძლებს.

მსხვრევადი თმის ღერები გვამცნობენ, რომ ადამიანს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემები აწუხებს.

თმის ცვენის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფარისებრი ჯირკვალი მთლად საუკეთესო მდგომარეობაში არ უნდა იყოს.

არასწორი კვების შედეგი შეიძლება გახდეს თმის ღერების დაბოლოებების დაყოფა, ხოლო თმის ნელი ტემპებით ზრდა ნერვული სისტემის სისუსტეებზე მიუთითებს.

იმ შემთხვევაში, თუკი თმა მოულოდნელად მუქდება, ორგანიზმი განიშნებთ, სასწრაფოდ ნაღვლის ბუშტსა და ღვიძლს უნდა მიხედოთ, თანაც სასწრაფოდ!

რაც შეეხება ჭაღარის გაჩენას, ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: დიდი რაოდენობით მარილის მიღება, სასქესო ჯირკვლების ფუნქციონირების მოშლა, მჟავიანობის მომატება და სისხლით გულის მომარაგების დანაკლისი.

**medportal.ru**

## ბარდა გულისა და თირკმელების დაავადებებისას დაგეხმარებათ



ყველაზე მთავარი ის არის, რომ ბევრი სხვა პროდუქტისგან განსხვავებით, ბარდა ერთდროულად რამდენიმე სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ ადამიანის გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე და ასევე, თირკმელებზეც.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა კანადელმა მეცნიერებმა ჩაატარეს.

მათი განმარტებით, ზოგიერთი ნივთიერების კომბინაცია, რომელიც სასარგებლოა და ბარდის ექსტრაქტში შედის, ადამიანების ორგანიზმზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. კერძოდ, საუბარია პაციენტებზე მაღალი არტერიული წნევით, რაც შედეგად თირკმელების ფუნქციონირების მოშლას იწვევს.

კანადელი მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ბარდის ექსტრაქტი შეიძლება მიიღონ ადამიანებმა, რომლებსაც ჰიპერტონიული დაავადებები აწუხებთ. ასევე, თირკმელების დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით. გარდა ამისა,

აღნიშნული მიგნებიდან გამომდინარე, სპეციალისტები აპირებენ, ბარდის დანამატის დამზადებას, რომელსაც პაციენტები საკვებთან ერთად 6-8 თვის მანძილზე მიიღებენ და ჰიპერტონიისა და ამით თირკმელების დაავადების რისკს 5-ჯერ შეიმცირებენ

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**mndg.ru**

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**5 თებერვალი:** დიდი ცვლილებებისთვის მოემზადეთ. შეიძლება, ფუნდამენტური არაფერი მოხდეს, მაგრამ გარშემომყოფებთან კამათს მოერიდეთ.

**კურო 22.04-21.05**
**5 თებერვალი:** შეეცადეთ, ხანგრძლივი დროის მანძილზე არ შეგაწუხონ. შედეგად, შექმნით რაღაცას, რითაც მთელი ცხოვრების მანძილზე იამაყებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**5 თებერვალი:** შეიძლება დადგეთ აუცილებლობის წინაშე, რომ მოვლენებს სხვა თვალით შეხედოთ. დიდი ალბათობით, ეს არ მოგეწონებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**5 თებერვალი:** როგორც ჩანს, მხიარულ ხასიათზე იქნებით. წინასწარ გააფრთხილეთ ამის შესახებ გარშემომყოფნი, თორემ იფიქრებენ, გაგიჟდით.

**ლომი 23.07-22.08**
**5 თებერვალი:** საკუთარი და ახლობლების მომავალზე ბევრს იფიქრებთ. შეეცადეთ, სიღრმეებში არ წახვიდეთ და ცუდი არაფერი გაივლოთ გულში.

**ქალწული 23.08-22.09**
**5 თებერვალი:** თუ საკუთარ გეგმებს არავის გაუმჟღავნებთ და ნელ-ნელა იმოქმედებთ, წარმატებას მიაღწევთ. თუ გაამხელთ, დაბრკოლებებს შეხვდებით.

**სასწორი 23.09-22.10**
**5 თებერვალი:** ეს დღე მშვიდად და ურთიერთგაგებაში ჩაივლის. ეს კარგია, მაგრამ ყურადღებით იყავით, თქვენთვის საზიანო რამე ქმედებაზე არ დაგიყოლიონ.

**მორიელი 23.10-21.11**
**5 თებერვალი:** ძალიან გონებაგამჭრიახი იქნებით და პრობლემებიდან გამოსავალს ადვილად მოძებნით. თქვენი ქმედებები დაიმახსოვრეთ, სხვა დროსაც გამოგადგებათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**5 თებერვალი:** ცდუნებას არ აჰყვეთ და პრობლემის მოგვარება გაუაზრებლად არ წამოიწყოთ, თორემ ამას დიდხანს და ძალიან ხშირად შეგახსენებენ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**5 თებერვალი:** ორგანიზაციული შესაძლებლობები გაგიმძაფრდებათ. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ საყვედურები მათგან, ვისაც ფასეულ მითითებებს მისცემთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**5 თებერვალი:** ყველაფერში ძალიან კატეგორიული იქნებით – ან დეტალურად მიჰყვებით ყველა წესს, ან წესების დარღვევით იმოქმედებთ. უსიამოვნებებს ერიდეთ.

**თევზები 19.02-20.03**
**5 თებერვალი:** თუ ემოციებს აჰყვებით, შესაძლოა, დაკარგოთ რაღაც მნიშვნელოვანი. ასე რომ, სანამ რამეს იტყვით, დაფიქრდით, გიღირთ ასეთი რამ?

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)

## მეხსიერების დაქვეითებას უჩივით? დამნაშავე შესაძლოა... კარები იყოს



ხომ იცით, ენას ძვალი არ აქვს და ყველაფრის თქმა შეუძლია. ჰოდა, რაც რამ უცნაურობა მოადგებათ ხოლმე ადამიანებს ენაზე, ყველაფერს ხმამაღლა ამბობენ.

თქვენი არ ვიცით და ჩვენ კი ნამდვილად ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ თითის ჩაყოლების გარდა, კარს ადამიანისთვის სხვა პრობლემების შექმნა შეეძლო. ყოველ შემთხვევაში, მეხსიერებას თუ დაუქვეითებდა, აბა, ამას როგორ ვიფიქრებდით?!

ასეა თუ ისე, ფრანგი ფსიქოლოგები მეხსიერების გაუარესების ერთ-ერთ მთავარ „შემოქმედად“ სწორედ კარს ასახელებენ.

კვლევის ფარგლებში სტუდენტები მეხსიერებასთან დაკავშირებულ გარკვეულ დავალებებს იღებდნენ. ამის შემდეგ ისინი ერთი ოთახიდან მეორეში უნდა შესულიყვნენ. შედეგად, კარის გაღება უწევდათ, უფრო ხშირად ავიწყდებოდათ, რისთვის დატოვეს ერთი და რისთვის შევიდნენ მეორე ოთახში. რაც შეეხება მოხალისეებს, რომლებიც ოთახიდან არსად გადიოდნენ, მეხსიერებასთან დაკავშირებულ დავალებებს გაცილებით წარმატებით უმკლავდებოდნენ.

ამ გასაოცარ მოვლენას ფრანგი ფსიქოლოგები შემდეგნაირად განმარტავენ:

– კარის მიღმა გასვლა თავის ტვინის მიერ აღიქმება, როგორც „ერთი მოვლენის დასრულება“, რომელიც მანამდე ხდებოდა. შედეგად, ინფორმაცია „მეხსიერების ბანკში“ გადადის. ამდენად, იმის გახსენება, რა იყო კარის ზღურბლზე გადაბიჯებამდე, უფრო რთულდება...

მოკლედ, ამ კვლევას თუ დავუჯერებთ, სახლშიც და სამსახურშიც ყველა კარი უნდა მოვხსნათ, მით უმეტეს, თუკი მეხსიერების მხრივ დიდად არ ვბრწყინავთ...

**tainamira.ru**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ახალწვეული სამედიცინო შემოწმებას გადის. ოკულისტი:

– ამ ასოებს ხედავთ?

– ვერ ვხედავ, ექიმო.

– აბა, უფრო ახლოს მოდით. ახლა?

– ისევ ვერ ვხედავ.

– კიდევ უფრო ახლოს მოიწიეთ. დაინახეთ?

– ვერა!

– სახე ახლოს მიიტანეთ, ხედავთ რამეს?

– კი, ახლა თითქოს გამოჩნდა...

– ესე იგი, მანძილი – 50 სანტიმეტრი. ჩაწერეთ: „ვარგისია ხელჩართული ბრძოლისთვის“...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
»211359457
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: ალექსიძის I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.30